დიმიტრი ნარიმანიშვილი
DIMITRI NARIMANISHVILI

საქართველოს ციკლოპური სიმაგრეები

CYCLOPEAN FORTRESSES IN GEORGIA



შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი
SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE FOUNDATION OF GEORGIA

GEORGIAN NATIONAL MUSEUM

დიმიტრი ნარიმანიშვილი

Dimitri Narimanishvili

საქართველოს ციკლოპური სიმაგრეები

CYCLOPEAN FORTRESSES IN GEORGIA

თბილისი
Tbilisi
2019

სამუშაო შესრულდა შოთა რუსთაველის ეროვნული ფონდის ფინანსური მხარდაჭერით
[#YS 2016-67, საქართველოს მეგალითური საფორტიფიკაციო სისტემები].

This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation (SNRF)
[#YS 2016-67, Megalithic fortification systems in Georgia].

პროექტის ხელმძღვანელი	**Project Leader**
დიმიტრი ნარიმანიშვილი	Dimitri Narimanishvili
ფოტოები:	**Photos:**
დიმიტრი ნარიმანიშვილი	Dimitri Narimanishvili
ნიკოლოზ ჩადუნელი	Nikoloz Chaduneli
დავით გაგოშიძე	Davit Gagoshidze
ნინო ქობალია	Nino Kobalia
ჩანახატები:	**Drawings:**
ინგა ესვანჯია	Inga Esvanjia
გიორგი ტატიშვილი	Giorgi Tatishvili

ნაშრომი დასაბეჭდად რეკომენდებულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიის სამეცნიერო საბჭოს მიერ.

The work is recomended for publishing by the Archaelogical Scientific Board of Georgian National Museum.

ISBN-978-9941-8-1320-7

9 789941 813207

დაბეჭდილია შპს „დი ენდ ჯი“-ს მიერ. 2019
Printed by “D & G” Ltd. 2019

სარჩევი

CONTENT

შესავალი

ნაშრომში წარმოდგენილია სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული „ციკლოპური“ საფორტიფიკაციო სისტემების სრული კატალოგი. ასევე, განხილულია სამხრეთ საქართველოს, კერძოდ კი ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე არსებული ციკლოპური საფორტიფიკაციო ნაგებობების გავრცელების არეალი და მათი ქრონოლოგიის საკითხები. კვლევის შედეგად შემუშავდა ციკლოპური კომპლექსების ტიპოლოგია, რომელიც ძირითადად ეფუძნება ურარტულ წერილობით წყაროებსა და არქეოლოგიური საველე დაზვერვების დროს მოპოვებულ ინფორმაციას.

სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე არსებული ციკლოპური კომპლექსები ვრცელდება დღევანდელი საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, თურქეთისა და ირანის ტერიტორიებზე [მელიქსეთ-ბეგი 1938; Джафар-Заде 1938; Куфтин 1941; ბერძენიშვილი 1975; Есаян 1976; ტატიშვილი 1976-77; Narimanišvili & Šanšašvili 2001; Biscione et al. 2002; Köroğlu 2005; Biscione 2009; Smith et al. 2009; Pataci 2015; Narimanishvili 2016; Zhgenti 2016; Castelluccia 2017; ხუციშვილი და სხვ. 2015; ხუციშვილი და სხვ. 2016] (ტაბ. I). საქართველოში ისინი, ძირითადად, გავრცელებულია ქვემო ქართლში და სამცხე-ჯავახეთში (ტაბ. II). აქვე აღვნიშნავ, რომ ციკლოპური წყობით ნაგები ციხე-კოშკები დასტურდება, ასევე, მცხეთა-მთიანეთის რეგიონში, კერძოდ, დუშეთის მუნიციპალიტეტში, ხადას ხეობის ტერიტორიაზე (ტაბ. XXVI-4; კატ. #71_1-9).

ციკლოპური ფორტიფიკაციები ძირითადად გავრცელებულია მცირე კავკასიონის მთათა სისტემის ხეობებსა და ტაფობებში. ზოგ შემთხვევაში, კომპაქტურად განლაგებული ციკლოპური კომპლექსები ერთ კონკრეტულ, მცირე რეგიონში დასტურდება. ასეთი კომპაქტური, სხვადასხვა ტიპის ციკლოპური ობიექტებისგან შემდგარი მიკრორეგიონული კომპლექსები, ძირითადად, ტაფობებსა და ზეგნებზე გვხვდება, ისეთ ადგილებში, სადაც მოსახლეობა ბუნებრივი ზღუდეებითაც - ხევებით, მდინარეებით და ქედებით იყო დაცული. ასეთი მიკრორეგიონების მისასვლელებთან, უმეტესწილად, განლაგებულია ციკლოპური ციხეები, რომელთა საშუალებით ადვილი იყო რეგიონში მისასვლელი გზების და გადასასვლელების კონტროლი. ბუნებრივი ზღუდეებისა და ადამიანის მიერ შექმნილი ფორტიფიკაციების ერთობა ქმნიდა თავდაცვით სისტემას, რომელიც ემსახურებოდა კონკრეტული რეგიონის დაცვას. ასეთი ბუნებრივი და ხელოვნური ზღუდეების შეხამებით მიღებული კომპლექსები, ჩემი აზრით, წარმოადგენდა „ლოკალურ რეგიონებს“ [Narimanishvili 2019: 4], რომელთა ტერიტორიას, შესაძლოა, მოიცავდა ურარტული პერიოდის ქვეყნები.

ციკლოპური წყობით ნაშენი სიმაგრეები მიეკუთვნება მეგალითურ კულტურას. ძველი ბერძნები მასიური ქვებით მშრალად ნაგები ციხეების მშენებლობას მითოლოგიურ ციკლოპებს მიაწერდნენ [Strabo, VIII, 6, 11], აქედან გამომდინარე, სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრდა ტერმინი „ციკლოპური” ნაგებობა, ციხე, წყობა და სხვა. ქართულ ისტორიულ წყაროებში უძველესი სიმაგრეების აშენებას მიაწერენ „გმირებს“ [ლეონტი მროველი, *ცხოვრება ქართველთა მეფეთა:* 4-10; ვახუშტი ბაგრატიონი, *აღწერა სამეფოსა საქართველოსა:* 47]; ზეპირსიტყვიერებაში კი, დევებს ან ამირანს [1].

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მრავლად არის დადასტურებული ციკლოპური სიმაგრეები, დღემდე ამ მნიშვნელოვანი ობიექტების შესახებ ცალკე ნაშრომი,

1 გარდა ახალქალაქში არსებული ამირანის გორისა, მის სახელთან არის დაკავშირებული წალკის მუნიციპალიტეტში, სამსარის ქედის ცენტრალურ ნაწილში ბ. კუფტინის მიერ ნანახი მეგალითებით ნაშენი ნაგებობა, რომელსაც ადგილობრივები ეძახდნენ ამირხანის სახლს ან ამირხან „დამ-დამ“ [Куфтин 1947: 13; 1948a: 7].

სადაც მათი ერთიან კონტექსტში დანახვა იქნებოდა შესაძლებელი, არ გაკეთებულა. ეს გახდა ერთ-ერთი წინაპირობა ჩემი კვლევისა, რომლის უპირველესი მიზანი იყო ყველა ცნობილი და პროექტის ფარგლებში ახლად გამოვლენილი ციკლოპური სიმაგრეების კატალოგიზაცია.

სამეცნიერო ლიტერატურაში ციკლოპური სიმაგრეების შესატყვისად ხშირად იყენებენ ტერმინებს მეგალითური ციხე/გალავანი, გორა, გამაგრებული გორა ან გორა გალავნით. ამ სამი უკანასკნელი ტერმინის გამოყენება მოსახერხებელია შედარებით ვაკე ადგილზე არსებული ბუნებრივი ბორცვების მიმართ, ან მთის თხემზე არსებული გამაგრებული დასახლების აღსანიშნავად. რაც შეეხება ტერმინს „მეგალითური“, ის თავისთავად გულისხმობს დიდი ლოდებით ნაშენ კომპლექსს. თუმცა, ფაქტობრივი მონაცემები გვიჩვენებს, რომ ზოგი კომპლექსი სულაც არ არის ნაშენი უშველებელი ლოდებით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნაშრომში ძირითად ვიყენებ ტერმინს „ციკლოპური“. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ განხილულ კომპლექსებთან მიმართებაში, ციკლოპი გარკვეულწილად არის ეკვივალენტი კავკასიური გმირის, დევის ან ამირანის, არა მითოლოგიური თვალსაზრისით, არამედ მათი ზებუნებრივი ფიზიკური ძალის გამო.

ამდენად, ტერმინ „ციკლოპური“-ს შერჩევა ორი მიზეზითაა განპირობებული: 1. ამ ტერმინს ქართულ ისტორიოგრაფიაში თითქმის 140 წელია იყენებენ; 2. ეს ტერმინი უფრო სრულად ასახავს ამ რთული არქიტექტურული კომპლექსების შემქმნელი საზოგადოების სოციალურ არსს და წარმოაჩენს მას როგორც ძლიერ და კარგად ორგანიზებულ სოციუმს.

წინამდებარე ნაშრომში ტერმინი „ციკლოპური“ გამოყენებულია მშრალი წყობით ნაშენი საფორტიფიკაციო ნაგებობების ან ზღუდეების აღსანიშნავად, რომლებიც დიდი ან საშუალო ზომის დაუმუშავებელი, ან უხეშად დამუშავებული ქვებით არის ნაშენი. ციკლოპური კედლები შედგება გარე და შიდა საპირე ქვებისგან, რომელთა შორის დარჩენილი სივრცე შევსებულია შედარებით წვრილი ქვით. აქვე აღვნიშნავ, რომ მხოლოდ ქვების ზომის მიხედვით რომელიმე კომპლექსის ცალკე ტიპის გამოყოფა არასწორად მიმაჩნია. დაზვერვების დროს დადასტურდა გეგმარებით მსგავსი ციხეები, რომელთა ერთი ნაწილი ნაშენია დიდი ლოდებით, მეორე კი საშუალო და შედარებით მცირე ზომის ქვებით. ეს ფაქტი განპირობებულია შემდეგი ვითარებით: სამხრეთ კავკასიის უძველესი მოსახლეობა თავდაცვით ნაგებობებს აშენებდა იმ მასალით, რაც ადგილზე მოიპოვებოდა. მაგალითად, ისტორიული ჯავახეთისა და თრიალეთის შემთხვევაში ეს იყო ბაზალტის დიდი ლოდები; ხოლო ბოლნისში, ელიას მთაზე შემორჩენილი სიმაგრის კედლები ნაშენია შედარებით მცირე ზომის ქვებით, რომელთა აწევა ერთ ადამიანსაც კი ადვილად შეეძლო. ქსენოფონტეს ანაბაზისის მიხედვით კი, შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთის სანაპიროს მიმდებარე ტერიტორიის მოსახლეობა სიმაგრეებს ხის ძელებით აშენებდა [Xenophon, *Anabasis*: 327].

ციკლოპური სიმაგრეების კედლების სისქე 2.0-2.5 მეტრია, კონტრფორსების ადგილას კი შეიძლება 7.0 მეტრსაც აღწევდეს. ყველა შემთხვევაში, ციკლოპური წყობით ნაშენი თავდაცვითი ნაგებობა წარმოადგენს კონკრეტული კომპლექსის რთული საფორტიფიკაციო სისტემის ნაწილს, რომელიც განკუთვნილია სიმაგრის შიდა სივრცეში არსებული დასახლების, ან გარკვეული რეგიონის მოსახლეობის დასაცავად.

სამხეთ კავკასიის ციკლოპური ფორტიფიკაციების მშენებლობის ქრონოლოგია, ლიტერატურაში არსებული მონაცემების მიხედვით, ძირითადად შემოიფარგლება გვიანი ბრინჯაოსა და რკინის ხანით (ძვ.წ. XV-VI სს) [Narimanišvili & Šanšašvili 2001:13], რომელიც საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პერიოდად არის მიჩნეული. მეცნიერთა ნაწილის აზრით, ამ დროს იწყება ქართველური ტომების კონსოლიდაცია, იქმნება პირველი ქართული სახელმწიფოები [Меликишвили 1960: 7]. ასეთად მიჩნეულია ძვ.წ. XII-IX საუკუნეების ასურულ წერილობით წყაროებში მოხსენიებული დაიაენის ქვეყანა [Меликишвили 1959: 176], რომელიც აერთიანებდა მეზობლად არსებულ, შედარებით მცირე პოლიტიკურ

ერთეულებსაც [Меликишвили 1959: 18]. დაიაენი, ძვ.წ. VIII საუკუნის ურარტულ წერილობით წყაროებში, დიაუხის სახელით არის ცნობილი [Меликишвили 1954: 58]. დაიაენი/დიაუხი ვრცელდებოდა ტერიტორიზე, რომელიც ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოიცავდა, კერძოდ კი, ის გაიგივებულია შუა საუკუნეების ტაოს საერისთავოსთან. ტაოელები კი ძველ ბერძნულ წერილობით წყაროებში ნახსენებ ტაოხებად არიან მიჩნეულნი [Меликишвили 1959: 176].

ურარტუს აღზევების პერიოდში დიაუხი აერთიანებდა ვრცელ ტერიტორიაზე არსებულ სხვადასხვა ქვეყნებსა და ტომებს. ეს დიდი გაერთიანება ვრცელდებოდა დღევანდელი თურქეთის ქალაქ ერზრუმის სამხრეთით და დასავლეთით, ჩრდილოეთით მდინარე ჭოროხის შუაწელამდე, ჩრდილო-აღმოსავლეთით კი, ჩილდირის ტბამდე აღწევდა [Меликишвили 1959: 177]. სავარაუდოდ, ამ ტერიტორიებზე მრავლად დადასტურებული ციკლოპური საფორტიფიკაციო ნაგებობები ეკუთვნოდა ამ რეგიონში არსებულ დაიაენი/დიაუხის კოალიციაში შემავალ ქვეყნებს, რომლის მოსახლეობაც წინააღმდეგობას უწევდა ასურეთისა და ურარტუს სამეფოების ექსპანსიას.

მეთოდოლოგია და საველე დაზვერვების შედეგები

2017 წლის დასაწყისში ჩატარებული სამუშაოების დროს შეგროვდა არქივებსა და ბიბლიოთეკებში ციკლოპური კომპლექსების შესახებ არსებული მასალა. ასევე, დამუშავდა საველე დაზვერვებისათვის საჭირო მონაცემები, რაც გულისხმოდა აეროფოტოებისა და ტოპოგრაფიული რუკების მეშვეობით ლიტერატურასა და საარქივო დოკუმენტაციაში ცნობილი ციკლოპური კომპლექსების იდენტიფიკაციას.

აეროფოტოებისა და ტოპოგრაფიული რუკების დამუშავების შედეგად გამოვლინდა სამეცნიერო წრისათვის აქამდე უცნობი სიმაგრეები. ჩატარებული სამუშაოების შეჯამებით გაკეთდა პირველად მონაცემთა ბაზა, რომელიც საველე დაზვერვების დროს მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე დაზუსტდა და შეივსო. ციკლოპურ სიმაგრეებს მიენიჭა ინდივიდუალური ნომრები, რომლებიც განისაზღვრა საქართველოს საკადასტრო კოდირების შესაბამისად.

პროექტის ფარგლებში წარმოებული საველე დაზვერვების დროს მოხდა შესასწავლი ობიექტების ფოტოფიქსაცია, გაკეთდა მათი ზოგადი აღწერილობები, შედგა ობიექტების GPS კოორდინატების ნუსხა. ძეგლებზე ჩატარებული სამუშოების დროს შეგროვდა ზედაპირული არქეოლოგიური მასალა (ტაბ. LIII-LX).

2017-2018 წლებში დაიზვერა ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონები. ციკლოპური კომპლექსების დიდი ნაწილი გამოვლინდა ისტორიული ჯავახეთისა და თრიალეთის ტერიტორიაზე. კერძოდ, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში დადასტურდა 233 ობიექტი. პროექტის ფარგლებში აღრიცხული ციკლოპური კომპლექსები ვრცელდება შემდეგ მუნიციპალიტეტებში: ასპინძა - 54 ერთეული, ახალქალაქი - 121 ერთეული, ბორჯომი - 5 ერთეული, ნინოწმინდა - 53 ერთეული,.

გაცილებით ნაკლები, სულ 63 ციკლოპური კომპლექსი დადასტურდა ქვემო ქართლის ტერიტორიაზე: წალკა - 27 ერთეული, დმანისი - 10 ერთეული, თეთრიწყარო - 12 ერთეული, ბოლნისი - 9 ერთეული, მარნეული - 4 ერთეული.

შესწავლის ისტორია

სამხრეთ კავკასიის ციკლოპური და ზოგადად, მეგალითური კულტურა, ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა, როგორც მეცნიერებში, ასევე, სიძველეთა მოყვარულებში. პირველი მეცნიერული ცნობები ციკლოპური სიმაგრეების შესახებ, 1882 წელს გამოაქვეყნა წალკის ერთ-ერთი სოფლის მასწავლებელმა ა. იოაკიმოვმა. სტატიაში ავტორს ნახსენები აქვს გუმბათის (კატ. #85_5), ავრანლოსა (კატ. #85_3) და ედი-ქილისას (კატ. #85_17) სიმაგრეები [Иоакимов 1882: 8-9]. მეგალითური ძეგლების შესწავლის აუცილებლობის საკითხი კი აღიძრა 1884 წელს, თბილისში ჩატარებულ მეხუთე არქეოლოგიურ ყრილობაზე [Труды. 1887: VII].

XIX საუკუნის ბოლოს, ივანე როსტომაშვილის მიერ ჯავახეთში წარმოებული სამუშაოების დროს, გარდა ხუროთმოძღვრული ძეგლებისა, ციკლოპური ციხეებიც იქნა აღწერილი [Ростомов 1898: 24-108]. შემდგომ პერიოდში, ექვთიმე თაყაიშვილის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომები გარკვეულ ინფორმაციას იძლევა თეთრიწყაროსა და წალკის ციკლოპური სიმაგრეების შესახებ [Такайшвили 1905: 14-15; 1913: 36-37].

1938 წელს გამოქვეყნდა ლ. მელიქსეთ-ბეგის მონოგრაფია, რომელიც ეძღვნებოდა მეგალითურ კულტურას საქართველოში. გარდა სხვადასხვა მეგალითური ძეგლებისა, აქ, კატალოგის სახით, თავმოყრილია იმ პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილი ყველა ციკლოპური სიმაგრე [მელიქსეთ-ბეგი 1938: 49-73].

საქართველოს ტერიტორიაზე ციკლოპური კომპლექსების პირველი არქეოლოგიური კვლევა უკავშირდება ბორის კუფტინის სახელს, რომლის ხელმძღვანელობით 1936-1948 წლებში ისტორიულ თრიალეთში, წალკის წყალსაცავის მშენებლობისას მნიშვნელოვანი ძეგლები იქნა შესწავლილი. ექსპედიციის მიზანს წარმოადგენდა წყალსაცავის ტერიტორიის არქეოლოგიური ძეგლების შესწავლა. თუმცა, ძირითადი სამუშაოების გარდა, გათხრები ასევე ტარდებოდა მომავალი წყალსაცავის მიმდებარე ტერიტორიაზეც. არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარებისას ექსპედიციამ შეისწავლა წალკის პლატოზე არსებული რამდენიმე ციკლოპური კომპლექსი და მათ სიახლოვეს არსებული სამაროვნები [Куфтин 1936; 1937; 1938; 1939; 1940; 1941; 1947; 1948a; 1948].

ციკლოპური სიმაგრეების შესწავლის მხრივ, მნიშვნელოვანია ნიკო ბეძენიშვილის სამხრეთ საქართველოში 30-იან წლებში მოგზაურობის დღიური, რომელიც გამოქვეყნდა 1964 წელს [ბერძენიშვილი 1964]. 1956-58 წლებში, ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით, ისტორიულ-გეოგრაფიულმა ექსპედიციამ ქვემო ქართლის ტერიტორიაზე აწარმოა საველე დაზვერვები, რომლის დროსაც გამოვლინდა 40-ზე მეტი გორა ნამოსახლარი და მათ შორის რამდენიმე, ციკლოპური სიმაგრის მქონე, დასახლება [გრიგოლია, ტატიშვილი 1960: 79]. ამავე წლებში, ტარიელ ჩუბინიშვილმა არქეოლოგიური დაზვერვები აწარმოა სამცხე-ჯავახეთში, ახალქალქის ამირანის გორაზე [ჩუბინიშვილი 1963: 14]. მომდევნო ხანებში, ამავე რეგიონში, დაზვერვებმა სისტემატიური ხასიათი მიიღო, რომლის დროსაც ციკლოპური სტრუქტურებიც დაფიქსირდა. 1968 წელს მესხეთ-ჯავახეთში სადაზვერვო სამუშაოები ოთარ ღამბაშიძემ [ღამბაშიძე 1968], შემდეგ კი, თორნიკე ტატიშვილმა ჩაატარა. მოგვიანებით, თ. ტატიშვილმა გამოაქვეყნა სტატია 1969-1973 წლებში ნანახი ციკლოპური სიმაგრეების შესახებ [ტატიშვილი 1976-77]. აღსანიშნავია დევი ბერძენიშვილის მოღვაწეობა ქვემო ქართლსა [ბერძენიშვილი 1964] და ისტორიულ ჯავახეთში [ბერძენიშვილი 1975]. მან არაერთი მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლი გამოავლინა. მნიშვნელოვანია მისი ნაშრომი ჯავახეთის უძველესი სიმაგრეების შესახებ [ბერძენიშვილი 2002]. დ. ბერძენიშვილის თანაავტორობით 2000 წელს გამოიცა გზამკვლევი, რომელშიც თავმოყრილია ჯავახეთის ციკლოპური კომპლექსების დიდი ნაწილი [ჯავახეთი 2000].

ისტორიულ ჯავახეთში, პირველ ფართომასშტაბიან არქეოლოგიურ სამუშაოებს, რომელიც მიმდინარეობდა უშუალოდ ციკლოპურ სიმაგრეზე, ხელმძღვანელობდა ოთარ ჯაფარიძე. ექსპედიციამ 1974 და 1977 გათხარა „ოკამის გორა“ (კატ. #63_93). ასევე, გაკეთდა სადაზვერვო თხრილები გალავნით გამაგრებულ რამდენიმე გორაზე [ჯაფარიძე 1975; 1981: 140-143]. 1974-1983 წლებში, ჯავახეთში, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, გათხრებსა და დაზვერვებს აწარმოებდა არქეოლოგიური ექსპედიცია ზაალ ქიქოძის ხელმძღვანელობით [ქიქოძე 1977; 1978; 1983; ქიქოძე და ქორიძე 1978; ქიქოძე და გოგაძე 1979]. აღსანიშნავია, რომ ექსპედიციას დაზვერვები ასევე უწარმოებია ქვემო ქართლში, ხრამის ხეობის ტერიტორიაზე, რომლის დროსაც, სხვა ძეგლებთან ერთად, ციკლოპური სტრუქტურებიც დაფიქსირდა [ქიქოძე და ბახტაძე 1984]. 1987-1988 წლებში, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფ. ჯიგრაშენთან, ალექსანდრე ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით, გაითხარა დიგაშენი I და აქვე არსებული სამაროვანი [Орджоникидзе 1995: 80, 82].

ისტორიულ თრიალეთში ციკლოპურ კომპლექსებზე არქეოლოგიური სამუშაოები განახლდა 1990 წელს, გოდერძი ნარიმანიშვილის ხელმძღვანელობით. პირველ წელს სამუშაოები მიმდინარეობდა საბეჭდავის ციკლოპურ ნამოსახლარზე (კატ. #85_12); შემდგომი ორი ათეული წლის მანძილზე სამუშაოებმა ფართო მასშტაბი მიიღო, რის შედეგად გაითხარა რიგი ციკლოპური კომპლექსებისა და მათი თანადროული სამაროვნები [ნარიმანიშვილი და სხვ. 1996; Narimanishvili et. Al. 1998]. აღსანიშნავია, ექსპედიციის მიერ 2000 წელს შაორის (კატ. #65_1) და აბულის (კატ. #65_6) კომპლექსების სრული გეოდეზიური და არქიტექტურული აზომვა [ნარიმანიშვილი 2000; 2009: 46-55]. რამდენიმე ნაშრომში ვრცლად არის განხილული ციკლოპური კომპლექსების მნიშვნელობა და კვლევის შედეგები [Narimanišvili & Šanšašvili 2001; Narimanishvili & Shanshashvili N. 2001; Narimanishvili 2009; ნარიმანიშვილი 2012; Shanshashvili & Narimanishvili 2012; Narimanishvili 2012; ნარიმანიშვილი და შანშაშვილი 2016; Нариманишвили и Шаншашвили 2018].

არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ო. ღამბაშიძის ხელმძღვანელობით 1991 წელს შეისწავლა საროს ციკლოპური კომპლექსის ქვედა ციხე (კატ. #60_11) [ღამბაშიძე და სხვ. 2000]. ამავე წელს, ზ. ქიქოძის და ფ. კოლის ხელმძღვანელობით განახლდა არქეოლოგიური სამუშაოები ჯავახეთში; 1993 წელს კი, ქართულ-ამერიკულმა ექსპედიციამ დაიწყო სათხის ციკლოპური კომპლექსის (კატ. #65_13) არქეოლოგიური შესწავლა. ექსპედიციის ფარგლებში სადაზვერვო თხრილები გაკეთდა ბარალეთის ამაღლების გორაზეც (კატ. #63_19) [Isaac et al. 1994; ქიქოძე 1998].

ქართულ-ავსტრალიურმა ექსპედიციამ კახა კახიანისა და ანტონიო საგონას ხელმძღვანელობით, 2012 წელს არქეოლოგიური სამუშაოები აწარმოა სოფ. ჭობარეთის სატიკნეს გორაზე არსებულ ციკლოპურ სიმაგრეზე (კატ. #60_1) [Kakhiani et al. 2013]. ამავე წელს, ბეშთაშენის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ჩაატარა დაზვერვები ციკლოპური სიმაგრეების გამოსავლენად. დაზვერვებს სისტემატიური ხასიათი ჰქონდა, ყოველწლიურად ხდებოდა გარკვეული კომპლექსების მონახულება და სტატიების გამოქვეყნება [Narimanishvili, D. 2014; 2016; 2017; 2019].

სამხრეთ საქართველოს ციკლოპური კომპლექსები და უძველესი ქვეყნები

მოცემულ თავში განხილულია ციკლოპური კომპლექსების სტრუქტურა და ქრონოლოგიის საკითხები. დეტალური აღწერისათვის შეირჩა სამაგალითო კომპლექსები, რომლებიც მაქსიმალურად ასახავენ სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული ციკლოპური

ფორტიფიკაციების ტიპოლოგიურ მრავალფეროვნებას. ასევე, განხილულია ყველა ის კომპლექსი, რომელიც არქეოლოგიურად არის შესწავლილი.

ნაშრომში აღწერილ ყველა ძეგლს მშენებლობის ერთგვაროვანი ტექნიკა ახასიათებს. სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ციკლოპური სიმაგრეების კედლები, უმეტესწილად, გამაგრებულია კონტრფორსებით. ზოგ შემთხვევაში, ისინი კარგად გამოკვეთილი, ძირითადი კედლის უშუალო, ან შემდგომ მიშენებული კონსტრუქციებია, რომლებიც კედლიდან 1.5-3.0 მეტრით გარეთ გამოსულ, ნახევარწრიულ, ან კუთხეებიან კედლის საბჯენებს წარმოდგენენ. მათი ძირითადი ფუნქცია, მაღალი კედლის მდგრადობის უზრუნველყოფა უნდა ყოფილიყო. სავარაუდოდ, კონტრფორსები კედლის სიმაღლეს არ სცდებოდა, მათზე გადასვლა კი კედლიდან იქნებოდა შესაძლებელი. კონტრფორსების სტრატეგიული დანიშნულება, მტრის მოგერიების თვალსაზრისით, უდაოა. თუმცა, მათი უმთავრესი ფუნქცია, მაინც, კედლის გამაგრება უნდა ყოფილიყო.

კოშკებთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის მხოლოდ რამდენიმე ერთეულია შემორჩენილი - სანთის ქვედა ციხეზე (კატ. #85_6), ბუზმარეთის სიმაგრეზე (კატ. #60_37) და ჭოჭიანის მეგალითური კომპლექსის ციკლოპურ სიმაგრეზე (კატ. #85_19). კოშკები სავარაუდოდ ჰქონდა სანთის ზედა ციხეს (კატ. #85_6) და წყურვეთის სიმაგრეს (კატ. #85_1). აქვე აღვნიშნავ, რომ ცალკე მდგომი კოშკები დადასტურდა ნასოფლარ გრიალას (კატ. #63_108) და სოფ. ბურნაშეთის ტერიტორიაზე (კატ. #63_63).

სანთის მრგვალი კოშკები დამოუკიდებელი ნაგებობებია, რომლებიც გამოწეულია კედლიდან, როგორც შიგნით, ისე გარეთ. მათ შორის აშენებულია ძირითადი თავდაცვითი კედლები. კოშკებში შესასვლელი სიმაგრის შიდა სივრციდან უნდა ყოფილიყო დატანილი, თუმცა, დღეისათვის კარის ღიობები არ ფიქსირდება, რადგან სიმაგრის შიდა სივრცე სრულადაა შევსებული კედლებიდან ჩამოცვენილი ქვებით. ბუზმარეთის კოშკებში მოხვედრა სიმაგრის შიდა ეზოდან იყო შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ კოშკის თავზე მოხვედრა მის შიგნით არსებული კიბეებით იქნებოდა შესაძლებელი. კოშკის შიგნით არსებული კიბეები დადასტურებულია სანთის ზედა ციხეზე (ტაბ. XXXIV-2). აღსანიშნავია, ჭოჭიანის მეგალითური კომპლექსის სიმაგრის კვადატული კოშკი, რომლის ზომებია 6.0x6.0 მეტრი. ის მიშენებულია ძირითადი სიმაგრის ჩრდილო-დასავლეთ კედელზე, საიდანაც არის კომპელქსთან ერთადერთი მისადგომი ადგილი.

შემდგომმა კვლევებმა, შესაძლოა, გვიჩვენოს ქრონოლოგიური სხვაობა კონტრფორსებიან და კოშკებიან ციხეებს შორის.

ციკლოპური კომპლექსების კედლების სისქე, როგორც ჩანს, დამოკიდებული იყო კედლის სიმაღლეზე. მაღალ კედელს სჭირდებოდა განიერი, 3.0-5.0 მეტრის სისქის საძირკველი და კონტრფორსები. ასეთი ტიპის კედლები გააჩნდათ გამაგრებულ დასახლებებს და სიმაგრეებს. სამლოცველოების შემთხვევაში, კედლის საძირკვლები საშუალოდ 2.0 მეტრს შეადგენს. კედლის საძირკვლისა და შემორჩენილი სიმაღლის ზომების მიხედვით, შესაძლებელია, მისი თავდაპირველი სიმაღლის დაახლოებით გამოთვლა.

დღეისათვის, ციკლოპური კედლები, უმეტეს შემთხვევაში, სრულადაა ჩამოშლილი ან მიზანმიმართულადაა დაშლილი მეორადი გამოყენების მიზნით. მხოლოდ მეღრეკის კომპლექსის (კატ. #63_61) გალავნის ნაწილი შეიძლება იყოს თავდაპირველი სახით შემორჩენილი. აქ დადასტურებული ციკლოპური კედლის სისქე საძირკველთან ორ მეტრს აჭარბებს, საიდანაც ის კონუსისებურად ადის ზევით თითქმის 2.5 მეტრზე, ყველაზე მაღალ ადგილას, მისი საპირე ქვები უახლოვდებიან ერთმანეთს, სადაც სისქე 1.5 მეტრს არ აღემატება. აღსანიშნავია, აბულის კომპლექსის (კატ. #65_6) ციტადელის შემორჩენილი კედლების ზომები, სადაც საძირკვლის სისქე 3.0-4.0 მეტრია, კედლის შემორჩენილი სიმაღლე 5.0-7.0 მ, ხოლო კედლის ზედა ნაწილის სისქე შეადგენს 2.0-2.5 მეტრს. აქედან გამომდინარე,

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ციკლოპური თავდაცვითი კედლი, თუ მისი საძირკველი 3.0-3.5 მეტრი სისქისაა, სიმაღლე კი შეიძლება ყოფილიყო 7.0-8.0 მეტრი.

ციკლოპური კომპლექსები, ძირითადად, გავრცელებულია მცირე კავკასიონის მთათა სისტემის ხეობებსა და ტაფობებში. ისინი, ზოგ შემთხვევაში, კომპაქტურად არიან განლაგებულნი ტაფობებსა და ზეგნებზე, ისეთ ადგილებში, სადაც მოსახლეობა ბუნებრივი ზღუდეებით - ხევებით, მდინარეებით და ქედებით იყო დაცული. ასეთი მიკრორეგიონების მისასვლელებთან, უმეტესწილად, განლაგებულია ციკლოპური ციხეები, რომელთა საშუალებით ადვილი იყო რეგიონში მისასვლელი გზების და გადასასვლელების კონტროლი. ბუნებრივი ზღუდეების და ადამიანის მიერ შექმნილი ფორტიფიკაციების ერთობა ქმნიდა თავდაცვით სისტემას, რომელიც ემსახურებოდა კონკრეტული რეგიონის დაცვას. ასეთი ბუნებრივი და ხელოვნური ზღუდეების შეხამებით მიღებული კომპლექსები, როგორც ჩანს, წარმოადგენდა „ლოკალურ არეალებს“.

ურარტულ წერილობით წყაროებში აღწერილია ისტორიული სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარე სამხედრო მოქმედებები აქ არსებული ქვეყნებისა და ტომების წინააღმდეგ. მოცემულ თავში განხილულია იმ ქვეყნების მდებარეობის პრობლემა, რომლებიც, შესაძლოა, განლაგებული იყვნენ დღევანდელი სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე და მოიცავდნენ გარკვეულ „ლოკალურ არეალებს“.

§1. ციკლოპური კომპლექსები

სატიკნე - (კატ. #60_1)

სატიკნეს გორა წარმოადგენს სოფ. ჭობარეთის ჩრდილოეთით მდებარე, მაღალი ქედის თხემზე არსებულ, ერთ-ერთ მწვერვალს, რომლის თავზე და სამხრეთის ფერდზე, 2012 წელს, არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდა ქართულ-ავსტრალიური ექსპედიცია. გორის წვერი ხელოვნურადაა მოვაკებული, მას მშრალი წყობით ნაშენი ორი მეტრის სიგანის გალავანი შემოუყვება [Kakhiani et al. 2013: 8]. ეს უკანასკნელი შედგება ორ რიგად დაწყობილი გარე და შიდა მოზრდილი ქვებისაგან შემდგარი კედლებისა და მათ შორის დარჩენილ სივრცეში ჩაყრილი წვრილი ქვებისაგან. გარე საპირე ქვები შიდასთან შედარებით უფრო მოზრდილია. მათი სიგრძე საშუალოდ 50 სმ-ია. თავდაცვით კედელზე ალიზის აგურების ნაშთი არ დადასტურებულა, რის გამოც გამთხრელებმა ივარაუდეს, რომ, აქ, ხის კონსტრუქცია უნდა ყოფილიყო გამართული, რომელიც მიწით იქნებოდა შევსებული [Kakhiani et al. 2013: 19]. სიმაგრის ტერიტორიაზე, გათხრების შედეგად, ძირითადად, გამოვლინდა ანტიკური და შუა საუკუნეების კერამიკული მასალა [Kakhiani et al. 2013: 29], თუმცა, ასევე, დადასტურდა რკინის ხანის კერამიკის ფრაგმენტებიც [Kakhiani et al. 2013: 35].

სამხრეთ ფერდზე ჩატარებულმა გათხრებმა გამოავლინა მტკვარ-არაქსის კულტურის მძლავრი დასახლება, რომლის თავზე მოქცეული იყო ჩამორეცხილი გვიან ანტიკური და შუასაუკუნეების მასალა. ადრე ბრინჯაოს სტრუქტურების გაწმენდისას, გვიანბრინჯაოს, თუ ადრერკინის ხანის უკონტექსტო კერამიკის ფრაგმენტების აღმოჩენამ, გამთხრელებს, აქ, ამავე პერიოდის დასახლების არსებობა ავარაუდებინა [Kakhiani et al. 2013: 26-27, 34]. დაზვერვებისას, სატიკნეს გორაზე, ჩემს მიერ ნანახი ფორტიფიკაცია, ნამდვილად ეკუთვნის ციკლოპურების რიგს.

სარო - (კატ. #60_11)

(ტაბ. II - 2, 4)

საროს კომპლექსი, პირველად სამეცნიერო ლიტერატურაში, აღწერილია ივ. როსტომაშვილის ნაშრომში [Ростомов 1898: 101]. 1991 წელს, მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, ო. ღამბაშიძის ხელმძღვანელობით, გათხრები აწარმოა საროს ციკლოპურ კომპლექსზე. გათხრების მიზანს წარმოადგენდა ამ ადგილას უძველესი ქალაქური დასახლების გამოვლენა. კომპლექსი შედგება სამი საფორტიფიკაციო ნაგებობისაგან. სოფლის დასავლეთით, განაპირას, მდებარეობს ბერბუკების სახნავ-სათესი, რომელსაც დასავლეთიდან ეკვრის ადგილი „ციხას ყელა“. აქ არსებული, გამაგრებული დასახლება, ცნობილია ქვეუბნის ციხის სახელით. მთავარანგელოზის ეკლესიასთან არსებულ სიმაგრეს ადგილობრივები მოიხსენიებენ როგორც ზედა ციხეს, ან საყდრის ციხეს. აქედან, „სახიზრების ხევის“ გადაღმა, მდებარეობს კოშკი, რომელსაც ახალციხე ეწოდება [ღამბაშიძე 2000: 137].

ქვეუბნის ციხეზე სამუშაოს დაწყებისას, არქეოლოგების ყურადღება მიიქცია დიდი ზომის დამუშავებული ქვების გამოყენებამ და წყობის სიმეტრიულობამ, რომელიც გარკვეულ მსგავსებას იჩენს, ასპინძის მუნიციპალიტეტში ცნობილი, ყორღანული კულტურის სამარხი კამერების სამშენებლო ტექნიკასთან. არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად გამოვლინდა ადრე ბრინჯაოს მტკვარ-არაქსული კულტურის, გვიანი ბრინჯაოს ხანისა და შუასაუკუნეების კერამიკის ნატეხები. საფორტიფიკაციო კედლების გათხრისას დადასტურდა, რომ ისინი საძირკვლის გარეშე, კლდის მასივზეა აგებული. აქედან გამომდინარე, მეცნიერების ვარაუდით, ციხის კედლები არც თუ ისე მაღალი უნდა ყოფილიყო [ღამბაშიძე 2000: 137-138]. ციხიდან მოშორებით ექსპედიციამ შეისწავლა გვიანი ბრინჯაოს საწყისი ეტაპის (ძვ.წ. XV-XIV სს.) და ელინისტური ხანის (ძვ.წ. IV-III სს.) სამარხები [ღამბაშიძე 2000: 136]

ნიალას გორა / „ოჯაყარი“ - (კატ. #60_25)

ნიალას გორა მდებარეობს სოფ. ნიალასა და ლებისს შორის არსებულ ქედზე, რომელიც წარმოადგენს აღნიშნული სოფლების საზღვარს. ქედის თხემზე, „ოჯაყარის“ მთის ჩრდილოეთ ფერდზე, არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, ო. ჯაფარიძის ხელმძღვანელობით, 1975 წელს გაავლო სადაზვერვო თხრილი. გათხრების შედეგად გამოვლინდა დიდი რაოდენობით ადრე-ბრინჯაოს ხანის მტკვარ-არაქსული და შუა საუკუნეების კერამიკის ფრაგმენტები. გორას თავზე შემოუყვება კედელი. ნამოსახლარის პერიმეტრზე იკრიფებოდა მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი კერამიკის ფრაგმენტები. ასეთივე სურათი დადასტურდა ამავე მთის დაბლა მდებარე მოედანზე[2] [ჯაფარიძე 1975: 7]. დაზვერვების დროს, ჩემს მიერ, იმავე ფერდზე, სადაც არქეოლოგიური გათხრები მიმდინარეობდა, აიკრიფა მტკვარ-არაქსული კულტურის კერამიკის ნიმუშები, თუმცა გორის თავზე არსებულ ციკლოპურ ციხეზე, ზედაპირული არქეოლოგიური მასალა არ დადასტურებულა.

„ტყუპები“[3] - (კატ. #60_37)

(ტაბ XI - 1-3)

ციკლოპური სიმაგრე მდებარეობს ბუზმარეთის ტაფობში, სოფ. ვანიდან დასავლეთით, მაღალი მთის წვერის კლდოვან მასივზე. კომპლექსი შედგება ორი კოშკისა და მათ შორის გავლებული კედლისაგან. სიმაგრეს, ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან, გაკეთებული აქვს ქვის ჯავშნიანი ხელოვნური ციცაბო ფერდი, რომელზეც, სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან ადის

2 შეიძლება იგულისხმება #60_24.

3 ძეგლს დასახელება მიანიჭა ავტორმა.

გზა ძირითად კომპლექსამდე. სიმაგრის შესასვლელი შემორჩენილი არ არის, თუმცა, მის მდებარეობაზე კოშკებს შორის მიუთითებს აქვე ამომავალი გზა.

კოშკები ოთხკუთხედის ფორმისაა. მათი ზომები განსხვავებულია. სამხრეთ-დასავლეთის კოშკი შედარებით მცირეა. მისი ზომები საშუალოდ 8x6 მეტრია. კოშკში შესასვლელი ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან ყოფილა. ჩრდილო-აღმოსავლეთის კოშკი მოიცავს დაახლოებით 9x9 მეტრ ფართობს. მას შესასვლელი აღმოსავლეთის მხრიდან აქვს. მათი კედლების სიმაღლე ორ მეტრს აღემატება. კოშკებს შორის აღმართული ყოფილა კედელი. მიუხედავად იმისა, რომ კედელი ცუდადაა შემონახული, აშკარად შეიმჩნევა, რომ ის კოშკებზე დაბალი უნდა ყოფილიყო.

თამარის ციხე[4] - (კატ. #60_38)

(ტაბ XI - 5)

ციკლოპური კომპლექსი მდებარეობს ბუზმარეთის ტაფობში, სოფ. ვანთან, ჩრდილოეთით არსებულ გორის თავზე. ადგილობრივი მოსახლეობა სიმაგრის კედლების ქვებს აქტიურად იყენებს სამშენებლო მასალად, რის გამოც, დღეისათვის, კედლებისგან დარჩენილია მცირე ზომის ქვებისგან შემდგარი გრძივი მაღალი ზვინულები. აღნიშნული კომპლექსი უნდა წარმოადგენდეს აქ არსებული „ქვეყნის“, ან ტომის, ცენტრალურ დასახლებას. ამაზე მიუთითებს მისი გამორჩეული მდებარეობა და მის გარშემო დადასტურებული ციკლპური კომპლექსები - გალავნიანი დასახლებები და ციხეები.

„დევების სახლი“ / „დიდგორა“ - (კატ. #60_42)

(ტაბ XII - 3)

1975 წელს, ო. ჯაფარიძის ხელმძღვანელობით, არქეოლოგიურმა ექსპედიციამ სადაზვერვო თხრილები გაავლო ბერთაყანების ნასოფლართან არსებულ გამაგრებულ გორაზე, რომელსაც „დევების სახლს“ ან „დიდგორას“ უწოდებენ. ეს უკანასკნელი მდებარეობს ნასოფლართან არსებული ყორღანების ჩრდილოეთით, 500-600 მეტრის მოშორებით, თმოგვის ციხის მოპირდაპირედ. მთის წვერი მოვაკებულია და დასავლეთის მხარე შემოზღუდულია დიდი ქვის ლოდებით ნაგები კედლით, რომლის სიგრძე 50 მეტრია, სიმაღლე კი ზოგ ადგილას 2 მეტრამდეა შემორჩენილი. სადაზვერვო თხრილები გაკეთდა კედლიდან სამხრეთ-დასავლეთით 10-15 მეტრის მოშორებით არსებულ ნასახლარებზე, სადაც დიდი რაოდენობით გამოვლინდა შუა საუკუნეების კერამიკა [ჯაფარიძე 1981: 136-137].

ოლავერდი - (კატ. #63_30)

(ტაბ XIII - 3)

ციკლოპური კომპლექსი მდებარეობს სოფ. ოლავერდის ჩრდილოეთით არსებულ მაღალი გორის თხემზე, რომლის სამხრეთი ფერდი სრულად არის დატერასებული. კომპლექსი შედგება ციკლოპური სიმაგრისა და მის სამხრეთით, ფერდზე მდებარე დასახლებისაგან. სიმაგრის კედლები მთლიანად დანგრეულია და თამარის ციხის კედლების მსგავსად, დღეს სახეზე გვაქვს, მხოლოდ, საშუალო და მცირე ზომის ქვებისგან შემდგარი, გრძივი მაღალი ზვინულები.

სიმაგრე დაყოფილია სამ ნაწილად, აქედან ჩრდილოეთის ნაწილი წარმოადგენს ციტადელს, რომელსაც ჩრდილოეთიდან შემოუყვება თავდაცვითი თხრილი. ციტადელის სამხრეთით დარჩენილი სასიმაგრო კომპლექსი ორ, აღმოსავლეთის და დასავლეთის ნაწილებადაა გაყოფილი. დასავლეთის მხარე უფრო ფართოა, ის სცდება ციტადელს. მათ

4 ამ სახელწოდებით იცნობენ ადგილობრივები მოცემულ კომპლექსს.

შორის ღიად დარჩენილი ნაწილი კი, შემოზღუდულია ციტადელის თავდაცვითი თხრილით, რომელიც სიმაგრის დასავლეთ ნაწილის კუთხესთან მთავრდება. სიმაგრის მესამე, აღმოსავლეთის ნაწილი, შედარებით ნაკლებ ფართობს მოიცავს; როგორც ჩანს, აქედან იყო სასიმაგრო კომპლექსში შესასვლელი.

საინტერესოა სიმაგრის სამხრეთით, ფერდზე არსებული ტერასული დასახლება. ის ებჯინება სიმაგრის სამხრეთ ნაწილს, დარჩენილი სამი მხრიდან კი ფორტიფიკაციის კვალი არ შეინიშნება. მასთან მისვლა ადვილად იქნებოდა შესაძლებელი სასიმაგრო კომპლექსის გვერდის ავლით. არაა გამორიცხული, რომ დასახლება, ისევე როგორც სიმაგრის დასავლეთი და აღმოსავლეთი ნაწილები, შედარებით გვიანდელია, სასიმაგრო კომპლექსის თავდაპირველი ფუნქცია კი, აქ არსებული ბუნებრივი გადასასვლელების კონტროლი იყო.

ამირანის გორა (კატ. #63_36)

ამირანის გორა პირველად იხსენიება ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომში - „ახალქალაქს ზეით არს ამირანის-გორა, მტკვრის[5] სამჭრის კიდეზე“ [ვახუშტი ბაგრატიონი, *აღწერა სამეფოსა საქართველოსა:* 131]. პირველმა, ვინც დაადასტურა გორაზე არსებული საფორტიფიკაციო ნაგებობა, იყო ივ. როსტომაშვილი, რომელსაც აქ დუღაბზე ნაშენი ციხის კედლის ნაშთები უნახავს. ადგილობრივმა ქართველმა როსტომაშვილს უამბო თქმულება, რომლის თანახმად, გორის შიგნით ყოფილა კლდეზე მიბმული ამირანი. როსტომაშვილის აზრით, ამირანის გორის სიმაგრის კედლები გამოყენებული იყო ახალქალაქისა და მისი სასიმაგრო სისტემის აშენებისას. იგი, ასევე, აღნიშნავს, რომ გასაკვირია, თუ რატომ არ იხსენიება ეს ციხე შუასაუკუნეების წყაროებში [Ростомов 1898: 31-34]. 1956-1958 წლებში წარმოებული დაზვერვების შედეგად გაირკვა, რომ ახალქალაქის ამირანის გორაზე ერთიმეორის ქვეშ მოქცეულია ადრებრინჯაოს (ძვ. წ. III ათასწლეული) და გვიანბრინჯაო-რკინის (ძვ. წ. II-I ათასწლეულების მიჯნა) ხანის კულტურული ფენები. აქვე დადასტურდა ამავე პერიოდის სამარხები [ჩუბინიშვილი 1963: 14].

პროექტის ფარგლებში წარმოებული დაზვერვების შედეგად, ამირანის გორაზე მხოლოდ მშრალი წყობით ნაშენი კონტრფორსებიანი გალავნის დაფიქსირება შევძელი. ასევე, შესაძლებლად მიმაჩნია, რომ კასტორიუსის რუკაზე დატანილი Caspiae, შესაძლოა იყოს ამირანის გორაზე მდებარე ციკლოპური კომპლექსი. Caspiae-სთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებები აქვთ მეცნიერებს. ერემიანი მიიჩნევს, რომ ეს პუნქტი წუნდას უნდა აღნიშნავდეს [Еремян 1939: 91-92], ჭილაშვილის აზრით Caspiae ხერთვისის აღმნიშვნელია [ჭილაშვილი 1968: 112], ბერძენიშვილი კი ვარაუდობს, რომ რომაული პერიოდის რუკაზე აღნიშნული პუნქტი დღევანდელი სოფ. ხოსპია უნდა ყოფილიყო. მოცემულ მოსაზრებას მკვლევარი ამყარებს ხოსპიას გარშემო არსებული ძეგლების საფუძველზე, რომელთა შორის გამოყოფს ამავე სოფლის თავზე და სოფ. ხორენიას სიახლოვეს არსებულ ციკლოპურ ციხეებს (კატ. #63_44, 45) [ბერძენიშვილი 1985: 85-86].

სულდა - (კატ. #63_48)

(ტაბ XIV - 3)

სამეცნიერო ლიტერატურაში ციხე პირველად ნახსენებია ჯავახეთის ისტორიულ-არქიტექტურულ გზამკვლევში. აქ მოცემული აღწერის მიხედვით, სოფელში მდებარე გორაკზე ყოფილა ციხის ნანგრევი, რომლის კედლების ქვები ადგილობრივებს გამოუყენებიათ გორის თავზე სკოლის მშენებლობის დროს, აშენების შემდეგ კი, სკოლას შემოავლეს გალავანი [ჯავახეთი 2000: 33]. აქვე აღვნიშნავ, რომ გორის თავზე არსებული გალავნის ნაშთი არ

5 იგულისხმება მდ. ფარავანი, რომელსაც ასევე უწოდებდნენ ჯავახეთის მტკვარს.

არის აგებული თანამედროვე პერიოდში, ის ნამდვილად განეკუთვნება ციკლოპურ სიმაგრეთა რიცხვს. სამწუხაროდ, დღეისათვის კედელი მხოლოდ ორ-სამ წყებადაა შემორჩენილი. გორის თავზე, ასევე, შემორჩა ქვის მშრალი წყობის ნაგებობა, რომლის დიდი ნაწილი სკოლის შენობას აქვს დაზიანებული.

აღნიშნული ძეგლი პირველად მოვინახულე 2013 წელს, როდესაც გორის ფერდზე ადგილობრივი მოსახლეობის მიერ მიმდინარეობდა ეკლესიის რეაბილიტაცია. ეკლესიის გარშემო მოჭრილი იყო ფერდის დიდი ნაწილი. გადანაყარ მიწაში აიკრიფა რკინის ხანის და შუა საუკუნეების კერამიკული მასალა.

ეკლესიის ინტერიერსა და მის გარეთ ჩატარებულმა არქეოლოგიურმა სამუშაოებმა ნამოსახლარის კვალი ვერ გამოავლინა [ნარიმანიშვილი 2013]. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ჩემს მიერ აკრეფილი კერამიკული მასალა ჩამორეცხილია გამაგრებული დასახლების ტერიტორიიდან, როდესაც მოხდა გორის თავის მოსწორება და სკოლის აშენება.

მეღრეკის ციხე - (კატ. #63_87)

(ტაბ XVI - 6)

კომპლექსი მდებარეობს სოფ. იხტილადან პატარა სამსარისკენ მიმავალ, ახლად გაჭრილი გზის შუა ნაწილში, მარცხენა მხარეს არსებულ გორაზე. გზის მშენებლობისას, გორის თითქმის ნახევარი მოიჭრა, რამაც გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა აქ არსებულ არქეოლოგიურ ძეგლს. დანგრეული გორის ჭრილში გამოჩნდა თითქმის 8 მეტრის სიმძლავრის კულტურული ფენა, რომელშიც იკვეთება სამი სხვადსახვა პერიოდის დასახლების კვალი. გორის თავზე, თავდაპირველად, შეიმჩნეოდა მხოლოდ დუღაბით ნაშენი ციხის ნანგრევი. ხელმეორედ წარმოებული დაზვერვებისას დაფიქსირდა გორაზე ახლად აყვანილი გზა, რომელმაც საძირკვლიანად მოთხარა გვიანდელი ციხის კედლის ერთი ნაწილი, თუმცა გამოაჩინა უფრო ადრეული, ციკლოპური წყობით ნაგები ციხის კედელი. საინტერესოა, რომ გორის ჭრილში გამოვლენილი არქეოლოგიური მასალის საფუძველზე, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ზედა ფენა განეკუთვნება შუა საუკუნეებს. მომდევნო კულტურული ფენა გვიან ბრინჯაოსა და რკინის ხანის არქეოლოგიური მასალის შემცველია. ქვედა, ყველაზე მძლავრი კულტურული ფენა განეკუთვნება ადრებრინჯაოს ხანას, მტკვარ-არაქსის კულტურას, რომელშიც შეიმჩნევა ორი სამშენებლო ჰორიზონტი. აღნიშნული გორა წარმოადგენს უნიკალურ შემთხვევას, სადაც ნათლად ჩანს კულტურული ფენებისა და სხვადასხვა ტექნიკით ნაშენი სიმაგრეების ერთმანეთთან მიმართება ქრონოლოგიურ ჭრილში.

„ოკამის გორა“ - (კატ. #63_93)

(ტაბ. XVII - 1)

ოკამის გორაზე და მის გარშემო, 1.5 კმ-ს რადიუსში, 1970 წელს ჩატარებული საველე დაზვერვების შედეგად, აიკრიფა მტკვარ-არაქსის და ელინისტური ხანის კერამიკული მასალა. ექსპედიციას ხელმძღვანელობდა ო. ჯაფარიძე.

გორა გამაგრებული ყოფილა კონტრფორსებიანი ციკლოპური გალავნით. 1974 წელს გაკეთდა პირველი სადაზვერვო თხრილი, რომელშიც დადასტურდა ზემოთ ნახსენები პერიოდების გარდა, გვიანბრინაჯოს ხანისა და შუა საუკუნეების ჭურჭლის ნატეხებიც. სადაზვერვო თხრილები, ასევე, გაკეთდა გორის ჩრდილოეთით, 500 მეტრში, ქვაყრილებიან მოედანზე. ერთ-ერთი თხრილის გაჭრისას, მთელ ფართობზე აიკრიფა მტკვარ-არაქსის, გვიანბრინჯაოსა და ანტიკური ხანის კერამიკის ნატეხები, ხოლო 1.20-1.50 მ-ის სიღრმის

თხრილში ორი საამშენებლო ჰორიზონტი დადასტურდა.

1977 წლიდან ოკამის გორაზე დაიწყო არქეოლოგიური გათხრები. ექსპედიციის ძირითად მიზანს წარმოადგენდა იმის გარკვევა, თუ რა ხანიდან ხდება ოკამის გორის დასახლება და როდის იგება აქ საფორტიფიკაციო სისტემა. წარმოებული არქეოლოგიური სამუშაოებისას, გორაზე გამოიკვეთა სამი საამშენებლო ჰორიზონტი. აქ აღმოჩენილი მასალა განეკუთვნება მტკვარ-არაქსის, გვიანბრინჯაოს, ელინისტურ და შუა საუკუნეების პერიოდებს. აღსანიშნავია, რომ ო. ჯაფარიძის ვარაუდით, კერამიკის გარკვეული ნაწილი, შეიძლება განეკუთვნებოდეს ურარტულ კულტურას. ასევე, საინტერესოა გორის ცენტრალურ ნაწილში გათხრილი ელინისტური ხანის სამარხი.

გათხრებისას მოპოვებული მონაცემებიდან გამომდინარე, ო. ჯაფარიძე აღნიშნავს, რომ ჯავახეთში, ელინისტურ ხანაში, იქმნება დიდი ქალაქური ტიპის დასახლებები, რომლის მაგალითს ოკამის გორა და მისი შემოგარენი უნდა წამოადგენდეს. ოკამის გორა ამ დასახლების შიდაციხე - ციტადელი უნდა ყოფილიყო. როგორც ჩანს, მტკვარ-არაქსული კულტურის დასახლებაზე, ელინისტურ ხანაში და შესაძლოა უფრო ადრეულ პერიოდში, იგება ციხე, რომელიც ფუნქციონირებას შუა საუკუნეებშიც აგრძელებს [ჯაფარიძე 1981: 140-142].

შაორი - (კატ. #65_1)

(ტაბ. XVIII, XIX - 1-4)

ვახუშტი ბაგრატიონი შაორის ციხეს შემდეგი სიტყვებით აღწერს - "შაორის მთის თხემსა ზედა დგას ციხე დიდროვანის ლოდითა ნაშენი" [ვახუშტი ბაგრატიონი, *აღწერა სამეფოსა საქართველოსა:* 43]. სამეცნიერო ლიტერატურაში, შაორის შესახებ, პირველ ცნობას გვაწვდის ივ. როსტომაშვილი [Ростомов 1898: 31-34]. მეგალითური კომპლექსი მდებარეობს ჯავახეთში, ფარავნის ტბის ჩრდილო-დასავლეთით, შაორის მთის წვერზე. კომპლექსი ორი ნაწილისაგან შედგება და მთის ორ, მაღალ და დაბალ წვერზეა გაშენებული. „ზედა ციხე" მდებარეობს მთის მაღალ წვერზე. მისი კედლები ნაგებია მშრალი წყობით, აქვე უხვად არსებული ფილაქვების გამოყენებით. კედლის ქვედა ნაწილის სისქე ზოგ შემთხვევაში 4.5 მეტრია, სიმაღლე კი ხუთ მეტრს შეადგენს. შიდა სივრცეში სიმაგრეს მიშენებული აქვს სათავსოები, რომლებიც ერთ, ან ორ სართულად იყო განლაგებული. აქვე კიბის ნანგრევები ყოფილა შემორჩენილი, რომლის მეშვეობით კედელზე ასვლა იყო შესაძლებელი [ნარიმანიშვილი 2009: 46-48].

1895 წელს, შაორის კომპლექსის ზედა ციხე, ე. ლალაიანს მოუნახულებია. მის სომეხ გამყოლს ციხის ერთ-ერთ სათავსოში ადრე უნახავს უიარაღო, უქუდო და ტანსაცმლით მუხლებამდე შემოსილი ადამიანის ქანდაკება, რომელსაც ორივე მხარეს ჰქონია წარწერა. ლალაიანის გამყოლს და მის ქართველ თანამგზავრს აღნიშნული წარწერის ასოები ვერ ამოუცნიათ. ლალაიანის დროს ქანდაკება უკვე დაკარგული ყოფილა [მელიქსეთ-ბეგი 1938: 71-72].

ზედა ციხეს მხოლოდ ერთი შესასვლელი აქვს აღმოსავლეთიდან, აქვე ყოფილა აღმართული ერთი მენჰირი. აქედან, დიდი ფილაქვებით მოგებული განიერი გზა, სერპანტინად მიემართება მთის დაბალი მწვერვალისკენ, სადაც მდებარეობს „ქვედა ციხე" [მელიქსეთ-ბეგი 1938: 71]. გზის გასწვრივ დადასტურებულ მოედნებზე რამდენიმე მენჰირი ყოფილა აღმართული. აქვეა შემორჩენილია სხვადასხვა ზომის სათავსოები [ნარიმანიშვილი 2009: 48-49].

შაორის ორივე სიმაგრე წარმოადგენს ციკლოპური წყობით ნაშენ გალავანებს, რომელთა შიგნით არსებული სათავსოები მიდგმულია თავდაცვით კედელზე. ქვედა ციხის დასავლეთით არსებულ ვაკე ადგილზე მთავრდება ზედა ციხიდან ჩამომავალი გზა. აქედან ის ბილიკის

სახით იწყებს მთის სამხრეთ ფერდზე დაშვებას. გაივლის ჯერ კომპლექსის გარე გალავანს და მიუყვება მთის სამხრეთ-დასავლეთ ფერდს [ნარიმანიშვილი 2012: 136-137]. მთის ძირთან ბილიკი ფართოვდება და კვლავ ქვებით მოგებულ გზად გარდაიქმნება, თუმცა ის მხოლოდ 50-60 მეტრის სიგრძეზეა შემორჩენილი. მთის ძირში, სადაც ჩამოდის საბოლოოდ ბილიკი, დადასტურდა ნამოსახლარის კვალი. გ. ნარიმანიშვილი აღნიშნავს, რომ შაორის მთის ძირში, ჩრდილოეთის მხრიდან მდებარეობდა კომპლექსის ქვედა კარიბჭე. აქედან, აღმოსავლეთის ფერდის გავლით, ადიოდა ძირითადი გზა ქვედა ციხესთან არსებულ მინდორზე [ნარიმანიშვილი 2012: 137]. არ გამოვრიცხავ, რომ შაორის მეგალითურ კომპლექსზე ორი გზა ადიოდა, რაც, შესაძლოა, ასევე მიუთითებდეს კომპლექსის გამოყენებაზე სხვადასხვა დროს.

გ. ნარიმანიშვილის მიერ გამოთქმული ვარაუდის თანახმად, შაორის კომპლექსი შეიძლება საკულტო დანიშნულების ყოფილიყო. ასევე, მკვლევარი გარკვეულ მსგავსებას ხედავს ზურტაკეტის და თრიალეთის ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისის ყორღანებსა და შაორის კომპლექსს შორის, რის გამოც, სამუშაო ჰიპოტეზის დონეზე, შესაძლებლად მიაჩნია ამ უკანაკნელისა და შუაბრინჯაოს ყორღანების თანადროულობა [ნარიმანიშვილი 2009: 51]. აღსანიშნავია, რომ შაორის მთაზე არსებულ სიმაგრეებს არ გააჩნია კონტრფორსები. ეს შეიძლება მიუთითებდეს ქრონოლოგიურ სხვაობაზე სხვა სიმაგრეებთან მიმართებაში. თუმცა, არ გამოვრიცხავ, რომ კონტრფორსების არარსებობა, საკულტო დანიშნულების ნაგებობების ერთგვარი ინდიკატორიც შეიძლება იყოს.

შაორის კომპლექსი, როგორც ჩანს, წარმოადგენდა დიდ საკულტო ცენტრს, რომელიც აბულის ციკლოპურ კომპლექსთან ერთად აერთიანებდა გარკვეულ „ქვეყანას“ და სავარაუდოდ, მასში შემავალ სხვა, მცირე პოლიტიკურ ერთეულებს.

აბული - (კატ. #65_6)

(ტაბ. XX, XXI)

სამეცნიერო ლიტერატურაში აბულის შესახებ პირველ ცნობას გვაწვდის ივ. როსტომაშვილი [Ростомов 1898: 31-34]. კომპლექსი მდებარეობს მთა პატარა აბულის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდზე. ის აშენებულია კარკნალზე, რაც მას ვიზუალურ გრანდიოზულობას მატებს, მისადგომად კი ძალზე რთულს ხდის.

ციხე-ქალაქი შედგება ციტადელისა და მის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე დასახლებისაგან, რომლის ვიწრო, ფილაქვით მოგებულ ქუჩებში დღესაც კი შეიძლება გავლა. აღსანიშნავია, რომ ციტადელს დამატებით შემოუყვება მასიური გალავანი, რომელსაც გარეთა მხრიდან მიშენებული აქვს სათავსოები, შიდა მხრიდან კი, ზოგ შემთხვევაში, სათავსოები თავდაცვით კედლშია გამართული. სათავსოები, ასევე, დადასტურებულია ციტადელის შიგნით, სადაც მათი კონსტრუქცია ორ და სამ სართულამდე არის შემორჩენილი. ხეობიდან კომპლექსამდე მიემართება კარკნალში გაკეთებული ბილიკი [Narimanishvili et al. 2018: 383]. თავდაცვითი ზღუდე, თუ ტერასის გასამაგრებელი კედელი, დადასტურდა დასახლების ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილშიც.

ციხე-ქალაქი გაშენებულია სამ ჰექტარზე, აქედან ციტადელს უკავია 0.5 ჰა-ზე მეტი ფართობი. მისი კედლები მასიური კონტრფორსებითაა გამაგრებული, კედლის შემორჩენილი სიმაღლე შვიდი მეტრია, სიგანე საძირკველთან ხუთ მეტრს აღწევს, ზევით კი 2.5 მ-ია. ციტადელს სამი შესასვლელი ჰქონია [Narimanishvili et al. 2018: 383], რომელთა მეშვეობით შესაძლებელი იყო ეზოში მოხვედრა.

თორია - (კატ. #65_10)

(ტაბ. XXII - 1)

კომპლექსი მდებარეობს სოფ. თორიას თავზე არსებული მთის თხემზე, ყველაზე მაღალ ადგილას. სასიმაგრო კედლები სრულიად არის დანგრეული და დღეისათვის წარმოადგენს წვრილი ქვების გრძივ, მაღალ ზვინულს. კედლების ასეთი შემორჩენილობა მეტყველებს ადგილობრივი მოსახლეობის მიერ საპირე ქვების სამშენებლო მასალად გამოყენებაზე.

კომპლექსი შედგება ციტადელისა და მის სამხრეთით, მთის ფერდზე შეფენილი, ვრცელი დასახლებისაგან. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, იყოფა ორ ნაწილად. პირველი შედარებით ნაკლებ ფართობს მოიცავს. ის ჩრდილოეთით ებჯინება ციტადელს, დარჩენილი სამი მხრიდან კი, შემოზღუდულია გალავნით. აქედან სამხრეთით, მთის შუაწელამდე, შეფენილია დასახლების მეორე ნაწილი, რომელიც ტერასებადაა დაყოფილი. ამ უკანასკნელს აღმოსავლეთიდან ორი ზღუდე იცავდა. პირველი, 200 მეტრის სიგრძისაა, ის იწყება ქვედა დასახლების შუა ნაწილიდან და ადის ზედა დასახლებასთან, სადაც უერთდება ამ უკანასკნელის თავდაცვით კედელს. ხოლო მეორე ზღუდე, 600 მეტრის სიგრძისაა. ის იწყება ქვედა დასახლების ბოლოდან და ადის თხემზე, ციტადელთან, ამ უკანასკნელიდან 70 მ-ის დაშორებით. აქედან ზღუდე რკალისებურად შემოსდევს ციტადელს და მთავრდება მთის თხემზე, ციტადელიდან დასავლეთით, 100 მ-ის მოშორებით. აღსანიშნავია, რომ მთის თავზე, თავდაცვის მიზნით, ამ ზღუდეს გარედან შემოსდევს თხრილი.

პირველ თავდაცვით სისტემასა და ციტადელს შორის, ამ უკანასკნელის დასავლეთით, იკითხება კიდევ ერთი ზღუდე, რომლის სიგრძეც მხოლოდ 100 მეტრს შეადგენს. ციტადელს, აღნიშნული თხრილის და ზღუდეების გარდა, იცავდა მისი ჩრდილოეთის კედლის გასწვრივ არსებული ღრმა თხრილი. როგორც უკვე აღინიშნა, სიმაგრე სრულადაა ჩამოშლილი, თუმცა რამდენიმე ადგილზე მაინც შეიმჩნევა მასიური ქვებით ნაშენი კედლები და კონტრფორსები. კომპლექსამდე მისასვლელი გზა, სავარაუდოდ, ადიოდა მთის დასავლეთი ფერდიდან, რომელიც იწყებოდა დღევანდელი სოფლის ბოლოდან. აქედან მიემართებოდა ჩრდილოეთით, შემდეგ, მთის ფერდის შუა ნაწილში, ის უხვევდა აღმოსავლეთით და მიდიოდა თხემზე მდგარ საყდართან, რომელშიც დადასტურდა ქვის დაუმუშავებელი სტელა. აღსანიშნავია, რომ საყდრის გარშემო იკითხება ქვის წრიული მოყვანილობის გალავნის ნაშთი. აღნიშნული სტელა წრიულ გალავანთან ერთად, შესაძლოა იყოს წარმართული სამლოცველო კომპლექსის ნაშთი, თუმცა, ასევე, არ გამოვრიცხავ, რომ, ის იყო აქ არსებული გზის მაჩვენებელი. სოფლის ტერიტორიაზე ქვის სტელის, ან მენჰირის არსებობაზე ასევე მიუთითებს საბჭოთა დროის ტოპოგრაფიულ რუკებზე დატანილი ნიშანი, რომელიც გამოიყენებოდა მაღალი მონოლითების აღსანიშნავად. ასეა მონიშნული ბარალეთის ამაღლების სვეტი, განძანის და ჭიქიანის (თიქმა-დაში) მენჰირები.

აქვე დავამატებ, რომ მთის თავი წარმოადგენს კრატერისებურ წარმონაქმნს, რომელიც მოიცავს 14 ჰექტარს. ამ ტერიტორიას ადგილობრივი მოსახლეობა დღესაც აქტიურად იყენებს სახნავ-სათესად. კრატერის ცენტრალურ, ყველაზე ჩავარდნილ ნაწილში, შეიმჩნევა წყლის მოგროვების შედეგად წარმოქმნილი ნატბეური თუ ნაჭაობარი. აღნიშნული ტერიტორია მიწათმოქმედებისათვის საკმაოდ ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო და სრულად უზრუნველყოფდა მოსახლეობას საარსებო რესურსით.

ტონთიო - (კატ. #65_11)

(ტაბ. XXII - 3-5)

ტონთიოს ციკლოპური კომპლექსი, ყაურმა-ყალას სახელით პირველად ნახსენები აქვს ლ. მელიქსეთ-ბეგს, თუმცა, მის მიერ წარმოდგენილი აღწერა ძალზე ზოგადია და მხოლოდ მიუთითებს ციხის მდებარეობაზე [მელიქსეთ-ბეგი 1938: 61-62]. დ. ბერძენიშვილს ამ

კომპლექსის შესახებ საკმაოდ საინტერესო ინფორმაცია[6] და ასევე, ზედა დასახლებისა და ციტადელის ნახაზი აქვს გამოქვეყნებული [ბერძენიშვილი 1985: 94].

კომპლექსი მდებარეობს სოფ. ყაურმის ჩრდილოეთით არსებული გორის თავზე. ის შედგება ციტადელის, მის გარშემო არსებული გამაგრებული დასახლებისა და გორის სამხრეთ ფერდზე შეფენილი ვრცელი დასახლებისაგან.

ციტადელის მასიურ, 3.0-3.5 მეტრის სიგანის კედლის დასავლეთის მხრიდან, კუთხეებში და ასევე, ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში, დასტურდება კონტრფორსები. სამხრეთ-დასავლეთის კუთხის კონტრფორსის გვერდით, ციტადელის სამხრეთ ნაწილში, მოწყობილი ყოფილა შესასვლელი, რომლის აღმოსავლეთი ნაწილი თითქოს კიდევ ერთ, მცირე კონტრფორსს წარმოადგენს. აღნიშნული სასიმაგრო ნაგებობა შეიძლება ყოფილიყო „ქვეყნის“, ან ტომის ბელადის საცხოვრებელი, რადგან, ის, თავის მხრივ, მდებარეობს ციკლოპური გალავნით გარშემორტყმული დასახლების ცენტრში. იქ მოხვედრა შესაძლებელი იყო დასავლეთის მხრიდან დატოვებული შესასვლელით. აღნიშნულ დასახლებას, გარდა სასიმაგრო კედლისა, ასევე იცავდა ამავე კედლის გარეთ არსებული ქვის ზღუდე, რომელსაც ჩრდილოეთის მხრიდან შემოსდევს თავდაცვითი თხრილი. გორის ჩრდილოეთის ფერდზე დადასტურდა კიდევ ოთხი თხრილი, რომლებიც ზოგ მონაკვეთზე გარდაიქმნებიან ტერასებად. ქვემოდან, მეორე და მესამე თხრილებს შორის, დაფიქსირდა, შედარებით მცირე, ექვსი ტერასისებური თხრილი, რომლებიც ერთმანეთს არ ებმიან და თითქოს ჭადრაკულად არიან განლაგებულნი.

მთის თავზე არსებული გამაგრებული დასახლების შესასვლელიდან დასავლეთით, ზემოდან მეორე თხრილის დასაწყისიდან, ფერდზე ეშვება ქვის ზღუდე, რომელიც გარკვეულ მონაკვეთზე სწორხაზოვნად მიემართება. შემდეგ, ფერდის შუა ნაწილში, მკვეთრად უხვევს ჩრდილოეთით და უერთდება ქვემოდან მეორე თხრილს. ამავე ზღუდიდან ჩრდილოეთით, 60 მეტრში, იკითხება მეორე ზღუდე, რომელიც, პირველის მსგავსად, იწყება ზემოდან, მეორე თხრილის შუა ნაწილიდან, ეშვება ფერდზე და უერთდება ქვემოდან მეორე თხრილს, ამ უკანასკნელის თავიდან 50 მეტრში. თავდაცვითი, ძალზე რთული სისტემა, სრულად ფარავდა კომპლექსთან ჩრდილოეთის მხრიდან მისადგომ მონაკვეთს. აღსანიშნავია, რომ ფერდზე არსებული ოთხივე თხრილი მთავრდება ზედა დასახლების ჩრდილო-აღმოსავლეთით არსებულ კლდოვან ციცაბო ფერდთან, საიდანაც კომპლექსი ბუნებრივად იყო დაცული.

ციტადელისა და ზედა დასახლების სამხრეთით, გორის ფერდზე ფიქსირდება ვრცელი დასახლება, რომელიც თითქოს ორ ნაწილად არის გაყოფილი. პირველი მონაკვეთი იწყება ზედა დასახლებიდან და ვრცელდება გორის ფერდზე, სამხრეთის მიმართულებით. დასახლების ბოლოში, ფერდზე, შეიმჩნევა ტერასისებური წარმონაქმნი. აქედან სამხრეთით, გორის შუა ნაწილში არსებულ მოვაკებულ ადგილს სამი მხრიდან შემოუყვება თავდაცვითი კედელი. მოვაკებულ ადგილზე იკითხება ნასახლარები. ჩემი აზრით, ფერდზე და ვაკეზე არსებული დასახლებები იყოფა ტერასისებური წარმონაქმნით, რომელზეც ზევით იყო ლაპარაკი. არაა გამორიცხული, რომ აღნიშნული ტერასა, შესაძლოა, ყოფილიყო გზა, რომელიც ქვედა დასახლებიდან, ფერდის დასახლების გავლით, ადიოდა ზედა გამაგრებულ დასახლებაში. ქვედა დასახლების დასავლეთით არსებულ კედელში, თითქოს, შეიმჩნევა შესასვლელის კვალი, რომელიც შემოსდევს გორის დასავლეთ ფერდს და ბილიკის სახით უერთდება ქვემოდან მეორე თავდაცვით თხრილს. აქვე დავამატებ, რომ გორის აღმოსავლეთი და დასავლეთი ფერდები მოფენილია სხვადასხვა ზომის ქვებით, რაც დამატებით სირთულეს წარმოადგენს გორაზე ასვლისას. სამხრეთის და ჩრდილო-აღმოსავლეთი ფერდები წარმოადგენენ კლდოვან მასივს, რაც ამ ადგილებს სრულიად მიუდგომელს ხდის. კომპლექსამდე, კერძოდ კი ზედა

6 დ. ბერძენიშვილის აზრით, აღნიშნული გორა შესაძლოა იყოს შუასაუკუნეების წყაროებში მოხსენიებული ტონთიოს მთა, რომელშიც მეფე არჩილს VII საუკუნეში დაუმალავს „საგანძურნი ქართლისა და ჯავახეთისანი“ [ბერძენიშვილი 1985: 94].

დასახლებამდე, ერთადერთი მისასვლელი რჩება ჩრდილოეთის და ჩრდილო-დასავლეთის ფერდი. ეს ადგილი კი საკმაოდ კარგად იყო დაცული აქ არსებული საფორტიფიკაციო სისტემით.

მომავალმა კვლევებმა, შესაძლოა, გამოავლინოს განსხვავებული ქრონოლოგიური პლასტები კომპლექსის რთულ თავდაცვით სისტემაში და დასახლებების მრავალფეროვნებაში.

სათხე - (კატ. #65_13)

(ტაბ. XXII - 1-2)

უძველესი ხანის დასახლება მდებარებს სოფელ სათხეს თავზე არსებული გორის კრატერისებურ ჩავარდნაში, რომელსაც შემოზღუდავს გორის ნალისებურ თხემზე არსებული ციკლოპური გალავანი. 1991 წელს არქეოლოგიურ გათხრებს სათხის კომპლექსზე აწარმოებდა ქართულ-ამერიკული ექსპედიცია, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენდა მტკვარ-არაქსული ნამოსახლარის შესწავლა და ციკლოპური კედლის დათარიღება. გათხრების შედეგად გამოვლინდა ადრებრინჯაოს ხანის მტკვარ-არაქსული კულტურის ორი სამშენებლო ჰორიზონტი, რომელსაც თითქოს ფარავდა ელინისტური ხანისა და შუა საუკუნეების კულტურული ფენები. ციკლოპური კედლის დასათარიღებლად გაკეთდა ორი თხრილი. ერთ-ერთის გათხრისას გაირკვა, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკის შემცველი ფენა შედიოდა კედლის ქვეშ. ამ ფაქტმა დაადასტურა, რომ შესწავლილ მონაკვეთში კედელი ადრებრინჯაოს ხანას არ განეკუთვნება და უფრო გვიან იყო აშენებული. მეორე თხრილის შემთხვევაში კი გამოვლინდა, რომ კედელი კლდოვან მასივზე იყო დაშენებული [Isaac et al. 1994: 23]. გათხრებისას, ზემოთ ნახსენები პერიოდების გარდა, ასევე, დადასტურდა გვიანბრინჯაო-რკინის ხანის მასალაც [Carson et al. 1991: 1, 9-10]. აღსანიშნავია, რომ ნამოსახლარის გარკვეულ მონაკვეთებზე მტკვარ-არაქსის კულტურის შემცველი ფენები სრულადაა დაზიანებული, ჯერ გვიან ბრინჯაოს ხანაში, შემდეგ კი, შუა საუკუნეებში [ქიქოძე 1993: 1].

ამავე ექსპედიციამ, 1993 წელს, გარკვეული სამუშაოები ჩაატარა ბარალეთის ამაღლების გორაზე (კატ. #63_19). ზედაპირული დაზვერვების შედეგად დადასტურდა ადრე ბრინჯაოს და რკინის ხანის დასახლება, რომელსაც, სავარაუდოდ, თავდაცვითი ნაგებობა გააჩნდა. გაკეთებულ სადაზვერვო თხრილში კი, გარდა ზემოთ აღნიშნული პერიოდებისა, გამოვლინდა შუა საუკუნეების არქეოლოგიური მასალაც [Isaac et al. 1994: 26].

დმანისის ციკლოპური „ნაქალაქარი“ - (კატ. #82_5)

(ტაბ. XXVIII - 5-6)

კომპლექსი მდებარეობს ქ. დმანისის დასავლეთ ნაწილში, მდ. მაშავერასა და მის მარცხენა შენაკადს შორის არსებულ მაღალ კონცხზე, რომელიც დასავლეთის მიმართულებით მცირე პლატოს სახით არის წარმოდგენილი. კომპლექსი ვრცელდება 82 ჰექტარზე და შედგება ციტადელის, საგუშაგოს, ძირითადი დასახლების და თავდაცვითი ზღუდეებისაგან. დღეისათვის, ნაგებობათა კედლები, უმეტეს შემთხვევაში, საძირკვლის დონემდეა დანგრეული.

ციტადელი, რომლის ფართობი 1.4 ჰექტარს შეადგენს, მდებარეობს კონცხის აღმოსავლეთ ნაწილში და შედგება სამი ციკლოპური კედლის, დასახლებისა და თავდაცვითი თხრილისაგან. ამ კომპლექსის შიდა დასახლებას უკავია 0.6 ჰა, რომელსაც შესასვლელი ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან ჰქონია. ეს უკანასკნელი კარგად ჩანს შიგნიდან პირველ თავდაცვით კედელში, სადაც მისი სიგანე 4.0-4.5 მეტრია. აქედან ჩრდილოეთით, 10 მეტრში, პირველი კედლის პარალელურად მეორე თავდაცვითი კედლია, რომელიც ხევის ნაპირიდან დასავლეთის მიმართულებით 40 მეტრზე გრძელდება, შემდეგ წყდება და ჩრდილოეთით 4.0-5.0 მეტრში კვლავ იწყება, საიდანაც პარალელურად მიუყვება პირველ თავდაცვით კედელს 15

მეტრის დაშორებით. მესამე კედლის შემთხვევაში, შესასვლელი, როგორც ჩანს, მდებარეობდა კონცხის უშუალო ნაპირზე, საიდანაც კლდეში გაჭრილი გზა ჩადიოდა ხეობაში.

პირველი თავდაცვითი კედლის სიგანე 3.0-3.5 მეტრია, თუმცა, შესასვლელთან ის 4.0 მეტრს შეადგენს. აქედან დასავლეთით, თითქოს, იკითხება კონტრფორსის კვალი. მეორე და მესამე თავდაცვითი კედლების სიგანე არ ფიქსირდება, ისინი მეტწილად ქვის გრძივ, შედარებით შემაღლებულ ზვინულებად შემოუყვება დასახლებას. მესამე კედლის გარედან ჩანს თავდაცვითი თხრილის კვალი. კედლებს შორის, მაშავერას ხეობის ნაპირზე, ორი გრძივი მართკუთხა ნაგებობის ნაშთია. აღსანიშნავია, რომ ცენტრალურ ნაწილში სამივე კედელი ერთი მეორისგან თითქმის ერთი მანძილით—20-25 მეტრით არიან დაშორებული. სამივე კედელი რკალისებურად შემოსდევს დასახლებას ხევიდან ხევამდე. აქვე აღვნიშნავ, რომ პირველ და მეორე თავდაცვით კედლებს შორის შეიმჩნევა ნაგებობათა კვალი. დაზვერვების დროს აკრეფილი კერამიკული მასალა მეტწილად გვიანბრინჯაო-რკინის ხანას განეკუთვნება.

ციტადელიდან ჩრდილო-დასავლეთით, მცირე კონცხზე 2.5-3.0 მეტრის სიგანის კედლებისგან შემდგარი თავდაცვითი ნაგებობაა, რომელიც მოიცავს 75 მ^2. სავარაუდოდ, აქ უნდა ყოფილიყო საგუშაგო, რომელიც შეიძლება ციტადელის თანადროული იყო, რადგან აქედან არის შესაძლებელი მაშავერას მარცხენა შენაკადის ხეობის კონტროლი.

ხევებს შორის არსებული პლატოს მთელ ტერიტორიაზე იკითხება ნაგებობათა ნაშთები. როგორც ჩანს, ეს უნდა ყოფილიყო დმანისის ციკლოპური კომპლექსის ძირითადი დასახლება. მის დასავლეთ ნაწილში დადასტურდა ორი თავდაცვითი ზღუდე, რომლებიც ხეობიდან ხეობამდეა გადაჭიმული. პირველი კედელი პლატოს ცენტრიდან სამხრეთით და ჩრდილოეთით მიემართება ხევებისაკენ. მისი სიგრძე 1 კმ-ია, სიგანე კი 2.5-3.0 მეტრს შეადგენს.

პირველი კედლიდან დასავლეთით, 130-150 მეტრში, დადასტურდა მეორე თავდაცვითი კედელი, რომელიც ზოგ ადგილებში მთლიანადაა დანგრეული და საერთოდ არ ფიქსირდება. მისი სიგრძე დაახლოებით 900 მეტრი უნდა ყოფილიყო, სისქე საშუალოდ 2.5-3.0 მეტრია, თუმცა ხევების ბოლოში შედარებით ფართოვდება. აღსანიშნავია, კედლის სამხრეთ ნაწილში დადასტურებული ორი მართკუთხედის ფორმის კოშკი(?), რომლებიც თავდაცვით კედელს გარედან აქვს მოდგმული. ხევის ნაპირზე არსებული ამ საფორტიფიკაციო ნაგებობის სიგრძე შეადგენს 15 მეტრს, სიგანე კი 10 მეტრია. მეორე ნაგებობა, მდებარეობს პირველიდან ჩრდილოეთით 100-120 მეტრში, მისი სიგრძე 20 მეტრია, ხოლო სიგანე 10 მეტრი. ორივე კოშკის(?) კედლების სისქე საშუალოდ 2.5-3.0 მეტრია.

მეორე კედლიდან 150 მეტრში დასავლეთით, პატარა, დაჭაობებული ტბის ნაპირიდან ჩრდილოეთით, მცირე ხევის ნაპირამდე, კიდევ ერთი კედელი დაფიქსირდა. ამ შემთხვევაში კედლის სიგრძე 200 მეტრია, ხოლო სისქე პირველი ორი კედლის ანალოგიურია. ტბიდან ჩრდილო-დასავლეთით და აქვე არსებული კედლიდან დასავლეთით, 100 მეტრში, გაურკვეველი კომპლექსის ნაშთია. აღსანიშნავია, რომ დაჭაობებული ტბიდან სამხრეთით, თავდაცვითი კედელი არ ჩანს, შესაძლოა აქ საერთოდ არ იყო რაიმე ტიპის ფორტიფიკაცია, ამ გარემოებამ კი განაპირობა მეორე ჩამკეტი კედლის სამხრეთ ნაწილში სავარაუდო კოშკების არსებობა.

დაზვერვების დროს პლატოზე შეკრებილი მასალების საფუძველზე, დმანისის ციკლოპური კომპლექსი, სავარაუდოდ, გვიანბრინჯაო-რკინის ხანას უნდა განეკუთვნებოდეს. ჩემი აზრით, ის ქალაქური ტიპის დასახლებას წარმოადგენს, რომლის ციკლოპური კედლით ფორტიფიცირებული ფართობი აჭარბებს სამხრეთ საქართველოში ცნობილ ყველა დანარჩენ, მსგავსი დასახლების ზომებს. არ არის გამორიცხული, რომ კონცხის ორი ჩამკეტი კედელი, ციტადელისა და საგუშაგოსგან განსხვავებით, შედარებით გვიან ააგეს. ამ საკითხის განხილვა შესაბამისი არქეოლოგიური სამუშაოების გარეშე, ძალზე ჰიპოტეტურია. აქვე აღვნიშნავ, რომ დმანისის ციკლოპური კომპლექსი ერთ-ერთი გამორჩეული ძეგლია, რომლის შესწავლამ

შეიძლება პასუხი გასცეს, როგორც პრეისტორიული, ისე ისტორიული პერიოდის მრავალ პრობლემურ საკითხს. 2018 წელს, ციტადელზე, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ეგიდით დაიწყო არქეოლოგიური გათხრები [ჯაჭვლიანი 2018]. შემდგომი კვლევის ჩატარების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება აღწერილი ფორტიფიკაციების ქრონოლოგიურ ჭრილში დანახვა და ზოგადად, მშრალი წყობით ნაგები თავდაცვითი ნაგებობის განვითარების დინამიკის შესწავლა.

აღსანიშნავია, რომ აღწერილი კომპლექსი მდებარეობს იმ ხევების ნაპირებზე, რომლებიც სათავეს იღებენ ჯავახეთის ქედზე, აღრიკარისა და ჩათახის მთებს შორის არსებული ცენტრალური გადასასვლელიდან.

ავრანლო - (კატ. #85_3)

(ტაბ. XXX-XXXI)

ციკლოპური სიმაგრის შესახებ პირველი ინფორმაცია იოაკიმოვს გამოუქვეყნებია [Иоакимов 1882: 8], შემდგომ პერიოდში კომპლექსის ქვედა კედელი ნახსენები აქვს თაყაიშვილს [Такайшвили 1913: 45]. გარკვეულ ინფორმაციას იძლევა მელიქსეთ-ბეგიც. თუმცა ერთ-ერთი პირველი, ვინც ვრცლად აღწერა და შემდეგ არქეოლოგიური გათხრები აწარმოა, იყო ბ.კუფტინი. ამავე პერიოდში, ვ. წილოსანის[7] მიერ, გაკეთდა ზედა ციხის გეგმა და კომპლექსის ჭრილები. 1998 წელს კი თრიალეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ სრულად მოახდინა კომპლექსის აზომვა, ასევე, შედგა სრულყოფილი აღწერილობა [Narimanishvili et. Al. 1998].

ციკლოპური კომპლექსი მდებარეობს ამავე დასახელების სოფლის ჩრდილო-დასავლეთით, მდ. ქციის მარცხენა ნაპირას არსებული კანიონის თხემზე და ფერდზე [Narimanishvili 2012: 89]. ის შედგება სამი ნაწილისაგან: ქვედა რკალისებური ზღუდის, შუა გამაგრებული ტერასის და ზედა სიმაგრისგან [მელიქსეთ-ბეგი 1938: 57-58]. ციტადელი - ზედა ციხე, აშენებულია ქციის ღრმა ხევის და მის მარცხენა შენაკადს შორის არსებულ კონცხზე [Narimanishvili 2010: 383]. ეს უკანასკნელი შედგება სამი ძირითადი - ჩრდილოეთის, დასავლეთის და სამხრეთის მასიური კედლებისაგან. აღმოსავლეთის კედელი შედარებით ვიწროა, რაც განპირობებული უნდა იყოს აქ არსებული კლდოვანი ქარაფით. დასავლეთის მხრიდან სიმაგრეს გააჩნია სამი მასიური მომრგვალებული კონტრფორსი. ჩრდილოეთის კონტრფორსებს შორის კედელში დატანილი ყოფილა ციხეში შესასვლელი. მეორე შესასვლელი მოწყობილია სამხრეთის კედელში. აღსანიშნავია, რომ კიდევ ერთი კონტრფორსი შემორჩენილია ჩრდილოეთის კედელთან [Куфтин 1940: 14-15; ნარიმანიშვილი 2012: 135]. ციტადელს დასავლეთის მხრიდან ებჯინიბა სავარაუდო დამატებითი თავდაცვითი კედლები [Куфтин 1940: 16], რომლებიც სრულადაა დანგრეული.

კუფტინის მიერ ზედა ციხეზე ჩატარებული გათხრები დაზვერვით ხასიათს ატარებდა. თხრილი გაკეთდა სიმაგრის შიდა სივრცეში სამხრეთის შესასვლელთან. გათხრებისას გამოვლინდა ქვის დიდი ფილებით მოგებული იატაკი და სუსტი კულტურული ფენა, რომელშიც დადასტურებული კერამიკა შუა საუკუნეებს განეკუთვნებოდა. ანალოგიური მასალა დადასტურდა იატაკის ფილების მოხსნის შემდეგაც [Куфтин 1940: 40-43]. აღსანიშნავია, რომ მომდევნო წლებში სოფ. ავრანლოსა [Куфтин 1948: 10-26] და ციკლოპური კომპლექსის ჩრდილოეთით არსებულ მინდორზე გაითხარა გვიანბრინჯაო-რკინის და ანტიკური ხანის სამარხები. აღნიშნულ მინდორზე და მის აღმოსავლეთით არსებულ გორაზე დადასტურდა ადრებრინჯაოს მტკვარ-არაქსული კულტურისა და გვიანბრინჯაო-რკინის ხანის დასახლებები [Narimanishvili 2010: 383-386; Shanshashvili 2010: 161-164].

7 ვლადიმერ ლევანის ძე წილოსანი (1885-1973) - ცნობილი ქართველი არქიტექტორი და მხატვარი.

სანთა - (კატ. #85_6)
(ტაბ. XXXIV, XXXV, XXXVI - 1-3)

სოფ. სანთის თავზე არსებული მაღალი ქედის თხემზე მდებარეობს სანთის ციკლოპური კომპლექსი - ზედა ციხე. ამავე ქედის სამხრეთის ფერდზე არსებულ ბუნებრივ ტერასაზე აშენებულია მეორე ციკლოპური სასიმაგრო კომპლექსი - ქვედა ციხე.

პირველ ცნობებს კომპლექსების შესახებ იძლევა ლ.მელიქსეთ-ბეგი, რომელსაც გარკვეული აღწერილობაც გაუკეთებია [მელიქსეთ-ბეგი 1938: 55-56]. აღსანიშნავია ვ. წილოსანის მიერ 1937 წელს შედგენილი ნახაზები, რომელიც დღესაც აქტიურად გამოიყენება სამეცნიერო ლიტერატურაში. 1991 წელს არქეოლოგიურ გათხრებს აქ აწარმოებდა თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიცია გ. ნარიმანიშვილის ხელმძღვანელობით [ნარიმანიშვილი და სხვ. 2004: 123-128].

ლიტერატურაში არსებული ცნობების მიხედვით, ის შედგება გამაგრებული და გაუმაგრებელი დასახლებებისაგან, რომლებიც მთლიანობაში რამდენიმე ათეულ ჰექტარს მოიცავს. გამაგრებული დასახლება იმეორებს ქედის თხემის კონტურს და რამდენიმე უბნისაგან შედგება. ქედის ცენტრალურ ნაწილში აღმართულია მასიური ქვებით ნაშენი კედელი. მისი სიგრძე 100 მ-მდე, სისქე 3.5-4.0 მ-ია, ხოლო სიმაღლე 2 მ-მდეა შემორჩენილი. ვ. წილოსანის ნახაზის მიხედვით, აქვე ყოფილა სიმაგრეში შესასვლელი, რომლის გვერდით კიბეებიანი კოშკი იყო აგებული. ამავე ნახაზისა და არსებული აღწერილობის თანახმად, აღნიშნული კოშკიანი კედლის შემდეგ, დასახლება თითქოს გაუმაგრებელი უნდა ყოფილიყო, ასეთივე მდგომარეობაა თითქოს აღმოსავლეთ მხარესაც. არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა ძვ.წ. XIII-XII სს. ერთი სახლი, რომლის საფუძველზეც მოხდა სასიმაგრო კომპლექსის პირველადი დათარიღება [ნარიმანიშვილი 2012: 133].

პროექტის ფარგლებში წამოებული დაზვერვების დროს, დასახლების უკიდურეს დასავლეთ ნაწილში დადასტურდა მოზრდილი ქვების გრძივი ზღუდე, რომელიც მთლიანადაა დანგრეული, დღევანდელი ნიადაგის დონეზე მისი სისქე ზოგ შემთხვევაში 1.5-2.0 მეტრია. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ზედა ციხის დასახლება, გარკვეულ პერიოდში, მთლიანად უნდა ყოფილიყო შემოზღუდული თავდაცვითი კედლით.

სანთის კომპლექსის ქვედა ციხეზე მელიქსეთ-ბეგს სამი კოშკი უნახავს, რომელთა დიამეტრი 9 მეტრს შეადგენს. ვ. წილოსანის ნახაზის მიხედვით და, ასევე, დაზვერვების დროს ვიზუალური დათვალიერებისას, აშკარად ჩანს მხოლოდ ორი კოშკი, მელიქსეთ-ბეგის მიერ ნახსენები მესამე კოშკი კი კონტრფორსს წარმოადგენს. 1936 წელს არქეოლოგიური გათხრები აქ დაიწყო თრიალეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ბ. კუფტინის ხელმძღვანელობით. სანთის ქვედა ციხე მდებარეობს ზედა ციხის სამხრეთით, ქედის შუა წელზე არსებულ ერთგვარ ბუნებრივ ტერასაზე, რომლის სამხრეთი ნაწილი კლდოვან შემაღლებას წარმოადგენს. კომპლექსი შედგება ძირითადი სიმაგრისა და მის აღმოსავლეთით და დასავლეთით, ტერასის თხემზე, გამავალი კედლებისგან, რომლებიც შემოზღუდავენ აქ არსებულ დასახლებას და ებჯინებიან ქედს. სიმაგრე აგებულია კლდოვან შემაღლებაზე, რომელიც სამხრეთიდან ბუნებრივადაა დაცული ციცაბო ფერდით [Куфтин 1936: 70; 1937: 148; მელიქსეთ-ბეგი 1938: 56]. ჩრდილოეთის მხრიდან ის შედგება დასავლეთის და ცენტრალური კოშკებისგან. ვ. წილოსანის ნახაზის მიხედვით, ცენტრალურ კოშკსა და კონტრფორსს შორის სიმაგრეში შესასვლელი იყო, ხოლო კოშკებს შორის კედელზე ადიოდა კიბე.

გამაგრებული დასახლების ცენტრალურ ნაწილში აღმართული ყოფილა დიდი ქვა, რომლის გარშემო გაკეთებულ საცდელ თხრილში გამოვლენილი კერამიკა ბ. კუფტინმა შუა საუკუნეებს მიაკუთვნა. გათხრების შედეგად დადასტურებული კულტურული ფენის სიმძლავრე 1.7 მეტრს შეადგენდა, რომელიც სიღრმეში გრძელდებოდა, თუმცა აქ არსებული დიდი

ქვების გამო გრუნტამდე ჩასვლა ვერ მოხერხდა [Куфтин 1936: 70-74]. გ. ნარიმანიშვილი აღნიშნავს, რომ კუფტინის მიერ შუა საუკუნეების მასალად მიჩნეული კერამიკა, სავარაუდოდ ანტიკურ ხანას უნდა განეკუთვნებოდეს, ხოლო ამ მასალის შემცველი ფენის ქვეშ აღმოჩენილი კერამიკის ფრაგმენტები, შესაძლოა სანთის ზედა ციხეზე და სხვა ციკლოპურ სიმაგრეებზე აღმოჩენილი მასალის თანადროული (ძვ. წ. XIII-XII სს.) იყოს [ნარიმანიშვილი 2012: 133].

აღსანიშნავია, რომ სოფლის მიდამოებში, გათხრების შედეგად, გამოვლენილი სამაროვნებიც განეკუთვნება ადრერკინის ხანას, ანტიკურ და სასანურ პერიოდებს [Куфтин 1936: 73-121; 1939: 9; 1941: 21-41; Narimanishvili 2012: 92].

თეჯისი - (კატ. #85_9)
(ტაბ. XXXVII)

თეჯისის მეგალითური კომპლექსი პირველად აღწერა ლ. მელიქსეთ-ბეგმა [მელიქსეთ-ბეგი 1938: 55]. კომპლექსი შედგება ციკლოპური წყობით ნაშენი წრიული გალავნისგან, რომელსაც ორი შესასვლელი აქვს. გალავნის ცენტრალურ ნაწილში აღმართულია მენჰირი. ამ უკანასკნელის გარშემო, შუა საუკუნეებში აუშენებიათ ეკლესია, მენჰირზე კი, გამოუსახავთ ჯვარი. მონოლითზე შეიმჩნევა გვიანდელი პერიოდის დამუშავების კვალი, რის შედეგადაც სრულად წაიშალა მენჰირის ზედა მხარეს არსებული გამოსახულება. დღეისათვის ოდნავღა შეიმჩნევა ოვალური მოყვანილობის ბარელიეფი. დიდი ალბათობით ეს უნდა ყოფილიყო ხარის თავის გამოსახულება, რომელიც ფართოდ არის გავრცელებული სამხრეთ კავკასიის მენჰირებზე. მენჰირის გარშემო არსებული ციკლოპური გალავანი ნაგებია ფლეთილი ქვებით და წარმოადგენს ტიპურ ციკლოპურ კედელს. ჩვენს მიერ გამოთქმულია მოსაზრება, რომლის თანახმად თეჯისის კომპლექსი საკულტო დანიშნულების უნდა ყოფილიყო [ნარიმანიშვილი და სხვ. 2013; Нариманишвили и др. 2015; Narimanishvili et al. 2015].

ბეშთაშენის „ნაქალაქარი“ - (კატ. #85_10)
(ტაბ. XXXVIII - 1-3)

ბეშთაშენის „ნაქალაქარი“ მდებარეობს ამავე დასახელების სოფლის ჩრდილო-დასავლეთით, მდინარების ბაშკოვ-სუს და კარიაკ-ჩაის ხერთვისზე [Куфтин 1941: 108]. აღნიშნულ ძეგლზე არქეოლოგიური გათხრები პირველად დაიწყო 1939 წელს [Куфтин 1939: 13-63]. წარმოებული სამუშაოების შედეგად გამოვლინდა სხვადასხვა პერიოდის არქეოლოგიური მასალა, ნასახლარები და რთული საფორტიფიკაციო სისტემა, რომელიც შედგებოდა ციკლოპური კედლებისა და ღრმა თავდაცვითი თხრილისაგან. აღნიშნული თავდაცვითი ზოლი მდებარეობს ნამოსახლარის ჩრდილოეთ ნაწილში, საიდანაც შესაძლებელი იყო დასახლებაში მოხვედრა. ძირითადი კედელი გამაგრებული ყოფილა სწორკუთხა კონტრფორსებით [Куфтин 1941: 108-109]. „ნაქალაქარზე“ არქეოლოგიური სამუშაოები განახლდა 1991 წლიდან. გაითხარა სამი სახლი და თავდაცვითი კედლის ნაწილი. გ. ნარიმანიშვილის აზრით, თავდაცვითი თხრილი განეკუთვნება ადრე ბრინჯაოს ხანას, ხოლო თავდაცვითი კედელი აგებული უნდა ყოფილიყო ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებში, რომელიც ფუნქციონირებდა ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებამდე [ნარიმანიშვილი 2012: 131-133].

„ნაქალაქარის“ მიდამოებში, გათხრების და დაზვერვების შედეგად, გამოვლენილია სხვადასხვა პერიოდის სამაროვნები, რომელთა ქრონოლოგია შემოიფარგლება გვიან ბრინჯაოს ხანიდან სასანური პერიოდის ჩათვლით [Куфтин 1936: 14-15; 1939; 1941: 24-108; ნარიმანიშვილი 2006; Narimanishvili et. al. 2007; Narimanishvili 2012: 92; Narimanishvili 2014; 2015; 2017].

კნოლე (კატ. #85_11)
(ტაბ. XXXVIII - 4)

კომპლექსი პირველად დააფიქსირა თრიალეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გ. ნარიმანიშვილის ხელმძღვანელობით. ის მდებარეობს სოფ. ბეშთაშენიდან ჩრდილოეთით, 1.5 კმ მოშორებით, აქვე არსებული მცირე ქედის ჩრდილოეთ თხემზე, საიდანაც გაჰყურებს საბეჭდავის ციკლოპურ კომპლექსს. კნოლეს კომპლექსი შედგება გაუმაგრებელი დასახლებისაგან, რომელიც გაშლილია ციკლოპური სიმაგრის გარშემო. სიმაგრე მდებარეობს ქედის უკიდურეს ჩრდილოეთ თხემზე. მისი კედლები ნაგებია დაუმუშავებელი ლოდებით. შესასვლელი აღმოსავლეთიდან იყო გაკეთებული. არქეოლოგიური სამუშაოებისას, ციკლოპური სიმაგრის შიდა სივრცეში, გაითხარა ერთი სახლი, სამოსახლო კომპლექსიდან სამხრეთ-დასავლეთით კი - 19 სამარხი. კომპლექსური გათხრების შედეგად დადგინდა, რომ სიმაგრე, ისევე როგორც დასახლება და სამაროვანი, ეკუთვნის ძვ.წ. VII-VI საუკუნეებს [ნარიმანიშვილი 2016: 224-230].

საბეჭდავი - (კატ. #85_12)
(ტაბ. XXXVIII - 5, XXXIX - 1-3)

კომპლექსი მდებარეობს სოფ. ბეშთაშენიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 2 კმ-ს დაშორებით არსებულ ელი-ბაბას ქედზე. ძეგლი პირველად გამოვლინდა გ. ნარიმანიშვილის მიერ 1989 წელს. ციკლოპური კომპლექსი შედგება ზედა და ქვედა გამაგრებული დასახლებების და მათ გარეთ არსებული სამოსახლო უბნებისაგან. 1990-2005 წლებში ძეგლზე სტაციონარულ არქეოლოგიურ სამუშაოებს აწარმოებდა თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიცია.

ქვედა გამაგრებული დასახლების ციკლოპურ თავდაცვით კედელზე, რომლის სისქე საშუალოდ 3-4 მეტრია, შიდა მხრიდან მიდგმული იყო სახლები, რომელთა შორის ცხრა იქნა შესწავლილი. არქეოლოგიური გათხრები, ასევე, ჩატარდა ქვედა სიმაგრიდან აღმოსავლეთით არსებულ გაუმაგრებელ დასახლებაზეც, სადაც გამოვლენილი სახლები, გალავანშემორტყმულ დასახლებაში არსებული სამოსახლოებისგან განსხვავებით, შედარებით დიდი ყოფილა. ჩატარებული სამუშაოების შედეგად გამოვლენილი მასალა ერთგვაროვანია და თარიღდება ძვ.წ. XIII-XII საუკუნეებით. ასევე, აღსანიშნავია, გორის თავზე არსებული მეორე გამაგრებული დასახლება და დასავლეთ დაფერდებაზე განლაგებული გალავანშემოვლებული საკულტო მოედანი [ნარიმანიშვილი 2012: 130; Narimanishvili 2012: 89]. ციკლოპური კომპლექსის ჩრდილო-აღმოსავლეთით 2003-2005 წლებში გაითხარა ძვ.წ. VIII-VI საუკუნეებით დათარიღებული სამაროვნის 127 სამარხი [Narimanishvili 2012: 92].

ეძანი - (კატ. #85_15)

გამაგრებული დასახლება მდებარეობს დღევანდელი წალკის ტერიტორიაზე, ხრამის ხეობის ღრმა კანიონის მარჯვენა ნაპირზე. არქეოლოგიური სამუშაოები აქ დაიწყო 1936 წელს, ბ. კუფტინის ხელმძღვანელობით [Куфтин 1936: 8]. დასახლება სამხრეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან შემოზღუდული ყოფილა „ყრილით“, რომლის გარეთაც კულტურული ფენა თითქოს არ ვრცელდებოდა. კუფტინის აზრით, სადაზვერვო თხრილებში გამოვლენილი მასალა არ უნდა ყოფილიყო შუა საუკუნეებზე ადრეული [Куфтин 1936: 37-38]. აღსანიშნავია, რომ 1974 წელს ლ. ჟორჟიკაშვილისა და ე. გოგაძის ავტორობით გამოსულ ნაშრომში, მოცემულია ბ. კუფტინისა და მისი ექსპედიციის მიერ წარმოებული სამუშაოების ამსახველი არქეოლოგიური რუკა, სადაც სოფ. ბარმაქსიზთან (დღევანდელი ქ. წალკა) არსებული ზღუდიანი დასახლება დატანილია ციკლოპური ციხის ნიშნით [Жоржикашвили и Гогадзе 1974: карта].

ედი-ქილისა (კატ. #85_17)
(ტაბ. XXXIX - 5)

ციკლოპური სიმაგრის შესახებ პირველ ინფორმაციას გვაწვდის იოაკიმოვი [Иоакимов 1882: 8-9]. 1936 წელს წარმოებული დაზვერვებისას, ექსპედიციის წევრებს და მათ შორის ბ. კუფტინს, უნახავთ ედი-ქილისას სიახლოვეს არსებული გორა, რომელიც მიჩნეული იყო როგორც ყორღანი [Куфтин 1936: 128]. 1939 წელს, დეტალური დათვალიერებისას, აქ დადასტურდა ოთხკუთხა მოედანი, რომლის კუთხეებშიც იკვეთებოდა ვერტიკალურად დაყენებული დიდი ზომის ქვები და მათ შორის ჩაყრილი წვრილი ქვა. მოედნის დასავლეთით და ჩრდილოეთით შეინიშნებოდა დიდი ქვებით ნაგები ნახევარწრიული მოყვანილობის კონსტრუქცია. გორის ჩრდილოეთ ფერდის შუა ნაწილში, შემორჩენილი იყო ორი მოზრდილი ქვა, რომელიც მიჩნეული იყო ყორღანის შესასვლელად [Куфтин 1939: 19]. შემდგომმა დაზ-ვერვებმა საბოლოოდ დაადასტურა, რომ გორაზე არსებული ნაგებობა ნამდვილად ციკლოპური სიმაგრეა, რომელსაც წრიული მოყვანილობის კონტრფორსები გააჩნდა. აღსანიშნავია, რომ 1940 წელს ექსპედიციას დაგეგმილი ჰქონია აქ არქეოლოგიური გათხრების ჩატარება, თუმცა, ადგილზე მისულებს, სიმაგრე და მისი შიდა სივრცე განადგურებული დახვდათ, ადგილობრივებს დაუნგრევიათ ქვების სამშენებლო მასალისთვის მოპოვების დროს [Куфтин 1940: 10-12].

ნარდევანი (კატ. #85_18)
(ტაბ. XL, XLI - 1)

სიმაგრის შესახებ პირველი ცნობები დაცულია ე. თაყაიშვილის ნაშრომში [Такайшвили 1913: 36-37]. შემდგომ პერიოდში კომპლექსის მცირე აღწერა გაუკეთებია ლ. მელიქსეთ-ბეგსაც [მელიქსეთ-ბეგი 1938: 54-55]. 1940 წელს არქეოლოგიურ გათხრებს აქ აწარმოებდა ბ. კუფტინი, რომელმაც დეტალურად აღწერა ნარდევანის კომპლექსი. ციკლოპური სიმაგრე მდებარეობს სოფ. ნარდევანის თავზე, აქვე არსებული ხევის ნაპირზე. მისი 4-5 მეტრის სისქის კედლები მასიური ქვებით, მშრალად, არის ნაგები. სიმაგრის დასავლეთის კედელი აგებულია ციცაბო კლდოვან ფერდზე. აქ მცირე მოედანი ყოფილა მოწყობილი, საიდანაც ვიწრო შესასვლელით შესაძლებელი იყო სიმაგრის შიდა ეზოში მოხვედრა. ძირითადი კომპლექსის დანარჩენი კედლები აგებულია მცირე პლატოზე, სადაც დამატებითი ფორტიფიკაციის სახით თხრილები და ქვის ზღუდეებია დადასტურებული. ასეთი თავდაცვითი ზოლი ყველაზე უკეთ შემორჩენილია სამხრეთის კედელთან. აღსანიშნავია, რომ პლატოზე სიმაგრის კუთხეები მომრგვალებულია და ქმნიან გოდოლების იმიტაციას, რომელთა შორის, ცენტრალურ ნაწილში კედლები გამოზნექილია. კომპლექსი ერთიანად არის აშენებული, თუმცა დასავლეთის კედელს გარედან გოდოლისებური მინაშენი ჰქონია [Куфтин 1940: 7-8].

ექსპედიციის მიერ წარმოებული არქეოლოგიური სამუშაოებისას გაითხარა სიმაგრის შიდა და გარე ტერიტორია. გამოვლენილი არქეოლოგიური მასალა განეკუთვნებოდა განვითარებულ და გვიან შუა საუკუნეებს. ბ. კუფტინის ვარაუდით, ციხე, შესაძლოა, სრულად იყო გამოწმენდილი შუა საუკუნეებში [Куфтин 1940: 29-37]. მან, ასევე, გამოთქვა მოსაზრება, რომ იმ შემთხვევაში თუ სხვა ციკლოპურ სიმაგრეებზეც გამოვლინდება ნარდევანის სინქრონული მასალა, საჭირო იქნება მოიძებნოს შესაბამისი ისტორიული წინაპირობა, რათა აიხსნას ასეთ გვიანდელ პერიოდში არქაული მშენებლობის წესის გამოყენების მიზეზი [Куфтин 1941: 30]. აღსანიშნავია, რომ კომპლექსის აზომვა პირველად მოხდა 1937 წელს ვ. წილოსანის მიერ, შემდეგ კი 1998 წელს თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ [Narimanishvili et. al. 1998]

§2 ციკლოპური კომპლექსების ტიპოლოგია

ციკლოპური სიმაგრეების ტიპოლოგიასთან დაკავშირებით არაერთი მოსაზრებაა გამოთქმული [მელიქსეთ-ბეგი 1938; Belli 1993; ნარიმანიშვილი 2012; Есаян 1976; Köroğlu 2005]. მშენებლობის ტექნიკის თვალსაზრისით, ყველა ციკლოპური კომპლექსი ტიპოლოგიურად ერთ ჯგუფს განეკუთვნება, ვინაიდან ისინი აშენებულია დიდი, ან საშუალო ქვებით, მშრალი წყობით, შემაკავშირებელი ხსნარის გამოყენების გარეშე. ხშირ შემთხვევაში, ციკლოპური კომპლექსის კედლები ნაგებია განსხვავებული ზომის ქვებით. თუმცა, როგორც ჩანს, ეს განპირობებული იყო ადგილზე არსებული მასალის ხასიათით.

ციკლოპური კომპლექსების თავდაცვითი კედლები, მოყვანილობით, ხშირ შემთხვევაში, იმეორებენ ადგილზე არსებულ რელიეფს, რაც განსაზღვრავს კიდეც თავდაცვითი ნაგებობის გეგმარებას. გეგმარების და ფორმის მიხედვით შეიძლება გამოიყოს წრიული, ოვალური, მარაოსებრი, ოთხკუთხა, მრავალკუთხა და კონცხების ჩამკეტი სწორხაზოვანი სასიმაგრო ნაგებობები. რადგან ერთნაირი გეგმარებისა და ფორმის კომპლექსებს, სავარაუდოდ, განსხვავებული დანიშნულება ჰქონდა, უმჯობესია ციკლოპური კომპლექსების ტიპოლოგიის შემუშავება მათი ფუნქციის მიხედვით.

ნაშრომში წარმოდგენილი ტიპოლოგია, ძირითადად ეფუძნება ურარტულ წერილობით წყაროებს, სადაც განსხვავებული ტიპის დასახლებები და სიმაგრეებია მოხსენიებული, რომლებიც, შესაძლოა, შეესაბამებიან სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე მიკვლეულ ციკლოპურ კომპლექსებს.

ურარტული წერილობითი წყაროები მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდიან სამხრეთ კავკასიისა და აღმოსავლეთ ანატოლიის მთიანეთში გავრცელებული თავდაცვითი ნაგებობების და დასახლებების მნიშვნელობაზე და მათ სტრუქტურაზე. ამ წყაროების მიხედვით დიაუხის და მის მეზობლად არსებული ქვეყნების ტერიტორიებზე გავრცელებული საცხოვრებელ-სასიმაგრო კომპლექსები სამი ტიპისაა: 1. „სამეფო ქალაქები“, 2. „ქალაქები“ და 3. სიმაგრეები.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ურარტული წყაროებისა და სამეცნიერო კვლევის საფუძველზე მიმაჩნია, რომ სამხრეთ საქართველოში გვხვდება ციკლოპური კომპლექსების სამი ძირითადი ტიპი**:**

I. დასახლებები
  I.1. ფორტიფიკაციის მქონე დასახლებები
  I.1.1. „სამეფო ქალაქები“
  I.1.2. „ქალაქები“
II. დასახლების გარეშე არსებული საფორტიფიკაციო ნაგებობები
  II.1. სიმაგრეები
  II.2. საგუშაგოები
III. რელიგიური დანიშნულების კომპლექსები
  III.1. სამლოცველოები
  III.2. საკულტო ცენტრები

ციკლოპური კომპლექსები ძირითადად ფორტიფიკაციის მქონე დასახლებებს წარმოადგენენ. მათი ნაწილი დიდი და კარგად გამაგრებული დასახლებებია, რომელთა შორის გამოირჩევა რთული საფორტიფიკაციო სისტემების მქონე ვრცელი ნამოსახლარები - ურარტული წყაროების “სამეფო ქალაქი“.

„სამეფო ქალაქები“ სავარაუდოდ წარმოადგენდნენ „დედაქალაქებს“ – ადმინისტრაციულ ცენტრებს [Меликишвили 1954: 200]. სამხრეთ კავკასიის და ჩრდილო-

აღმოსავლეთ ანატოლიის ტერიტორიაზე ამ ქალაქთა რიცხვს განეკუთვნება ურარტულ წყაროებში მოხსენიებული შაშილუ [Меликишвили 1960: 158], ზუა [Меликишвили 1960: 235] და ილდამუშა [Меликишвили 1960: 282]. ასეთ ქალაქებს მძლავრი საფორტიფიკაციო ზღუდეები, ციტადელები და შიდა ციხეები გააჩნდათ. შ. ასათიანის აზრით, ასეთ დიდ ქალაქებს, შესაძლოა, საკუთარი გარნიზონი და გარნიზონის უფროსი ჰყოლოდა [ასათიანი 1992: 99-100].

ჩემი აზრით, ყველა „ლოკალურ არეალს“ ჰქონდა მთავარი ქალაქი, სადაც ადგილობრივი ხელისუფალი - „მეფე“ იჯდა. ამიტომ, ვფიქრობ, „სამეფო ქალაქების“ რიცხვს შეიძლება მიეკუთვნოს ციხე-ქალაქი აბული (კატ. #65_6), ამირანის გორას კომპლექსი (კატ. #63_36), ელიას მთის კომპლექსი (კატ. #65_21), კარწახის ქოროღლის კომპლექსი (კატ. #63_50), ბეშთაშენის „ნაქალაქარი“ (კატ. #85_10), დმანისის ციკლოპური „ნაქალაქარი“ (კატ. #82_5) და სამშვილდე (კატ. #84_5).

ქალაქი. სამხრეთ საქართველოში „ქალაქები“ მრავლადაა დადასტურებული. ისინი გვხვდება ბორცვებისა და გორების თავებზე, მთებისა და ქედების ფერდობებზე და ტბებში არსებულ ნახევარკუნძულებზე. მხოლოდ ერთ შემთხვევაში დაფიქსირდა კომპლექსი (კატ. #63_17), რომელიც ტბის უშუალო ნაპირზეა გაშენებული. დასახლების მდებარეობაზე იყო დამოკიდებული თუ რომელი მხრიდან იქნებოდა ის დაცული. იმ შემთხვევაში თუ დასახლებასთან ყველა მხრიდან შეიძლებოდა მისვლა, მას გალავნით შემოზღუდავდნენ, რომელსაც ერთი თავდაცვითი თხრილი მაინც შემოსდევდა. როგორც ჩანს, თხრილების რაოდენობა დამოკიდებული იყო დასახლების გარშემო არსებულ რელიეფზე. ნახევარკუნძულებზე გაშენებულ დასახლებებს თავდაცვითი კედლები და არხები უკეთდებოდა მხოლოდ ხმელეთიდან მისადგომებზე.

სიმაგრეები ხშირ შემთხვევაში გვხვდება გადასასვლელებზე და გზების სიახლოვეს. მათ შიდა სივრცეში, ზოგ შემთხვევაში ფიქსირდება ნაგებობების კვალი. თუმცა, ამ ტიპის კომპლექსების მცირე ზომებიდან გამომდინარე, მათი როგორც დასახლებების განხილვა არასწორად მიმაჩნია. სიმაგრეებში განლაგებულ გარნიზონს, სავარაუდოდ, ევალებოდა გზებისა და გადასასვლელების კონტროლი, ასევე, მტრის მოახლოების შემთხვევაში, დასახლებების გაფრთხილება და შესაძლოა მომხდურის შეფერხებაც. სავარაუდოდ, ურარტულ ტექსტებში მოხსენიებული „სიმაგრეები“ წარმოადგენენ ასეთი ტიპის ფორტიფიკაციებს.

საგუშაგოები. წარმოებული დაზვერვების დროს მოხერხდა მხოლოდ რამდენიმე სავარაუდო საგუშაგოს დაფიქსირება. ისინი, უმეტეს შემთხვევაში, მაღალი მთების წვერებზე და ლოკალურ რეგიონების მისასვლელებთან გვხვდებიან. როგორც ჩანს, საგუშაგო კოშკებს მხოლოდ გამაფრთხილებელი ფუნქცია უნდა ჰქონოდათ.

საკულტო დანიშნულების კომპლექსები. ურარტულ წერილობით წყაროებში არაფერია ნათქვამი სამხრეთ კავკასიის ტომების საკულტო კომპლექსებზე. თუმცა, მათი არსებობა, უძველეს სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე უეჭველია.

სამლოცველოები უნდა წარმოადგენდნენ გზებზე და გადასასვლელებზე არსებულ ციკლოპურ წრიულ ნაგებობებს. მათი უმეტესობა დანგრეულია ან გადაკეთებულია ქრისტიანულ პერიოდში. აღნიშნული ნაგებობების გალავნის დიამეტრი უმეტესწილად 30-40 მეტრია, რომელშიც, ზოგ შემთხვევაში, შემორჩენილია შესასვლელი. აღსანიშნავია, რომ სამლოცველოების კედლებს კონტრფორსები არ გააჩნიათ.

სამლოცველოები მჭიდროდაა დაკავშირებული მენჰირებთან. ეს მონოლითები გვხვდება, როგორც დამოუკიდებლად არსებულ საკულტო ობიექტებად, ისე კომპლექსურად - სამლოცველოებთან ერთად. ფაქტია, რომ მენჰირებს იყენებდნენ შუა საუკუნეებშიც. ამ მონოლითებისგან თლიდნენ ქვაჯვარებს, ასევე, გვხვდება მათ ზედაპირზე გამოსახული ჯვრები. გარკვეულ ტერიტორიაზე ახალი რელიგიური პლასტის გაჩენა იწვევს ძველის

გაქრობას. უძველესი საკულტო ნაგებობების განადგურების ფაქტები და მათ ადგილზე ახალი სალოცავების აგება XX და XXI საუკუნეებშიც დასტურდება.

საკულტო ცენტრები. სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე, როგორც ჩანს, ასევე იყო რელიგიური ცენტრები, რომლებიც გარკვეული ტომებისათვის საერთო იყო. ასეთ ცენტრად მიმაჩნია შაორის მეგალითური კომპლექსი (კატ. #65_1).

§3 ციკლოპური კომპლექსების ქრონოლოგიის საკითხები

ქვემო ქართლის და ისტორიული ჯავახეთის ტერიტორიაზე დღეისათვის არსებული პრეისტორიული ფორტიფიკაციებიდან ცნობილია მხოლოდ ქვის მშრალი წყობით აშენებული ციკლოპური სიმაგრეები, რომელთა ქრონოლოგიური ჩარჩო ექცევა გვიანბრინჯაოსა და რკინის ხანის პერიოდებში.

წერილობით წყაროებში გარკვეული ინფორმაცია მოიპოვება სამხრეთ კავკასიის პრეისტორიული ხანის ფორტიფიკაციებზე. ძვ.წ. VIII-VII საუკუნეების ურარტული წარწერებიდან ჩანს, რომ მცირე კავკასიონის ტერიტორიაზე არსებულ ქვეყნებს გააჩნდათ კარგად გამაგრებული დასახლებები და სიმაგრეები, რომელთა დარბევა ზოგ შემთხვევაში საკმაოდ რთული იყო. მნიშვნელოვან ინფრომაციას გვაწვდის ძვ.წ. V საუკუნის ძველი ბერძნული წერილობითი წყარო. მასში ნახსენებია ტაოხებისა და ხალიბების ტომების მთის წვერებზე არსებული გამაგრებული დასახლებები [Xenophon, Anabasis: 297-303]. აღნიშნული ტომები, სავარაუდოდ სახლობდნენ ურარტული პერიოდის ქვეყანა დიაუხის ტერიტორიაზე.

აღსანიშნავია, ასევე, შუა საუკუნეების ისტორიკოსის, ლეონტი მროველის თხზულება - ცხოვრება ქართველთა მეფეთა. ის მოგვითხრობს კავკასიის ხალხთა მამამთავრის, თარგამოსის, სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე დასახლების ისტორიას. თხზულება გარკვეულ ინფორმაციას გვაწვდის საქართველოს უძველესი ქალაქების დაფუძნების შესახებ, რომლებიც შესაძლოა მიესადაგოს გარკვეულ ციკლოპურ კომპლექსებს. აღსანიშნავია, რომ მათი შენება მიეწერება თარგამოსის შთამომავლებს, რომლებსაც ლეონტი გმირებს უწოდებს, ხოლო ვახუშტი ბაგრატიონი ჩხიკვთის ციკლოპურ სიმაგრეს (კატ. #84_4) უწოდებს გმირთ ნაკვეთს, ანუ გმირების აშენებულად მიიჩნევს. იგივე ავტორი შაორის ციხესა (კატ. #65_1) და სამშვილდის მშრალი წყობით ნაშენ კედელს (კატ. #84_5) აღწერს როგორც დიდრონი ქვებით ნაშენ ციხესა და კედელს [ვახუშტი ბაგრატიონი, *აღწერა სამეფოსა საქართველოსა:* 43-44]. შუა საუკუნეების მატიანე ქალაქ სამშვილდის დაარსებას მიაწერს თარგამოსის შვილს ქართლოსს, რომელიც მიჩნეულია ქართველთა მამამთავრად [ლეონტი მროველი, *ცხოვრება ქართველთა მეფეთა:* 5]. სამშვილდის ნაქალაქარზე გარდა აღნიშნული დიდრონი ქვებით ნაშენი კედლისა კონცხის ბოლოში შემორჩენილია ციკლოპური სიმაგრის ნაშთი.

გვიანი ბრინჯაოსა და რკინის ხანას განეკუთვნება თრიალეთში გათხრილი ციკლოპური კომპლექსების დიდი ნაწილი. მათი აშენების ძირითადი თარიღები ძვ. წ. XVI-VI საუკუნეებით განისაზღვრება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეულ სიმაგრეებში დადასტურებულია მხოლოდ შუა საუკუნეების კულტურული ფენები.

ნარდევანის სიმაგრეში (კატ. #85_18), ბ. კუფტინის მიერ გათხრილ მცირე მონაკვეთში, გამოვლენილი კულტურული ფენა შეიცავდა მხოლოდ განვითარებული შუა საუკუნეების მასალას. სავარაუდოდ, ამავე პერიოდს განეკუთვნება ავრანლოს სიმაგრეზე (კატ. #85_3) აღმოჩენილი კერამიკის ფრაგმენტები, თუმცა, ფორმებითა და ხასიათით ის განსხვავდება ნარდევანის სიმაგრეზე აღმოჩენილი ერთეულებისაგან. აღსანიშნავია, რომ ავრანლოს ციკლოპური კომპლექსის სიახლოვეს გაითხარა რკინის ხანის სამაროვნები. კულტურული ფენების შემორჩენილობის თვალსაზრისით, განსხვავებული მდგომარეობა არის სანთის ქვედა

ციხეზე (კატ. #85_6). აქ შესწავლილ კულტურულ ფენებში გამოვლენილი კერამიკული მასალა სავარუდოდ შუა საუკუნეების, ანტიკური და გვიანი ბრინჯაო-რკინის ხანებს განეკუთვნება. აღნიშნული ფენების სინქრონული სამაროვნები არქეოლოგიურად შესწავლილია კომპლექსის მიმდებარე ტერიტორიაზე. აღსანიშნავია, ასევე, აქვე არსებული ანტიკური პერიოდის სამაროვანზე აშენებული გაურკვეველი დანიშნულების ციკლოპური ნაგებობა, რომელიც ბ. კუფტინის აზრით, შესაძლოა სიმაგრეს წარმოადგენდა [Куфтин 1939: 66].

აი-ილიას ციკლოპური სიმაგრის (კატ. #85_7) სიახლოვეს შესწავლილია ძვ.წ. V საუკუნის ნასახლარი [ნარიმანიშვილი, ყვავაძე 2010: 576], რომლის ქვედა ფენები ძვ.წ. XV-XIV საუკუნეების მასალებს შეიცავს [ნარიმანიშვილი 2012: 133]. რკინის ფართო ათვისების ხანის ციკლოპური კედლით გამაგრებულ დასახლებას და მის სიახლოვეს არსებულ სამაროვანს წარმოადგენს კნოლეს კომპლექსი (კატ. #85_11), რომელიც თარიღდება ძვ.წ. VII-VI საუკუნეებით. სოფ. სანთის დასავლეთით და სოფ. წინწყაროს ჩრდილოეთით, ადგილ ჩუქურ-ჩაირის ტერიტორიაზე გათხრილია რკინის ხანის სამაროვანი [Куфтин 1937: 28], რომელიც სავარაუდოდ, უნდა ეკუთვნოდეს აქვე არსებულ ციკლოპურ კომპლექსებს.

გვიანი ბრინჯაოს ხანის მიწურულისა და რკინის ხანის პერიოდებს განეკუთვნება საბეჭდავის ციკლოპური კომპლექსი (კატ. #85_12), რომელიც სტაციონარული გათხრების შედეგად დათარიღდა ძვ.წ. XIII-XII საუკუნეებით. კომპლექსის ტერიტორიაზე გაკეთებული სადაზვერვო თხრილების და მის სიახლოვეს გათხრილი სამაროვნის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ დასახლება, სავარაუდოდ, ძვ.წ. VII-VI საუკუნეებშიც ფუნქციონირებდა. საბეჭდავის კომპლექსის ქვედა ფენების სინქრონული ნასახლარი გაითხარა სანთის ზედა ციხეზე (კატ. #85_6), რომელიც თარიღდება ძვ.წ. XIII-XII საუკუნეებით. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის მასალა დადასტურდა აშკალას ციკლოპური სიმაგრის (კატ. #85_5) ტერიტორიაზე. მნიშვნელოვანია, რომ აქ სხვა პერიოდის კერამიკის ფრაგმენტები არ დადასტურებულა [ნარიმანიშვილი 2012: 136]. აღსანიშნავია ბეშთაშენის „ნაქალაქარი“ (კატ. #85_10), რომლის თავდაცვითი კედელი, როგორც ჩანს, განეკუთვნება ძვ.წ. XVI-XIV საუკუნეებს, ხოლო აქვე არსებული თავდაცვითი თხრილი, შესაძლოა, განეკუთვნება ადრე ბრინჯაოს ხანას. გამაგრებული დასახლების ტერიტორიაზე გამოვლენილი კულტურული ფენები ეკუთვნის მტკვარ-არაქსის, გვიან-ბრინჯაოს, ანტიკური და შუა საუკუნეების პერიოდებს. კომპლექსის მიდამოებში შესწავლილი სამაროვნები ფაქტიურად მოიცავს ყველა პერიოდს ადრე ბრინჯაოს ხანიდან ანტიკური ხანის ჩათვლით. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს საფარ-ხარაბას ძვ.წ. XVI-XIV საუკუნეების, ბეშთაშენის ძვ.წ. XIII-VII საუკუნეების და კომპლექსის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიაზე გათხრილი ძვ.წ. VII-VI საუკუნეების სამაროვნები, სადაც შესაბამის პერიოდებში იკრძალებოდა ბეშთაშენის „ნაქალაქარის“ მოსახლეობა.

ისტორიული ჯავახეთის ტერიტორიაზე დადასტურებული ციკლოპური კომპლექსები არქეოლოგიურად შედარებით ნაკლებადაა შესწავლილი, თუმცა აქ გამოვლენილი კულტურული ფენები გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნიან ქრონოლოგიის საკითხებზე.

ნასოფლარ ბერთაყანებთან არსებულ „დიდგორა“-ზე (კატ. #60_42) გათხრილი ნაგებობის ტერიტორიაზე გავლებულ თხრილში მხოლოდ შუა საუკუნების ფენა დადასტურდა.

შუა საუკუნეების, ელინისტური, რკინის თუ გვიან ბრინჯაოს ხანის და, ასევე, მტკვარ-არაქსული კულტურული ფენები გამოვლინდა სათხის ციკლოპურ კომპლექსზე (კატ. #65_13). აღსანიშნავია, რომ კედლის დათარიღების მიზნით გაკეთებულმა ერთ-ერთმა თხრილმა დაადასტურა, რომ ციკლოპური გალავანი აგებულია მტკვარ-არაქსის კულტრულ ფენაზე. კომპლექსის სიახლოვეს, ასევე, გაითხარა ადრე-ბრინჯაოს ხანის ერთი ყორღანი.

ოკამის გორაზე (კატ. #63_93) და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩატარებული გათხრების შედეგად გამოვლინდა მტკვარ-არაქსის, რკინის ხანის და ელინისტური პერიოდების

კულტურული ფენები. აღსანიშნავია, რომ სიმაგრის შიდა ტერიტორიაზე გაითხარა ელინისტური ხანის სამარხი.

ბარალეთის ამაღლების გორაზე (კატ. #63_19) არსებული სიმაგრის სიახლოვეს გაკეთებულ სადაზვერვო თხრილებში, გამოვლინდა რკინის ხანის, ანტიკური და შუა საუკუნეების კერამიკის ფრაგმენტები. რკინის ხანის და მტკვარ-არაქსული პერიოდის ფენებია დადასტურებული ახალქალაქის ამირანის გორაზეც (კატ. #63_36).

საინტერესოა სატიკნეს კომპლექსის (კატ. #60_1) სიმაგრის შიგნით ჩატარებული გათხრების შედეგი, სადაც აღმოჩნდა რკინის ხანის და ანტიკური პერიოდის კერამიკული მასალა, ხოლო მტკვარ-არაქსის პერიოდი, რომელიც კარგად არის წარმოდგენილი ამავე გორის ფერდზე, საერთოდ არ დადასტურებულა. მტკვარ-არაქსის კულტურის ნამოსახლარის ფენები გაითხარა ნიალას გორის (კატ. #60_25) ფერდზეც, ციკლოპური სიმაგრიდან 20-25 მეტრში.

დიგაშენი I-ზე წარმოებული გათხრების შედეგად, დასახლების გარშემო რაიმე ტიპის თავდაცვითი ზღუდე არ გამოვლენილა. თუმცა, ეს ძეგლი საინტერესოა სხვა მხრივ, აქ გამოვლენილი კულტურული ფენები შეიცავენ მტკვარ-არაქსის პერიოდის და გვიანბრინჯაოს ხანის დასაწყისის ნამოსახლარების ნაშთებს. კომპლექსიდან ჩრდილო-დასავლეთით გაითხარა კოლექტიური სამარხი, რომელშიც გამოვლინდა გვიანბრინჯაოს ხანის დასახლების სინქრონული არქეოლოგიური მასალა და ასევე, რკინის ხანის პერიოდის კერამიკის ფრაგმენტები. აღსანიშნავია, რომ სამაროვნის სიახლოვეს არსებულ გორაზე გამოვლინდა ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარი - დიგაშინი-II, თუმცა, აქ, გარდა ნამოსახლარისა, ასევე, არის ციკლოპური სიმაგრეც (კატ. #65_12), ზედაპირულად აკრეფილ არქეოლოგიურ მასალაში კი, გვიანბრინჯაო-რკინის ხანის კერამიკა დადასტურდა.

პროექტის ფარგლებში წარმოებული დაზვერვებისას, ციკლოპურ კომპლექსებზე და მათ მიმდებარე ტერიტორიაზე, აიკრიფა სხვადასხვა პერიოდების არქეოლოგიური მასალა (ტაბ. LIII-LX). აღნიშნული კოლექცია შედგება რამდენიმე ასეული კერამიკის ფრაგმენტისაგან, ასევე, ქვის და ძვლის საყოფაცხოვრებო იარაღისა და სამკაულისგან. აღსანიშნავია, რომ თითქმის ყველა კომპლექსზე, რომელზეც აიკრიფა კერამიკის ფრაგმენტები, დადასტურდა გვიანბრინჯაო-რკინის ხანის და ანტიკური პერიოდის მასალა. ზოგ შემთხვევაში, ზემოთ ნახსენები პერიოდების გარდა, ასევე, იყო ადრე ბრინჯაოს, გვიანი ბრინჯაოს საწყისი ეტაპისა და შუა საუკუნეების არქეოლოგიური მასალაც.

ზემოთ მოტანილი ჩამონათვალიდან, კომპლექსურად შესწავლილ ძეგლებს, სადაც დასახლების სინქრონული სამაროვნებიც არის შესწავლილი, წარმოადგენს ბეშთაშენის „ნაქალაქარი“, ციკლოპური კომპლექსი „საბეჭდავი“ და კნოლეს თავდაცვითი კედლით გამაგრებული დასახლება.

ბეშთაშენის ნაქალაქარის ციკლოპური კედლით გამაგრებული დასახლების ტერიტორიაზე, როგორც ჩანს, ცხოვრება უწყვეტად გრძელდება გვიანი ბრინჯაოს დასაწყისიდან რკინის ხანის ჩათვლით, რასაც ადასტურებს კომპლექსის სიახლოვეს შესწავლილი ამავე პერიოდის ვრცელი სამაროვნები. განსხვავებული მდგომარეობაა საბეჭდავის კომპლექსის შემთხვევაში, სადაც გამოვლენილია გვიანი ბრინჯაოს ხანის ძლიერი დასახლება, თუმცა მისი სინქრონული სამაროვანი დღეისათვის შესწავლილი არ არის. იგივე პრობლემაა ამავე კომპლექსის სიახლოვეს გათხრილი, ძვ.წ. VII-VI სამაროვნის შემთხვევაში, რომლის სინქრონული სამოსახლო ციკლოპური კომპლექსის გათხრისას არ გამოვლენილა. როგორც ჩანს, გვიანი ბრინჯაოს ხანის დასახლების მოსახლეობა იკრძალებოდა კომპლექსის მიდამოებში ცნობილი სამი სამაროვნიდან ერთ-ერთზე. აქვე გათხრილი რკინის ხანის სამაროვნის სინქრონული დასახლებისათვის კომპლექსის ტერიტორიაზე დარჩენილია მხოლოდ მთის თავზე არსებული ციკლოპური კედლით გამაგრებული სამოსახლო, რომელიც არქეოლოგიურად შესწავლილი

არ არის. აღსანიშნავია კნოლეს ძვ.წ. VII-VI საუკუნეების კომპლექსი, სადაც ნათლად ჩანს მოსახლეობის საცხოვრებლად ათვისებული და სამაროვნისთვის განკუთვნილი ტერიტორია. საინტერესოა, რომ ამ შემთხვევაში დასახლების ძირითადი ნაწილი სიმაგრის გარეთ მდებარეობს.

თრიალეთისა და ჯავახეთის ტერიტორიაზე დღეისათვის ცნობილი ყველა ადრებრინჯაოს დასახლება თავდაცვითი ზღუდის გარეშეა წარმოდგენილი. თუმცა, მათი ტოპოგრაფიული მდებარეობა, ხშირ შემთხვევაში, ემთხვევა გვიანი ბრინჯაოსა და რკინის ხანის გამაგრებულ დასახლებებს. შუა ბრინჯაოს ხანის მიწურულის დასახლება, რომელიც ძვ.წ. XVII-XVI საუკუნეებით თარიღდება, მდებარეობის და გეგმარების თვალსაზრისით განსხვავდება ზემოხსენებული პერიოდების კომპლექსებისაგან [Narimanishvili, Amiranashvili 2010: 231]. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ არქეოლოგიურად შესწავლილ მონაკვეთში რაიმე ტიპის ფორტიფიკაცია არ დადასტურებულა. თავდაცვითი ზღუდეების გარეშე ჩანს, ასევე, თრიალეთის ტერიტორიაზე შესწავლილი ძვ.წ. VI-I საუკუნეების დასახლებები (დარაქოი (ძვ.წ. VI-IV სს) [ნარიმანიშვილი და სხვა 2018: 121], ედი-ქილისა (ძვ.წ. V-I სს.) [ნარიმანიშვილი და სხვა 2018: 128] და აი-ილია (ძვ.წ. V ს.) [ნარიმანიშვილი და სხვა 2018: 113]).

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე ციკლოპური ფორტიფიკაციების შენება იწყება გვიანი ბრინჯაოს საწყის ეტაპზე, თუმცა, მასშტაბურ ხასიათს იღებს ადრე რკინის ხანიდან, როდესაც იწყება ასურეთისა და შემდგომ ურარტუს სამეფოების გაძლიერებული ექსპანსია ამ რეგიონის მიმართ.

§4. გზები და მენჰირები

სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე მრავლად არის დადასტურებული მენჰირები [Narimanishvili et al.: 2015: 212-213]. ამ ტიპის მონოლითები, უმეტეს შემთხვევაში, გვხვდება ციკლოპურ კომპლექსებამდე მისასვლელ გზებზე, ან გზაგასაყარებზე და „ლოკალური არეალების“ დამაკავშირებელ გზა-გადასავლელებზე. მაგალითისთვის შეიძლება მოვიტანოთ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფ. ახალსოფელთან არსებული მენჰირი (ტაბ. XLII-1), რომლიდანაც ერთ კილომეტრში დადასტურებულია გვიანბრინჯაო-რკინის ხანის, ციკლოპური გალავნით შემოზღუდული ნამოსახლარი (კატ. #84_3) [ნარიმანიშვილი და სხვ. 2018: 240]. აღნიშნული დასახლება გაშენებულია ხეობაში, რომელზეც შუა საუკუნეებში გადიოდა ისტორიულ თრიალეთთან დამაკავშირებელი ერთ-ერთი გზა. გამაგრებული დასახლებისა და მის სიახლოვეს არსებული მენჰირის გამო შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გზა აქ გვიანბრინჯაო-რკინის ხანაშიც იყო, რომელიც ალბათ გოხნარის ციკლოპური კომპლექსის (კატ. #84_2) გავლით მიემართებოდა თრიალეთისაკენ. ასევე, აღსანიშნავია ლაკვის მთაზე არსებული ქვაჯვარი (ტაბ. XLII-3), რომელიც შესაძლოა მენჰირიდან არის გამოთლილი [მელიქსეთ-ბეგი 1938: 112-113]. გოხნარი-წალკის გზაზე ორი მენჰირია, პირველი - სოფ. იმერას სიახლოვეს [Куфтин 1936: 7], მეორე, კი, ქ. წალკისკენ მიმავალ რკინიგზისა და საავტომობილო გზის კვეთასთან (ტაბ. XLIII-1). სავარაუდოდ სამი მენჰირი მდებარეობდა წალკის წყალსაცავის ტერიტორიაზე, რომლებიც დღეს წყლით არის დაფარული (ტაბ. XLIII-2, 3, XLIV-1) [მელიქსეთ-ბეგი 1938: 104, ტაბ. XLI; Куфтин 1936]. აღსანშნავია, თეჯისის მეგალითური კომპლექსი (კატ. #85_14) და აქვე აღმართული მენჰირი (ტაბ. XLII-2); შესაძლოა, ეს კომპლესი მდებარეობდა მნიშვნელოვან გზაზე, რომელიც თრიალეთის ქედით გადადიოდა შიდა ქართლის მიმართულებით.

ჭიქიანის მენჰირთან (ტაბ. XLV-4), თიქმა-დაშის უღელტეხილზე გამავალი გზის გასწვრივ, გადის თრიალეთისა და ჯავახეთის საზღვარი, სადაც ყორღანული ველია დაფიქსირებული

[Нариманишвили и др. 2015: 178]. მნიშვნელოვანია, ასევე, სოფ. ყიზილქილისას და სოფ. ავრანლოს შორის დადასტურებული მენჰირი-ქვაკაცა (ტაბ. XLIV-2), რომელიც ავრანლოს ციკლოპური ციხის (კატ. #85_3) სიახლოვეს, მდ. ქციის მარჯვენა ნაპირზე, ხეობის ბოლოში, მდებარეობს. აღნიშნული ციხე, სავარაუდოდ აკონტროლებდა ხეობაზე გამავალ გზას, რომელიც შემორჩენილია ქციის ხეობის კლდოვან ფერდზე გაჭრილი გზის სახით [Narimanishvili 2018: 600]. ეს გზა მიემართებოდა, როგორც სამსარის ქედისაკენ, ასევე თრიალეთის ქედზე არსებულ, ჯამ-ჯამას უღელტეხილისკენ. აღსანიშნავია, რომ ავრანლოს მენჰირიდან შესაძლებელია საპიტიახშოს[8] ტერიტორიაზე მოხვედრაც.

უძველესი დროის გზის არსებობას, რომელიც ავრანლოს ციკლოპური კომპლექსიდან ნარიანისკენ მიემართებოდა, ადასტურებს სოფ. რეხასა და მდ. ქციას შორის არსებული მენჰირი (ტაბ. XLV-3) და სოფ. ხანდოს სამხრეთ-დასავლეთით არსებული წყურვეთის ციკლოპური სიმაგრე (კატ. #85_1). ეს უკანასკნელი მელიქსეთ-ბეგის მიერ არის აღწერილი. მას აქ უნახავს ციკლოპური „ნაციხარ-ნაქალაქევის“ ზღუდეები და ცილინდრული კოშკები [მელიქსეთ-ბეგი 1938: 71]. დაზვერვების დროს მართლაც დადასტურდა ციკლოპური სიმაგრის ნანგრევი, მაგრამ კოშკები, რომლებიც უკვე მელიქსეთ-ბეგის დროს სავალალო მდგომარეობაში იყო, როგორც ჩანს, ბოლომდე ჩამოიშალა და დღეს მათი ნახვა შეუძლებელია. ასევე, არ გამოვრიცხავ, რომ დაზვერვებისას ნანახი სიმაგრე, არ იყო იგივე სიმაგრე, რომელიც მელიქსეთ-ბეგმა ნახა, რადგან მის მიერ აღწერილი სიმაგრე წყურვეთის ნასოფლარის ტერიტორიაზე უნდა ყოფილიყო, ხოლო ჩემს მიერ დაფიქსირებული კომპლექსი, ნასოფლარიდან მოშორებით მდებარეობს.

სოფ. რეხას მენჰირთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ მელიქსეთ-ბეგის დროს ის, როგორც ჩანს, ზემოთ ნახსენები სიმაგრის სამხრეთ-აღმოსავლეთით არსებულ ნასოფლარ წყურვეთის ეკლესიის სასაფლაოზე, საფლავის ქვად ყოფილა გამოყენებული [მელიქსეთ-ბეგი 1938: 71]. სავარაუდოდ, ის, შემდგომ პერიოდში, რეხას ეკლესიის აღდგენის დროს უნდა გადმოეტანათ. წყურვეთიდან გზა, ვიწრო ხეობით, გადადიოდა ჯავახეთის უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში, ტაბაწყურის ტბის ჩრდილოეთით არსებულ ნატბეურ ნარიანის აღმოსავლეთ ნაპირზე.

თრიალეთიდან უშუალოდ ტაბაწყურის ტბასთან კიდევ ერთი გზა მიდიოდა. ეს უკანსკნელი დღესაც არსებობს და გამოიყენება. გვიანბრინჯაო-რკინის ხანაში მასზე მოსახვედრად საჭირო იყო სოფ. ოზნისთან არსებული ციკლოპური ციხის (კატ. #85_2) არეალში გავლა, შემდეგ კი დღევანდელი სოფ. ბურნაშეთის მიდამოებიდან გადასვლა ადგილ საპიტიახშოში [მელიქსეთ-ბეგი 1938: 89]. სოფ. ბურნაშეთის ეკლესიის გალავანში ჩაშენებული ყოფილა სამი მეტრის სიმაღლის მენჰირი (ტაბ. XLIV-3) [მელიქსეთ-ბეგი 1938: 88]. თუმცა, უკანასკნელ ხანებში, წყლის მილის გაყვანის დროს, მოხდა გალავნის ნაწილის დანგრევა, რასაც ალბათ შეეწირა აღნიშნული მენჰირიც. დაზვერვების დროს, სოფლის ცენტრში, დადასტურდა მეორე მენჰირი (ტაბ. XLIV-4), რომლის გარშემო ადგილობრივმა მოსახლემ ნიში ააშენა.

საპიტიახშო წარმოადგენს სამსარის მთებში არსებულ ქვაბულს, აქ ადრე ტბა უნდა ყოფილიყო. ნატბეურის დასავლეთ ნაპირზე შუასაუკუნეების ნასოფლარია, სადაც მენჰირია აღმართული (ტაბ. XLV-2). მის სიახლოვეს მეორე მენჰირიც უნდა ყოფილიყო (ტაბ. XLV-1) [მელიქსეთ-ბეგი 1938: 88], თუმცა, დაზვერვებისას მისი დაფიქსირება ვერ მოხერხდა. აქ არსებულ გზა-გადასასვლელის დამადასტურებლად, მენჰირების გარდა, წარმოადგენს, ამ ტერიტორიაზე გათხრილი შუაბრინჯაოს ყორღანები, რომლებიც ტაბაწყურის ტბამდე მიმავალ გზას მიუყვებიან [Куфтин 1939: 38; ჯაფარიძე 1960: 7].

თრიალეთიდან ჯავახეთში გადადიოდა კიდევ ერთი გზა, რომლითაც შესაძლებელი იყო ფარავნის ტბის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე, შაორის მთასთან მოხვედრა. ეს გზა,

8 დღევანდელი სახელწოდება საბიდახჩა წარმოადგენს ქართული სახელწოდება - საპიტიახშოს დამახინჯებულ ვარიანტს.

როგორც ჩანს, გაივლიდა სოფ. კუშჩისთან ჩამომავალ ნარდევანის ხევს, რომლის მარცხენა ნაპირზე ციკლოპური კომპლექსია (კატ. #85_27) დადასტურებული; შემდეგ, კი, ადიოდა შაორის მეგალითურ კომპლექსთან (კატ. #65_1) და მის ძირში არსებულ მენჰირთან (ტაბ. XLVI-1). მენჰირიდან გზა მიდიოდა ასფარას პრეისტორიული სამლოცველოსკენ (კატ. #65_28) და უერთდებოდა ჭიქიანის მენჰირიდან მომავალ გზას. აქედან შესაძლებელი იყო შაორთან არსებული გადასასვლელით სამსარის ქედზე მდებარე ლევანის ტბისა და ქოროღლის მთის გავლით სოფ. ოლავერდში, ბალხოში ან პატარა სამსარში მოხვედრა. თუმცა, ასფარადან ძირითადი გზა მიდიოდა მახარონი/ბობლიკანის მენჰირისკენ (ტაბ. XLVI-2), სადაც იყო გზაგასაყარი სოფ. აბულისა და ფოკას მიმართულებებით, ამ უკანასკნელიდან კი გზა ფილთი-კარის სიმაგრის (კატ. #65_5) გავლით მიდიოდა განძანის მენჰირთან (ტაბ. XLVI-3). ფილთი-კართან ერთი გზა ჩამოდიოდა დასავლეთით მდებარე ტაფობიდან, რომელსაც კვეთდა მახარონი/ბობლიკანიდან სოფ. აბულისკენ მიმავალი გზა. ის გაივლის მთა პატარა აბულსა და მთა დიდ აბულს შორის, სადაც ყორღანული ველია დადასტურებული. სოფ. აბულიდან გზა მიდის ჩრდილო-დასავლეთით სოფ. თახჩის გავლით სოფ. თორიაში; დასავლეთით სოფ. კართიკამის გავლით ახალქალაქში და ჩრდილო-დასავლეთით სოფ. ბუზავეთის გავლით სოფ. ოლავერდში.

ზემოთ ნახსენები განძანის მენჰირიდან შესაძლებელია დასავლეთით აბულის კომპლექსისაკენ (კატ. #65_6) წასვლა, სამხრეთ-დასავლეთით კი ავჭალის ტბის გავლით თორიას (კატ. #65_10) ან ტონთიოს (კატ. #65_11) ციხე-ქალაქებთან მოხვერდა. ამავე მენჰირიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, განძანის ციხის (კატ. #65_24) და შემდგომ საღამოს ტბის და მის ნაპირზე არსებული სიმაგრის (კატ. #65_9) გავლით, შესაძლებელია სათხეს ციკლოპურ კომპლექსთან (კატ. #65_13) მოხვედრა. აქედან კი ხანჩალის ტბის მისადგომებთან, ან ელიას მთის აღმოსავლეთით არსებული ტერიტორიიდან აბოცში მისვლა.

სოფ. თორიას სამხრეთ დასავლეთით, ორი ციკლოპური კომპლექსია დადასტურებული (კატ. ##63_46, 56). აქედან, შესაძლებელია, ერთი მხრივ, სოფ. ხოსპიაში, მეორე მხრივ კი სოფ. ხორენიაში მოხვედრა. ამ უკანასკნელის ტერიტორიაზე, 1956 წელს, აღიწერა მენჰირი (ტაბ. XLVII-1), რომელზეც თითქოს ცხოველი იყო გამოსახული[9]. დღეს სოფლის მოსახლეობას ამ მენჰირის შესახებ ინფორმაცია არ აქვს.

ხანჩალის ტბის დასავლეთით გზა ორი მიმართულებით მიდის, ერთი ფოსო-ჩუღურეთისკენ, რომელზეც სამი სავარაუდო მენჰირია დაფიქსირებული. მეორე კი დღევანდელი ქ. ახალქალაქისკენ, რომლის სამხრეთით, სოფ. მურჯახეთში სამი მენჰირია ცნობილი (ტაბ. XL-VII-2; XLVIII-2, 3). აღსანიშნავია, ნასოფლარ დანკალის ჩრდილოეთით, მცირე ხევის გადაღმა არსებულ ციკლოპურ კომპლექსის (კატ. #63_94) ტერიტორიაზე, დაზვერვების დროს ნაპოვნი მენჰირი (ტაბ. XLIX-3). მას თავზე გამჭოლი ნახვრეტი გააჩნია. შესაძლოა ეს მონოლითიც აქ არსებულ გზის პირას იდგა. აქედან ჩრდილოეთით, რამდენიმე კილომეტრში, მდებარეობს სოფ. ტოლოში, საიდანაც ხეობების გავლით შეიძლება ბუზმარეთის „ლოკალურ არეალში“ მოხვედრა. აღსანიშნავია ერთ-ერთი ხეობის ნაპირზე, ნასოფლარ შალოშეთთან აღმოჩენილი მენჰირის არსებობა, რომელიც ალბათ ძველი გზის აღსანიშნად იყო აღმართული ამ ადგილზე (ტაბ. L-1).

ხანჩალის ტბიდან ერთი გზა ამირანის გორასთან (კატ. #63_36) მიდის, საიდანაც შესაძლებელია მდ. ფარავნის ხეობით მდ. მტკვრამდე ჩასვლა. თუმცა, აქედან სოფ. ბავრის ან კორხის გავლით, შეიძლება ახალქალაქის ჩრდილოეთით არსებულ ზეგანზე ასვლა. აღსანიშნავია, რომ ერთი მენჰირი სოფ. ბარალეთთან (ტაბ. XLVIII-1), ერთი კი სოფ. მერენიასთან (ტაბ. XLIX-1) არის დადასტურებული. სავარაუდოდ, ამ ტერიტორიაზე უნდა

9 საქართველოს კულტურული მემკვიდრეობისდაცვის ეროვნული სააგენტოს არქივში დაცული სააღრიცხვო ბარათი #19, საქაღალდე #3

ყოფილიყო მნიშვნელოვანი რელიგიური ცენტრი, რადგან სოფ. იხტილასთან (ისტორიული ღრტილა) დაზვერვების დროს გამოვლინდა ციკლოპური წრიული გალავნებით შემოზღუდული ადგილები, რომლებიც, ჩემი აზრით, სამლოცველოებს უნდა წარმოადგენდნენ (კატ. ##63_57, 61). ღრტილადან, ტაბაწყურის ტბის მიმართულებით, მენჰირები არ გამოვლენილა. თუმცა ამ ტერიტორიაზე მრავლადაა სხვადასხვა ტიპის ციკლოპური კომპლექსები. ერთი მენჰირი (ტაბ. XLIX-2) მდებარეობს სოფ. ტაბაწყურის თავზე არსებული ციკლოპური კომპლექსის (კატ. #64_2) ტერიტორიაზე.

აღსანიშნავია ჯავახეთის ქედზე, დმანისის მიმართულებით არსებული გადასასვლელები. ერთი გზა გადიოდა ჭოჭიანის ხეობაზე, სადაც ქედის ორივე ფერდზე, ხეობის დასაწყისში და ბოლოში მდებარეობს ორი ციკლოპური სიმაგრე (კატ. #65_2, #85_19). აქ გამავალი გზა დასავლეთით უერთდებოდა ჭიქიანის მენჰირთან არსებულ გზაჯვარედინს. აღმოსავლეთით ის მიემართებოდა ქციის ხრამისკენ, რომლითაც შესაძლებელი იყო სამშვილდეში[10] (კატ. #84_5) და შემდეგ სოფ. ნახიდურის თავზე, ორი ციკლოპური კომპლექსის (კატ. ##80_3, 4) ძირში გავლით, მარნეულის ველზე მოხვედრა. აღსანიშნავია, სოფ. ნახიდურიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, სოფ. ხაიშის მიმართულებით ერთი მენჰირი (ტაბ. LII-2) და ქვის გაურკვეველი, ორი გათლილი ნაწილისგან შემდგარი, მონუმენტი (ტაბ. LII-3). ერთი მენჰირი სოფ. ხაიშის ტერიტორიაზეც არის დადასტურებული (ტაბ. LII-1). აქედან შესაძლებელია გზის გაგრძელება თეთრიწყაროს მიმართულებით და აქ არსებული მენჰირის (ტაბ. LI-3) გავლით, ჯერ, სოფ. ივანოვკის მენჰირთან (ტაბ. LI-2) შემდეგ კი ბედენის პლატოზე ასვლა და თრიალეთში გადასვლა.

ჯავახეთის ამავე გადასასვლელიდან გზა მიემართებოდა, ასევე, სამხრეთით, საფიქლის ხევისკენ, სადაც ეკლესიას ციკლოპური გალავანი აქვს შემორტყმული (კატ. #82_10), მის კედელში კი სავარაუდოდ მენჰირია ჩაშენებული (ტაბ. L-2). აქედან სამხრეთ-დასავლეთით, 3 კმ-ის დაცილებით, ხეობის მარჯვენა ნაპირზე არსებულ კონცხზე ქვის სვეტებიანი ნაგებობაა, საიდანაც საფიქლის ხევის გაყოლებაზე მდებარეობს ძველი გომარეთის ციკლოპური კომპლექსი (კატ. #82_8) და მენჰირი (ტაბ. L-3). აღნიშნული კომპლექსიდან ჩრდილოეთით, სარკინეთის ამაღლების ეკლესიის გალავნაში, კიდევ ერთი მენჰირია დადასტურტერბული (ტაბ. LI-1). ძველი გომარეთიდან გზა მიემართებოდა აღმოსავლეთით, ყარაბულახის ხეობის გავლით, ქციის ხრამისკენ, ხოლო სამხრეთით მუსის ციხის (კატ. #82_6) და შემდეგ დმანისის ციკლოპური „ნაქალაქარისკენ“ (კატ. #82_5).

ჯავახეთის ქედზე გამავალი მეორე გზა-გადასასვლელი მდებარეობს აღრიკარისა და ჩათახის მთებს შორის, სადაც დადასტურდა რამდენიმე დიდი ყორღანი. აქედან ჩრდილოეთით მდებარე მთა აღრიკარის თავზე და ასევე, მის ჩრდილო-აღმოსავლეთ განშტოებაზე არსებული გორის თავზეც დადასტურდა ციკლოპური სიმაგრეები (კატ. ##82_1, 2). გადასასვლელის სამხრეთ ნაწილში მდებარე გორაზე, აეროფოტოებზე იკითხება გაურკვეველი დანიშნულების ქვების ზოლი. უფრო ფართო გრძივი ქვების ზვინული შემოსდევს გორას აღმოსავლეთის მხრიდან. აღნიშნული გორის ტერიტორიაზე წარმოებულმა დაზვერვებმა ციკლოპური სტრუქტურა ვერ გამოავლინა. შეიძლება, აქ ძალზე დანგრეული სიმაგრის ნაშთია, რომლის გამოვლენა არქეოლოგიური გათხრების გარეშე შეუძლებელია. ისიც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აქ დაგეგმილი იყო სიმაგრის აშენება, ამიტომაც მოხდა ქვების ზოლით თავდაცვითი ნაგებობის გეგმის მოხაზვა. გადასასვლელიდან დასავლეთით, ჯავახეთის ქედის თითქმის მთელ სიგრძეზე, რამდენიმე ასეული მცირე და საშუალო ზომის ყორღანი დადასტურდა.

ვახუშტი ბაგრატიონის რუკებზე, დღევანდელი აღრიკარის მთის ჩრდილოეთით, ჯავახეთის ქედის ნაწილი „გძელთოვლის“ მთების, ზოგ შემთხვევაში კი „შამბიანის“ მთის, ხოლო ჩათახის

10 სამშვილდის ნაქალაქარის ტერიტორიაზე ცნობილია ერთი მენჰირი (ტაბ. LI-4).

მთის სამხრეთით, ჯავახეთის ქედის გაგრძელება „ბოლოლი“-ს სახელითაა აღნიშნული. მდ. მაშავერას ორი სათავის შესართავს შორის და ასევე, მის ქვემოთაც ორი პუნქტი, საკარისის სახელით გვხვდება.

აღწერილი გზა-გადასასვლელების დიდი ნაწილი დღესაც აქტიურად გამოიყენება. თუმცა, როგორც ჩანს, ისინი არსებობდნენ უფრო ადრეულ პერიოდშიც. ამას უნდა ადასტურებდეს ამ გზების სიახლოვეს არსებული ყორღანული ველები, ან ინდივიდუალური ყორღანები, რომლებიც, უმეტეს შემთხვევაში, შუა ბრინჯაოს ხანით თარიღდებიან. მენჰირების ნაწილი კი ქრონოლოგიურად, შესაძლოა წინ უსწრებდეს შუა ბრინჯაოს ხანასაც [Narimanishvili et al. 2015: 213].

გვიანბრინჯაო-რკინის ხანაში მენჰირების აქტიურ გამოყენებაზე ნათლად მიუთითებს ზემოთ მოტანილი მაგალითები. შეიძლება ისინი გზის მფარველ ღვთაებებს წარმოადგედნენ, თუმცა, შესაძლოა ეს მონოლითები მხოლოდ გზის სანიშნე ქვებად იყო გამოყენებული.

§5. „ლოკალური არეალები“

სხვადასხვა ქვეყნების საზღვრები, დღესაც კი, ხშირ შემთხვევაში, მიუყვება მდინარეებს, ხევებს, მთათა სისტემებსა და სხვა ბუნებრივ წარმონაქმნებს. ალბათ ძველ დროსაც, ანალოგიური ბუნებრივი გამყოფებით ხდებოდა ამა თუ იმ ქვეყნის, თუ ტომის ერთმანეთისაგან გამიჯვნა.

ურარტული წყაროებიდან ცნობილია, რომ გვიანბრინჯაო-რკინის ხანის პერიოდის სამხრეთ კავკასიაში არსებობდნენ დიდი პოლიტიკური ერთეულები, რომლებიც აერთიანებდნენ მათ გარშემო არსებულ, შედარებით მცირე ქვეყნებსა და ტომებს. თვით ურარტუც, მრავალი, მცირე პოლიტიკური ერთეულისგან შემდგარი სახელმწიფო იყო [Меликишвили 1954: 190]. ასეთივე პოლიტიკური გაერთიანება იყო დაიაენი/დიაუხი [Меликишвили 1954: 252], ეთიუნი [Меликишвили 1954: 57] და, რა თქმა უნდა, ნაირი. ნაირის შემადგენლობაში, ჯერ კიდევ ძვ.წ. XII საუკუნეში, შედიოდა ზევით ჩამოთვლილი ყველა ქვეყანა და ტომი [Меликишвили 1954: 13-20].

ასურულ და ურარტულ ეპოქაში, სამხრეთ კავკასიის ტერიატორიაზე არსებული ქვეყნები, ჩემი აზრით, მდებარეობდნენ „ლოკალურ არეალებში“, ანუ ტაფობებში ან ზეგნებზე, რომლებიც მთებით, ხევებით, მდინარეებით, ტბებით ან ნებისმიერი სხვა ბუნებრივი წარმონაქმნებით არიან დაცულნი.

დაზვერვების შედეგად დადგინდა, რომ, თითოეული „ლოკალური არეალის“ ტერიტორიაზე, გვხვდება ქრონოლოგიურად და სტრუქტურულად ერთგვაროვანი, ციკლოპური გალავნით გამაგრებული დასახლებები. ისინი ქედებზე, ბუნებრივ გორებზე, მთის წვერზე და ფერდობებზე, ტბების და ხევების ნაპირებზე, კონცხებზე, მდინარეთა ხერთვისებში და გაშლილ მინდვრებზე არიან განლაგებულნი.

საველე სამუშაოებისას, დადასტურდა, რომ ლოკალური არეალების დამაკავშირებელი გზები, უმეტეს შემთხვევაში, კონტროლირდებოდა ციკლოპური ციხეებით, ან საგუშაგოებით. აქვე აღვნიშნავ, რომ ლოკალური არეალისთვის დამახასიათებელია ერთი ცენტრალური, ვრცელი დასახლების არსებობა, რომლის სიახლოვეს დასტურდება შედარებით მცირე დასახლებები; ყველა შემთხვევაში დასახლებებს ციკლოპური გალავანი აქვთ გარშემორტყმული, რომელსაც დამატებითი ფორტიფიკაციის სახით გააჩნია კონტრფორსები, ქვამიწაყრილიანი ზღუდეები და თხრილები. აღსანიშნავია, რომ ამგვარი არეალების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენს, ასევე, წარმოადგენს საარსებო რესურსი - ტბა, მდინარე, მინდორი და სხვ.

პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგად განისაზღვრა რამდენიმე ლოკალური არეალი, რომელთა დეტალური აღწერაც ქვემოთა არის მოცემული.

ჩილდირის „ლოკალური არეალი“ - “ძაღინის ჭევი“[11]
(ტაბ. III - 1)

ჩილდირის ტბის მიდამოები შემოზღუდულია მაღალი მთებით. აღნიშნულ ტერიტორიაზე ლოკალიზდება ურარტული პერიოდის ქვეყანა იგანი. ტბის არეალში მოხვედრა სამხრეთიდან შესაძლებელია მხოლოდ სოფ. არპაჩაის მიდამოებში არსებული გადასასვლელებით. ჩრდილოეთიდან, ჩილდირის ტბის არეალთან, რამდენიმე ბუნებრივი მისასვლელით შეიძლება მოხვედრა. პირველი წარმოადგენს ფოსოს წყლის ხეობას[12], რომელიც ყარსის მთებიდან გამოდის და სოფ. საზლისუსთან მთავრდება, მეორე მისადგომი აქედან ჩრდილო-აღმოსავლეთით, ქ. ჩილდირთან მდებარეობს, რომელთანაც მოხვედრა შესაძლებელია ნიალის ყურის მთების უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილიდან, მის ჩრდილოეთით არსებული ზეგანიდან. ქ. ჩილდირთან მისვლა, შესაძლებელია ასევე მტკვრის მარჯვენა შენაკადის ხეობით, სადაც ცნობილი ქაჯის ციხე მდებარეობს; სავარაუდოდ ამ ხეობაში გამდინარე წყალზე წერს ვახუშტი ნიალის ყურის მთების მიმართებით: „.რომელსა გასჭრის მდინარე ფოსოსი“ [ვახუშტი ბაგრატიონი, *აღწერა სამეფოსა საქართველოსა:* 130]. მესამე გადასასვლელი მდებარეობდა ნიალის ყურის მთების უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ფოსოს წყლის მარჯვენა ნაპირზე არსებული მთის ჩრდილო-აღმოსავლეთი ფერდის ძირში. მეოთხე გადასასვლელი ჩანს ნიალის ყურის მთების გაყოლებით, აღმოსავლეთით, დღევანდელ სოფ. ტაშ-დეღირმენთან. აქ ჩამომავალი ხეობები სათავეს იღებენ მინგელის ტბის სიახლოვეს არსებული დიდი ბინგელერის ტბიდან. აღსანიშნავია, რომ ყველა მისადგომი კარგად კონტროლირდებოდა ციკლოპური საფორტიფიკაციო კომპლექსებით. საინტერესოა მესამე და მეოთხე გადასასვლელი. მესამე გადასვლელით შესაძლებელი იყო კარწახის, ანუ ფოსოს „ლოკალურ არეალში“ მოხვედრა, ხოლო მეოთხე ადიოდა ნიალის ყურისა და ბაბას მთებზე, საიდანაც შესაძლებელი იყო ხანჩალის - ხენჭურის, ან არპის - აბოცის „ლოკალურ არეალებში“ მოხვედრა. ისევე, როგორც ჩილდირის ტბის „ლოკალურ არეალში“, აქაც, გადასასვლელები კონტროლირდებოდა ციკლოპური ფორტიფიკაციებით.

ჩემი აზრით, ქ. ჩილდირის ჩრდილოეთით მდებარე გორის ფერდებზე და ასევე, სოფ. ტაშ-დეღირმენთან არსებული სიმაგრეები, ფოსოს „ლოკალური არეალის“ ნაწილი უნდა ყოფილიყო. პირველ რიგში, იმიტომ, რომ მათთან მოხვედრა სამხრეთის მხრიდან საკმაოდ რთულია, ხოლო მდებარეობა აკარგვინებს სტრატეგიულ უპირატესობას ჩრდილოეთის მხრიდან თავდასხმის შემთხვევაში. აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ ნიალის ყურის და ყარსის მთებს შორის არსებული ტაფობი - ადგილი ფოსო, ანუ ჩუღურეთი, წარმოადგენდა ერთგვარ საზღვარს „ძაღინის ჭევსა“ და „ფოსოს“ შორის.

კარწახის „ლოკალური არეალი“ - ფოსო[13]
(ტაბ. III - 2)

ჩილდირის ტბის ჩრდილოეთით, საქართველო-თურქეთის საზღვარზე, მდებარეობს კარწახის ტბა. მის მიმდებარედ ვახუშტი ბაგრატიონი აღწერს ფოსოს ანუ ჩუღურეთის მხარეს [ვახუშტი ბაგრატიონი, *აღწერა სამეფოსა საქართველოსა* 1941: 129-131]. სავარაუდოდ, ეს

11 ლერი თავაძე ამ სახელწოდებით ახდენს ურარტული პერიოდის ქვეყანა იგანის იდენტიფიცირებას. ავტორს, განხილული აქვს „ძაღინის ჭევი“-ს შესახებ არსებული ისტორიული წყაროები და ტოპონიმიკა [თავაძე 2018: 36-38].

12 გეოგრაფიული ტოპონიმები მოცემულია ვახუშტი ბაგრატიონის აღწერილობის მიხედვით [ვახუშტი ბაგრატიონი, *აღწერა სამეფოსა საქართველოსა*: 129-131].

13 „ფოსო ანუ ჩუღურეთი“ - ასე იხსენიებს ვახუშტი ბაგრატიონი კარწახის ტბის არეალს.

არის ნიალის ყურისა და ყარსის მთებს შორის არსებული მცირე ტაფობი, რომლის ტოპონიმიც შეესაბამება გეოგრაფიულ ლანდშაფტს[14]. ვახუშტის მიხედვით, ფოსოს წყალი, თითქოს, კარწახის ტბას ერთვის. თუმცა, ფაქტია, რომ ეს ასე არ არის. კარწახს არც ერთი მდინარე არ ერთვის, თუ არ ჩავთვლით მთებიდან მომდინარე წყაროებსა და მის ჩრდილო-აღმოსავლეთით არსებული ნატბეურიდან სეზონურად გამომდინარე წყალს.

ვახუშტის მიხედვით, „ამ წყალზედ[15] არს, ტბის მჭვრეტი, წყაროს-თავს, ეკლესია ფრიად დიდ-შვენიერი“, ეს ეკლესია წყაროსთავის საეპისკოპოსო ტაძარია[16], რომელიც აგებული ყოფილა ხევის ნაპირზე [Ростомов 1898: 64]. შესაძლოა, ამ ხევსაც ფოსო ეწოდებოდა.

ფოსო-ჩუღურეთი, როგორც ჩანს, იყო კარწახისა და ჩილდირის „ლოკალური არეალების“ საზღვარი. შ. ასათიანს მიაჩნია, რომ ტოპონიმი ფოსო, ურარტული ფუსუნიას ზუსტი შესატყვისია [ასათიანი 1992: 93]. თუმცა, ვახუშტისეული ფოსო-ჩუღურეთი არ შეესაბამება ჩემს მიერ განხილული „ლოკალური არეალების“ ტიპს. ფოსო-ჩუღურეთის მიმდებარედ იკვეთება მხოლოდ ორი „ლოკალური არეალი“ - კარწახისა და ჩილდირის. ამ უკანასკნელ არეალს კი მოიცავდა ქვეყანა იგანი, ამიტომ ფუსუნიასთვის რჩება მხოლოდ ერთი ადგილი - ფოსოს „ლოკალური არეალი“[17]. აქვე უნდა აღინიშნოს ქალაქ ცუდალას მდებარეობის საკითხი. ჩემი აზრით, ეს უკანასკნელი დღევანდელი სოფ. სულდას გამაგრებულ დასახლებასთან (კატ. #63_48) უნდა იდენტიფიცირდეს, რომელიც კარწახის ჩრდილოეთით მდებარეობს. აღსანიშნავია, ასევე, რომ დ. ბერძენიშვილი ფოსოს ადრეფეოდალურ მიკროქვეყნად გამოყოფს [ბერძენიშვილი 1975: 98]. ზემოთქმულიდან გამომდინარე, კარწახის ტბის „ლოკალური არეალი“ ნაშრომში ფოსოს სახელით იქნება განხილული.

იგანის შემდეგ, სამხრეთიდან მოსულმა ურარტელებმა დაარბიეს ჯერ ქვეყანა ფუსუნია, შემდეგ კი ქალაქები ალკანია და ცუდალა. ეს უკანასკნელი კი, როგორც ზევით უკვე აღინიშნა. შეიძლება იყოს დღევანდელ სოფ. სულდაში არსებული, ციკლოპური კედლით გამაგრებული დასახლებაა. გარდა იმისა, რომ ფონეტიკურად სულდა-ცუდალა იჩენს გარკვეულ მსგავსებას, აღსანიშნავია ნიალის ყურის მთებიდან წამოსული მდინარე კადალა[18], რომელიც გაივლის სოფ. სულდას და შემდეგ ერთვის მდ. მტკვარს მარჯვენა მხრიდან. აღსანიშნავია, ასევე, სოფელ სულდას ჩრდილოეთით მდებარე, ამავე დასახელების მთა[19], სამხრეთით - ადგილი ბუზალა, სამხრეთ-დასავლეთით ნასოფლარი ბუდაშენი, დასავლეთით კი ნასოფლარი კადალა. ჩემი აზრით, ყველა ამ ტოპონიმის არსებობა მიუთითებს, რომ, თუ არა სოფ. სულდას რკინის ხანის გამაგრებული დასახლება, მის შემოგარენში მაინც უნდა ყოფილიყო ურარტული პერიოდის ქალაქი ცუდალა. ალკანიასთან დაკავშირებით კი აღვნიშნავ, რომ კარწახის ტბიდან, სოფ. სულდასკენ მიმავალ გზაზე, მხოლოდ ერთი ვრცელი გამაგრებული დასახლებაა (კატ. #63_51), რომელიც მდებარეობს სოფ. კარწახის ტერიტორიაზე. შესაძლოა, ეს დასახლება იყოს ურარტული პერიოდის ალკანია.

ფოსოს „ლოკალური არეალი“ ერთ-ერთი გამორჩეულია მისი ბუნებრივი დაცულობის მხრივ. სამხრეთიდან მას იცავდა ნიალის ყურის მთები, სადაც არსებული გადმოსასვლელები

---

14 ფოსო - მცირედ დაღრმაებული [ლექსიკონი ქართული II 1993: 197], ფოსოს შეესაბამება თურქული სიტყვა Çukur – [ქართულ-თურქული და თურქულ-ქართული ლექსიკონი 2012].

15 იგულისხმება ფოსოს წყალი.

16 წყაროსთავის ეკლესია XX საუკუნეში ააფეთქეს, მის ადგილზე კი მეჩეთი ააშენეს [ხუციშვილი და სხვ. 2015 : 51].

17 ამ მოსაზრებას, ასევე, ადასტურებს არგიშთის ლაშქრობის მიმართულებაც, რომელიც ქვემოთ არის განხილული.

18 ამ სახელით მდინარე აღნიშნულია 1913 წლის (რუკების მოწოდებისთვის მადლობას ვუხდი ლაშა სუხიშვილს). და 1926 წლის ტოპოგრაფიულ რუკებზე. 1984 წლის ტოპოგრაფიულ რუკაზე ეს მდინარე აღნიშნულია კოდოლა-სუს სახელწოდებით, ამავე სახელითაა ის ცნობილი დღესაც.

19 ამ სახელწოდების მთა ცნობილია 1913 და 1926 წლის ტოპოგრაფიულ რუკებზე. აღნიშნული მთა, 1984 წლის ტოპოგრაფიული რუკის მიხედვით, ცნობილია პატარა გუნეის სახელით.

კონტროლირდებოდა ციკლოპური კომპლექსებით. დასავლეთიდან ფოსოს არეალს შემოსდევს ფოსოს წყლის ღრმა ხევი, რომელიც ერთვის მტკვარს. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, ღრმა ხევად, ზოგ შემთხვევაში კი, მიუვალ კანიონად, მიემართება მდ. კადალას ხეობამდე, სადაც მნიშვნელოვანი ციკლოპური კომპლექსია დადასტურებული (კატ. #63_47). თუ გავითვალისწინებ იმას, რომ ურარტული პერიოდის ცუდალა შეიძლება იყოს ქვეყანა ფუსუნიას ქალაქი, მაშინ სრულიად შესაძლებელია, რომ ფოსოს ჩრდილოეთი საზღვარი გადიოდა მდ. კადალაზე და სულდის მთაზე.

ბუნებრივი ბარიერების გარდა, ფოსოს მისადგომები კარგად იყო დაცული ციკლოპური სიმაგრეებით. ასეთი ფორტიფიკაციები განლაგებული იყო „ფოსოს“ დასავლეთ ნაპირზე, ხეობის თხემზე, ასევე ისტორიული წყაროსთავის ხეობის ორივე ნაპირზე[20]. თუმცა, აქ არსებული კომპლექსებიდან გამოვყოფდი სოფ. კარწახის მიდამოებში მდებარე, ციკლოპური გალავნით გამაგრებულ დასახლებას (კატ. #63_51) და სოფლის ჩრდილოეთით არსებული გორის თავზე მდგარ სიმაგრეს (კატ. #63_50). პირველი მდებარეობს სოფლის განაპირას, ბუნებრივ გორაკზე. მისი თავდაცვითი კედლების სისქე სამ მეტრს აღემატება. დამატებითი ფორტიფიკაციის სახით კი, ამ უკანასკნელს თხრილი აქვს შემოვლებული. დღევანდელი მდგომარეობით, სიმაგრე სრულადაა დანგრეული, როგორც ადგილობრივი მოსახლეობის, ასევე, აქ არსებული საბჭოთა პერიოდის სამხედრო ბაზისა და ღრმა სანგრების მიერ.

მეორე კომპლექსი მდებარეობს მაღალ მთაზე, საიდანაც იშლება შესანიშნავი ხედი კარწახის ტბის შემოგარენზე. კომპლექსი შედგება ციტადელისა და მის სამხრეთით არსებული გამაგრებული დასახლებისაგან. მისი სტრატეგიული და დომინანტი ადგილმდებარეობა, პირველ რიგში, მეტყველებს კომპლექსის მნიშვნელობაზე. ჩემი აზრით, ეს უნდა ყოფილიყო ფოსო-ფუსუნიას „სამეფო ქალაქი“.

საინტერესოა კარწახის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაპირზე არსებული ქვაჯვარი[21] [მაჭარაშვილი და სხვ. 2004: სურ. 23], რომელიც, სავარაუდოდ, მენჰირს წარმოადგენდა, ხოლო ქრისტიანულ პერიოდში ის ჯვრად გადააკეთეს. ჩემი აზრით, ამ მონოლითის დღევანდელი მდებარეობა არ შეესაბამება არც ქვაჯვარის და არც მენჰირის ტიპიურ ადგილმდებარეობას. სავარაუდო მენჰირი,[22] თუ მისი ფრაგმენტი, მდებარეობს, ასევე ისტორიული ქართული სოფლის წყაროსთავის და აფეთქებული საეპისკოპოსო ტაძრის, დღეს კი მეჩეთის, ტერიტორიაზე [ხუციშვილი და სხვ. 2016: 51-52, ფოტო 3]. ყველა შემთხვევაში, ეს მენჰირები ფოსოს „ლოკალურ არეალში“ არსებული გზის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო. აღსანიშნავია, რომ ფეოდალური ხანის ფოსოზე, გარკვეულ პერიოდში, გადიოდა ერთ-ერთი ცენტრალური გზა ტაოდან შიდა ქართლისაკენ [ბერძენიშვილი 1975: 109], შესაძლოა ასე იყო უძველეს დროსაც.

სულდა-ცუდალადან, დღევანდელი სოფ. დადეშის და სოფ. დილიპის გავლით, გზა გადადის ხანჩალის, ანუ ხენჭურის[23] ტბის მიდამოებში. ამავე გზაზე აღწერიალია მენჰირი [ჯავახეთი 2000: 31], რომლის პოვნაც დაზვერვების დროს ვერ მოხერხდა.

20 დაზვერვების დროს ციკლოპური ფორტიფიკაციის ნაშთი დაფიქსირდა საქართველო-თურქეთის უშუალო საზღვარზე. კომპლექსის კოორდინატებია: 43.136543°; 41.252103°.

21 მადლობას მოვახსენებ ირაკლი მაჭარაშვილსა და ლაშა სუხიშვილს ქვაჯვარის ზუსტი მდებარეობის შესახებ ინფორმაციის გაზიარებისათვის.

22 მითითებულ ნაშრომში ეს მონოლითი არ არის განხილული როგორც მენჰირი.

23 ამ სახელწოდებით იხსენიებს ბერი ეგნატაშვილი [ბერძენიშვილი 1974: 97].

ხანჩალის „ლოკალური არეალი“ - ხენჭური
(ტაბ. IV - 1)

ხენჭურის არეალი, როგორც ჩანს, მოიცავს ხანჩალისა და მადათაფას ტბების აუზებს. ეს მოსაზრება განპირობებულია ამ არეალში სიმაგრეების მდებარეობიდან. კარწახის ტბის აღმოსავლეთით და ქ. ნინოწმინდის დასავლეთით მდებარეობს ხანჩალის ტბა, რომელსაც ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან შემოსდევს მაღალი ქედი. ამ უკანასკნელზე ექვსი ციკლოპური გალავნით გამაგრებული დასახლება და სიმაგრეა დადასტურებული. მათ შორის დომინირებს, სოფ. დიდი გონდურის აღმოსავლეთით, მთის თავზე არსებული ციკლოპური კედლით გამაგრებული დასახლება (კატ. #65_18)[24]. აქედან შესაძლებელია, როგორც კარწახის ტბის მიმდებარე ტერიტორიის, ასევე სოფ. ხორენიადან სოფ. დადეშამდე არსებული არეალის კონტროლი [ბერძენიშვილი 1985: 85]. სამხრეთ-დასავლეთიდან ხენჭურის „ლოკალური არეალი“ დაცულია ნიალის ყურის და ბაბას მაღალი მთებით. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ჩილდირის არეალიდან სოფ. ტაშ-დეღირმენიდან არსებული გადასასვლელი ამ ორი რეგიონის დამაკავშირებელი იყო. აღსანიშნავია, რომ ხანჩალის ტბასთან ჩამომავალი ერთ-ერთი ხეობა, რომელიც სათავეს იღებს მინგელის ტბის მიდამოებიდან, კონტროლირდებოდა ციკლოპური სიმაგრით (კატ. #65_32). მსგავსი სურათია სოფ. დილიპში ჩამომავალი ხეობის ნაპირებზეც, სადაც ორი ციკლოპური სიმაგრე და ერთი გამაგრებული დასახლება დადასტურდა (კატ. ##65_18, 19, 52). თუმცა, ხეობის მარცხენა ნაპირზე არსებული სიმაგრე, სავარაუდოდ, ფოსოს არეალს ეკუთვნოდა.

ხანჩალის ტბის ნაპირზე, ჩრდილო-აღმოსავლეთით, დადასტურებულია ორი ციკლოპური კომპლექსი. აქედან, ერთი, ტბისპირა ფორტიფიცირებული დასახლებაა (კატ. #65_27), ხოლო მეორე წარმოადგენს გზის მაკონტროლებელ სიმაგრეს (კატ. #65_15). ამ უკანასკნელის მსგავსი ტიპის სიმაგრე (კატ. #65_17) მდებარეობს სოფ. დიდი ხანჩალის ხევის მარცხენა ნაპირზე. ჩემი აზრით, ეს ციკლოპური კომპლექსები წარმოადგენდნენ თავდაცვით ზოლს, რომლითაც ამ „ლოკალური არეალის“ ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ველიდან არსებული მისადგომის კონტროლი ხდებოდა.

სოფ. კათნატუდან სამხრეთ-აღმოსავლეთით არსებული გორის თავზე დადასტურდა 2.5 მეტრის სისქისა და 400 მეტრის სიგრძის ციკლოპური კედელი (კატ. #65_26), რომელიც, თითქოს, არ არის დასრულებული და მხოლოდ მისი საძირკველია აშენებული. ზედხედში, გალავანი, დიაგონალზე გადაჭრილ მომრგვალებულკუთხეებიან ნაგებობას მოგვაგონებს. აღსანიშნავია, რომ დაზვერვებისას, აქ ნამოსახლარის კვალი არ დადასტურებულა. არსებული გალავნით, ნაწილობრივ შემოსაზღვრული ფართობი, ორ ჰექტარს აღემატება, დასრულებულ მდგომარეობაში კი, სავარაუდოდ, ხუთ ჰექტარს შემოსაზღვრავდა. ჩემი აზრით, ამ ადგილზე დაწყებული იყო გამაგრებული დასახლების მშენებლობა, თუმცა, გაურკვეველი მიზეზების გამო, შენება შეჩერდა. აქედან სამხრეთით, ელიას მთის თავზე, დადასტურდა ციკლოპური წრიული კედლით შემოსაზღვრული დასახლება (კატ. #65_21). მოცემული მთა და ციკლოპური კომპლექსი, ამ „ლოკალური არეალის“ ცენტრალურ და ყველაზე დომინანტ ადგილზე მდებარეობს. სიმაგრე სრულადაა დანგრეული, თუმცა, დარჩენილი ე.წ. ხურდა ქვა, რომელიც, ალბათ, ციკლოპური კედლის შემადგენელი ნაწილი იყო, მიუთითებს სიმაგრის გეგმარებაზე. აღსანიშნავია, რომ ძირითადი კედლიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით, გამოდის მეორე კედელი, რომელიც 30 მეტრის შემდეგ აკეთებს 90° კუთხეს და პარალელურად მიუყვება ძირითად კედელს დასავლეთის მიმართულებით. დასახლებამდე ყველაზე ადვილად მისადგომ, ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდზე, ორი, ერთმანეთისაგან 100 მეტრით დაშორებული, თხრილია

24 დ. ბერძენიშვილის აზრით, აღნიშნული კომპლექსი წარმოადგენდა დლივის სამეფო სადგომს, რომელიც არაერთხელ არის მოხსენიებული ქართულ ისტორიულ წყაროებში [ბერძენიშვილი 1985: 85].

გავლებული [Narimanishvili 2016: 211; 2017: 187-188]. მესამე თხრილი დადასტურდა მთის ამავე მხარეს, ძირითად მასივსა და მის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე განშტოებას შორის არსებულ უღელზე. აქვეა გაურკვეველი დანიშნულების, მშრალი წყობით ნაშენი, ნაგებობის ნაშთი. ელიას მთის კომპლექსს განსაკუთრებით სტრატეგიული ადგილი უკავია ჯავახეთის ტერიტორიაზე. აქედან შესაძლებელია ნიალის ყურის მთების გადმოსასვლელების ვიზუალური კონტროლი. ამ მთიდან, აგრეთვე, ჩანს ჯავახეთის ჩრდილოეთი ტერიტორიების თითქმის ყველა მონაკვეთი. მისი მდებარეობიდან და საფორტიფიკაციო სისტემიდან გამომდინარე, ეს უნდა ყოფილიყო ხენჭურის ლოკალური არეალის „სამეფო ქალაქი“.

ელიას მთის აღმოსავლეთ ფერდობის ძირში არსებული, მცირე ხევის ნაპირზე, დაზვერვების დროს, დაფიქსირდა აქამდე უცნობი შუა საუკუნეების ნასოფლარი და ეკლესიის ნანგრევი, რომელიც აგებულია ციკლოპური გალავნის ცენტრში (კატ. #65_40). არ გამოვრიცხავ, რომ ეს ნაგებობა, შესაძლოა ყოფილიყო სხვა ციკლოპური კომპლექსების თანადროული სამლოცველო. ამ შემთხვევაში, ხენჭურის „ლოკალური არეალის“ უკიდურესი, სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვარი, უნდა ყოფილიყო ნიალის ყურის მთები, რომელიც გაჰყოფს ჯავახეთსა და აბოცს. აღსანიშნავია ამავე ქედზე მდებარე, ოღუზ-დაღის ციკლოპური სიმაგრე (კატ. #65_23).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ხანჩალის „ლოკალური არეალი“ კარგად იყო დაცული, როგორც ბუნებრივი ზღუდეებით, ასევე, ციკლოპური სიმაგრეებით სამი მხრიდან. შედარებით გაურკვეველი ვითარებაა მის ჩრდილოეთ ნაწილში. შესაძლოა, მომავალმა კვლევამ უკეთ გამოავლინოს აქ გამავალი საზღვარი. დღევანდელი მონაცემებით, შესაძლებელია იმის თქმა, რომ ამავე „ლოკალურ არეალს“ ეკუთვნის მადათაფას ტბის შემოგარენი და აქედან გავრცელებული ფართო ტერიტორია დღევანდელ სოფ. სპასოვკამდე, სადაც ცნობილია ორი ციკლოპური კომპლექსი (კატ. ##65_16, 25). სავარაუდოდ, ამ არეალს უნდა ეკუთვნოდეს, ასევე, სათხის ციკლოპური კომპლექსიც (კატ. #65_13). აქედან სოფ. სპასოვკის, ორლოვკის, დიდი ხანჩალის და ქ. ნინოწმინდის გავლით, საზღვარი ვრცელდებოდა ხანჩალის ტბის გასადინარამდე, რომლის ხეობის ბოლოში, ორივე მხარეს, დადასტურებულია ციკლოპური სიმაგრეები (კატ. ##65_30, 31).

აღსანიშნავია, ასევე, საბჭოთა ტოპოგრაფიულ რუკებზე, ქ. ნინოწმინდის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, დატანილი ქვის სტელის აღმნიშვნელი ნიშანი, ისეთივე როგორც სოფ. თორიის შემთხვევაში. შესაძლოა, ეს იყო აქ, ერთ დროს არსებული მენჰირი, რომელიც წარმოადგენდა ხენჭურის „ლოკალურ არეალში“ მიმავალი უძველესი გზის მაჩვენებელს. საინტერესოა, ზემოთ ნახსენები ოღუზ-დაღის მთის დასავლეთით, დღევანდელი სომხეთის ტერიტორიაზე, სოფ. ოქსუზთან (დარიკ) არსებული მენჰირი [Bobokhyan et al. 2015: 373], რომელიც ალბათ აღნიშნავდა ხენჭურიდან აბოცში გადასასვლელს.

არპის „ლოკალური არეალი“ - აბოცი

(ტაბ. IV - 2)

აბოცის „ლოკალური არეალი“ მოიცავს არპის ტბის შემოგარენს და სავარაუდოდ, ვრცელდება აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე, ბაბას მთებიდან ჯავახეთის ქედამდე, ხოლო ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზზე, ნიალის ყურის მთებიდან სოფ. ამასიამდე. აქ, აეროფოტოებისა და საბჭოთა ტოპოგრაფიული რუკების საშუალებით, მოხერხდა ერთ ათეულზე მეტი, სავარაუდო ციკლოპური კომპლექსის იდენტიფიცირება. საინტერესოა, რომ ტბის სამხრეთით, ბაბას მთების სამხრეთ კალთების ძირში, მდებარეობს ბუნებრივი გადასასვლელი, რომლის მეშვეობითაც, შესაძლებელია ჩილდირის ტბის მისადგომებთან მოხვედრა. ამ ადგილებში, როგორც

სომხეთის, ისე, თურქეთის ტერიტორიაზე, დასტურდება რამდენიმე, სავარაუდო, ციკლოპური ფორტიფიკაცია. არპის ტბის დღევანდელი გასადინარის მიყოლებით, რომელიც მდ. არპა-ჩაის სათავეს წარმოადგენს, და აქ არსებული ხეობით, სოფ. ამასიის გავლით, შესაძლებელია, ქ. გიუმრის ტერიტორიაზე მოხვედრა, სადაც მეცნიერები ახდენენ ურარტული პერიოდის ქვეყანა ერიახის ლოკალიზებას [Меманишвили 1960: 425]. სოფ. ამასიიდან აღმოსავლეთით არსებული ხეობით, შესაძლებელია ქ. სპიტაკისა და ქ. გიუმრის შორის არსებულ ტაფობში მოხვედრა, საიდანაც ჩრდილოეთით არსებული ქედის გადაღმა მდებარეობს ლორე-ტაშირის ისტორიული მხარე. აბოცის „ლოკალური არეალიდან“ არსებული გადასასვლელები, რომლებსაც მივყავართ მეზობელ ლოკალურ არეალებში, საჭიროებს შემდგომ მეცნიერულ კვლევას.

ნიალის „ლოკალური არეალი“

(ტაბ. V - 1)

ქართულ წყაროებში ცალკე ერთეულად იხსენიება „ნიალის ველი“, ანუ „ნიალისყური“. ის მტკვრის მარცხენა სანაპიროს მაღალმთიან პლატოზე მდებარეობდა. დ. ბერძენიშვილი ამ ერთეულს მიკროქვეყანად მოიაზრებს და აღნიშნავს, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ის თვალსაჩინოდ იყო გამიჯნული მტკვრით, ჩრდილოეთიდან ბუზმარეთის მთებით, დასავლეთიდან კასრის სერისა და გუმბათის მთებით, ხოლო სამხრეთ-დასავლეთიდან ქარზამეთის, ანუ ხინგირის წყლის აუზით [ბერძენიშვილი 1975: 94].

აღსანიშნავია ამ „ლოკალური არეალის“, როგორც ბუნებრივი დაცულობა, ასევე, ციკლოპური სიმაგრეებით მისი მისასვლელების კონტროლი. აქ კარგად გამოკვეთილი „ქვეყნის“ ადმინისტრაციული ცენტრი არ ჩანს. ერთადერთი კომპლექსი, რომელიც შეიძლება მოვიაზროთ ნიალის არეალის „სამეფო ქალაქად,“ არის სოფ. ნიალასა და ლებისს შორის არსებული ნიალის გორა ანუ „ოჯაყარი“ (კატ. #60_25). საინტერესოა ნასოფლარ ქარზამეთის ტერიტორიაზე არსებული ციკლოპური კომპლექსი (კატ. #60_27), რომლის ცენტრში ეკლესიის ნანგრევებია. ამ შემთხვევაშიც, მოცემული ციკლოპური ნაგებობა, ჩემი აზრით, საკულტო დანიშნულების უნდა ყოფილიყო. ასევე, საინტერესოა, ქარზამეთის სამხრეთ-დასავლეთით, ხევის გადაღმა, ისტორიულ სოფ. თათალეთის[25] სამხრეთ-აღმოსავლეთით, კონცხზე, მდებარე ციკლოპური სიმაგრე [ხუციშვილი და სხვ. 2015: 137]. ჩემი აზრით, აღნიშნული სიმაგრე აკონტროლებდა ქარზამეთის ხევზე, მტკვრის მხრიდან ამომავალ გზას. სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან ეს ერთადერთი ადგილია, საიდანაც შეიძლება ქარზამეთის ხევის გადალახვა და შედარებით ადვილად მოხვედრა ამ „ლოკალურ არეალში“. ქარზამეთის წყლის ხეობის მარცხენა ნაპირზე, ორი ციკლოპური კომპლექსი (კატ. ##60_50, 51) მდებარეობს, რომლებიც ხეობაში შესასვლელს აკონტროლებდა. ჩემი აზრით, ნიალის „ლოკალური არეალის“ სამხრეთ-დასავლეთის საზღვარი გადიოდა დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე, სოფ. აღილსა და დირსეკაიას შორის არსებულ, მტკვრის მარცხენა შენაკადის ღრმა ხეობაზე, სადაც ორი ციკლოპური კომპლექსია დადასტურებული.

ქარზამეთის წყალს ორი ძირითადი სათავე გააჩნია. მათი შერწყმის ადგილიდან ჩრდილოეთით მდებარეობს გუმბათის მთა, რომელიც დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე დარჩენილი ერუშეთის ქედის, ან ჯავახეთის მთების, ყველაზე მაღალ მთას წარმოადგენს. მის თავზე, დაზვერვების დროს დადასტურდა ციკლოპური კედლის ნაშთი (კატ. #60_28). უეჭველია, რომ ეს სიმაგრის ნანგრევია, რადგან შემორჩენილი კედლის მონაკვეთზე, აშკარად შეიმჩნევა კონტრფორსის არსებობა. სავარაუდოდ, აქ საგუშაგოს ტიპის ფორტიფიკაცია უნდა ყოფილიყო, რომლის მეშვეობით, მტრის მოახლოების შემთხვევაში, ხდებოდა მისი დაფარვის არეალში არსებული „ქვეყნების“ გაფრთხილება. აქედან მოჩანს

25 დღევანდელი სოფ. ბალტალი.

ისტორიული ჯავახეთის ყველა მნიშვნელოვანი ერთეული, გარდა ტაბაწყურის და ფარავნის ტბების მიდამოებისა. ეს პუნქტი, ერთი შეხედვით, თითქოს ნიალის არეალს უნდა ეკუთვნოდეს. თუმცა, მისი სტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე, არ გამოვრიცხავ, რომ ის უფრო დიდი პოლიტიკური გაერთიანების სტრატეგიული ობიექტი უნდა ყოფილიყო, რომელიც, შესაძლოა, გარკვეულ პერიოდში, აერთიანებდა ნიალის, ბუზმარეთის და ჯავახეთის პლატოზე არსებულ სხვა მცირე ერთეულებს.

სოფელ ნიალაში ჩამომავალ ხევებს შორის, გორაზე, მდებარეობს ციკლოპური სიმაგრე (კატ. #60_52), რომელიც, სავარაუდოდ, აკონტროლებდა აქ არსებულ გადასასვლელს. ამ რეგიონში, მტკვრის ხეობიდან განაყარი ხეობების ნაპირებზე, ყველგან ვხვდებით ციკლოპურ კომპლექსებს. აქვე აღვნიშნავ, რომ ნიალის „ლოკალური არეალის“ უკიდურეს ჩრდილოეთ პუნქტად უნდა მოვიაზროთ დიგრას მთის ჩრდილოეთის ფერდზე მდებარე ციკლოპური კომპლექსი (კატ. #60_31). აქ არსებული გადასასვლელი, დღესაც, აკავშირებს ნიალის ველსა და ბუზმარეთის ტაფობს. უძველესი სტრატეგიული გზის არსებობას აქ ადასტურებს გორებზე არსებული სიმაგრეები. ნიალის არეალის შემადგენლობაში, ასევე, უნდა ყოფილიყო, დიგრას მთაზე არსებული ციკლოპური სიმაგრე (კატ. #60_30), ხოლო, აქედან ჩრდილო-დასავლეთით, ჭაობის გადაღმა არსებულ გორაზე მდებარე ციკლოპური კომპლექსი (კატ. #60_33) და მის აღმოსავლეთ ფერდზე განლაგებული ციკლოპური სიმაგრე (კატ. #60_32), როგორც ჩანს ეკუთვნოდა ბუზმარეთის ლოკალურ არეალს.

ბუზმარეთის „ლოკალური არეალი“

(ტაბ. V - 2)

ნიალის ჩრდილოეთით, ბუზმარეთის ტაფობის შემოგარენში, იკვეთება „ბუზმარეთის ლოკალური არეალი“. მოცემულ ტერიტორიას, ადრე შუასაუკუნეების მიკროქვეყნად აღიქვამს დ. ბერძენიშვილი. ამასთან დაკავშირებით, მეცნიერი აღნიშნავს, რომ ეს ერთეული მდებარეობდა ქუნცის, ტოლოშის და სალოშეთის ხეობათა სათავეში, რომელიც გეოგრაფიულად კარგად გამოკვეთილ რეგიონს წარმოადგენდა. ის შემოზღუდული იყო თავთავას, ვანის, გელენის, ინჯის, დიგრასა და სათოვლოს მთებით. ამ მიკროქვეყნის ცენტრად, დ. ბერძენიშვილს მიაჩნია ბუზმარეთი, რომელიც მოგვიანებით სამ სოფელს ერქვა. ეს სახელი გაგებულია, როგორც ბუზმარიანთ გვარის მამული, სოფელი, ქვეყანა [ბერძენიშვილი 1975: 94].

ბუზმარეთის ლოკალური არეალი ძლიერი ერთეული ჩანს ასევე პრეისტორიულ ხანაშიც. რეგიონისკენ მისასვლელები კარგად იყო დაცული ციკლოპური ფორტიფიკაციებით. აღნიშნულ ლოკალურ არეალში გამორჩეული ცენტრალური ადგილი უკავია, სოფ. ვანის სიახლოვეს მდებარე, ვრცელ ციკლოპურ სიმაგრეს (კატ. #60_38). გამაგრებული დასახლება ჩანს, ასევე, ამავე სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით არსებული გორის თავზე (კატ. #60_36).

ბუზმარეთის ჩრდილოეთი საზღვარი, როგორც ჩანს, გადიოდა ზიარათის მთასთან, რომლის თავზე სტრატეგიული დანიშნულების ციკლოპური კომპლექსია (კატ. #60_12) დადასტურებული. აქედან შესაძლებელია ჯავახეთის ტერიტორიის დიდი ნაწილის ვიზუალური კონტროლი. ამავე მთის დასავლეთიდან გზა გადადის ჯერ სოფ. ერკოტაში, შემდეგ, კი, სოფ. ზველსა და ჭობარეთში. გზის გაყოლებაზე რამდენიმე ციკლოპური კომპლექსი დადასტურდა. ჭობარეთის თავზე, კი, ცნობილი სატიკნეს კომპლექსი მდებარეობს (კატ. #60_1).

ბუზმარეთიდან კიდევ ერთი გზა მიდის აღმოსავლეთით, შალოშეთის მენჰირის მიმართულებით, რომლის შემოგარენში მნიშვნელოვანი ციკლოპური კომპლექსებია დადასტურებული. ისინი უზრუნველყოფდნენ მტკვრის ხეობიდან არსებულ ამოსასვლელების დაცვას.

„ლოკალური არეალი“ ახალქალაქის[26] სამხრეთ-დასავლეთით არსებულ ზეგანზე — „ზაბახას ქვეყანა“[27]

(ტაბ. VI - 1)

„ლოკალური არეალი“ მდებარეობს ფოსოს ჩრდილოეთით, ხენჭურის ჩრდილო-დასავლეთით, ნიალის და ბუზმარეთის აღმოსავლეთით, მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მაღალ პლატოზე. აღნიშნული არეალი ჩრდილოეთის მხრიდან დაცულია მდ. ფარავნის ღრმა ხეობით. ზაბახას არეალის აღმოსავლეთი საზღვარი, სავარაუდოდ, მიუყვებოდა მდ. ფარავანის დინების საპირისპიროდ, დღევანდელ სოფ. ყულალისამდე. სამხრეთ-აღმოსავლეთით, ის, როგორც ჩანს, ისაზღვრებოდა ყულალისის სამხრეთ-დასავლეთით არსებული მთებით[28], სამხრეთით კი, ფოსოს ჩრდილოეთი საზღვრით - კადალას ხეობით და მთა სულდით.

მტკვრის ხეობის გაყოლებაზე, მის მარჯვენა სანაპიროზე, ათზე მეტი ციკლოპური სიმაგრეა გამოვლენილი, ხოლო ფარავნის ხეობაში, ხერთვისი-ახალქალაქის მონაკვეთზე, მის მარცხენა ნაპირზე, ექვსი ერთეულია. ყველა სიმაგრე ზეგანის ნაპირზეა განლაგებული. ამიტომ მიმაჩნია, რომ ისინი ამ ადგილებში არსებულ ამოსასვლელებს აკონტროლებდნენ და უზრუნველყოფდნენ ლოკალური არეალის უსაფრთხოებას.

„ზაბახას ქვეყნის“ ლოკალური არეალის ცენტრი ახალქალაქის ამირანის გორა (კატ. #63_36) უნდა ყოფილიყო. თუმცა, ამ არეალის ტერიტორიაზე, ვრცელი დასახლება შეიმჩნევა ასევე სოფ. ოკამის აღმოსავლეთით არსებულ „წითელ გორაზე“ (კატ. #63_42). საინტერესო ციკლოპური კომპლექსი (კატ. #63_92) მდებარეობს სოფ. ოკამის ჩრდილო-დასავლეთით, რომელიც, ჩემი აზრით, საკულტო დანიშნულების უნდა ყოფილიყო.

აღსანიშნავია „ზაბახას ქვეყნის“ ლოკალური არეალის მდებარეობა. ის ფაქტობრივად ისტორიული ჯავახეთის ცენტრალურ ნაწილს მოიცავს. შესაძლოა, ურარტული პერიოდის ქვეყნის დასახელება ზაბახ-ჯავახ, შემდგომ პერიოდებში, გადავიდა მის გარშემო არსებულ ტერიტორიაზე. ცენტრალური დასახლების სახელის გადასვლის მაგალითი, მის გარშემო არსებულ „ქვეყანაზე“, ან მიკროქვეყანაზე“, არაერთხელ აქვს განხილული დ. ბერძენიშვილს [ბერძენიშვილი 1975; 1985]. შესაძლოა, ამ შემთხვევაში, ჩვენ საქმე გვაქვს უფრო ფართო მასშტაბებთან, როცა გარკვეული ვრცელი რეგიონის ცენტრალური ქვეყნის, თუ ტომის გაძლიერების შემდეგ, მისი ტოპონიმი, ან ეთნონიმი, გავრცელდა გარშემო არსებულ ტერიტორიებზე. ზაბახა-ჯავახეთის გაძლიერება გვიანდელ პერიოდში, შესაძლოა, მის ტერიტორიაზე გამავალი პოლიტიკური მნიშვნელობის უძველესი გზების არსებობით აიხსნას. სოფ. მურჯახეთში მდებარე სამი მენჰირი ადასტურებს აქ მნიშვნელოვანი უძველესი გზის არსებობას.

აბულის ლოკალური არეალი

(ტაბ. VII - 1)

აბულის ლოკალური არეალი მდებარეობს ისტორიული ჯავახეთისა და თრიალეთის საზღვარზე. ის მოიცავს სამსარისა და ჯავახეთის ქედებს შორის მოქცეულ ტერიტორიას. კერძოდ კი, ფარავნისა და საღამოს ტბების აუზებს. ასევე, ქოროღლისა და მაჭატიას მთებიდან,

---

26 ქ. ახალქალაქთან გამოვლინდა ორი ლოკალური არეალი - ჩრდილოეთის და სამხრეთის. ჩრდილოეთის ლოკალურ არეალს ეწოდა „ტაბაწყურის ლოკალური არეალი“ (ტაბ. VI - 2). ის საჭიროებს უფრო დეტალურ შესწავლას, აქედან გამომდინარე, არ იქნება მოცემული ნაშრომში.

27 ჩემი აზრით, ურარტული პერიოდის ზაბახას ქვეყანა, შეიძლება ლოკალიზდეს მოცემულ „ლოკალურ არეალში“, ამით არის განპირობებული მისი სახელწოდება.

28 შიშ-თაფა და სურბ-სარი.

ეშტიას მთამდე არსებულ, სამსარის ქედის სამხრეთი ნაწილის მთაგორიან მონაკვეთს, მდ. ფარავნის ხეობამდე.

აბულის ქვეყნის სამხრეთი საზღვარი, როგორც ჩანს, გადიოდა საღამოს ტბიდან მდ. ფარავნის ჩაყოლებაზე, დღევანდელ ქ. ახალქალაქამდე. აქედან, კი, ციკლოპური სიმაგრეების მდებარეობიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საზღვარი სოფ. ხულგუმო, მაჩატია და ოლავერდის მიმდებარე მთებზე გავლით ადიოდა სამსარის ქედზე, ქოროღლის მთისა და ლევანის ტბის მიდამოებში, სადაც არსებულ გადასასვლელს მიუყვებოდა შაორის მეგალითურ კომპლექსამდე (კატ. #65_1).

ძლიერი თავდაცვითი ზოლი დასტურდება მდ. ფარავნის ხეობის მარჯვენა ნაპირის გაყოლებაზე. აქ, საღამოს ტბიდან ამირანის გორამდე, თორმეტი ციკლოპური სიმაგრეა დადასტურებული. ამ მონაკვეთზე, აბულის ლოკალური არეალიდან, სამი ძირითადი გადასასვლელია, ორი გადადის ხანჩალის, ერთი კი ზაბახას ლოკალურ არეალში.

ამავე ხეობის გაყოლებაზე რამდენიმე მცირე გადასასვლელიც იკვეთება, რომლებიც, ყველა შემთხვევაში, სიმაგრეებით კონტროლდებოდა.

ხენჭურის მხრიდან აბულის არეალში შემავალი პირველი, ძირითადი გზა, როგორც ჩანს, გადიოდა საღამოს ტბის სამხრეთ ნაპირზე არსებულ ციკლოპურ კომპლექსთან (კატ. #65_9). ეს უკანასკნელი წარმოადგენს გალავნით გამაგრებულ დასახლებას, რომელიც შედგება სიმაგრისა და ორი დასახლებული ტერასისაგან. გეგმარებით ის ტრაპეციისებურია, სადაც დასავლეთის ნაწილი შევიწრობულია, ხოლო აღმოსავლეთის, ანუ ტბის ნაპირზე გამავალი ნაწილი, შედარებით ფართოა. დასავლეთი კედელი საკმაოდ მძლავრია, მას გარედან შემოსდევს თავდაცვითი თხრილი. ეს პუნქტი, აქ ერთ-ერთი ცენტრალური გზის არსებობაზე მიუთითებს[29], რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იყო სოფ. განძანის ციკლოპურ სიმაგრესთან (კატ. #65_24) და მენჰირთან მოხვედრა. როგორც ჩანს, განძანი წარმოადგენდა ერგვარ გზაგასაყარს, საიდანაც გზები იყოფოდა დასავლეთით, აბულის ციკლოპური კომპლექსისა (კატ. #65_6) და ავჭალის ტბის, ჩრდილოეთით, ფარავნის ტბის, აღმოსავლეთით კი ჯავახეთის ქედის „გძელ თოვლისი“[30]-ს მთების მიმართულებით. ამ გზის დასასრულს, განძის წყლის ხეობის ერთ-ერთ ხერთვისში, მდებარეობს განძისწყლის ციკლოპური სიმაგრე (კატ. #65_8). ჯავახეთის ქედზე, აღრიკარის მთაზე (კატ. #82_1) და მის აღმოსავლეთით (კატ. #82_2) მდებარე სიმაგრეებს შორის, სავარაუდოდ, გადიოდა საზღვარი აბულის ლოკალურ არეალსა და დმანისის ციკლოპური „ნაქალაქარის“ მიმდებარე ქვეყნის მიწებს შორის.

განძანის მენჰირიდან, სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით, გზა გაივლის ავჭალის ციკლოპური კომპლექსის (კატ. #65_7) ძირში და ამავე დასახელების ტბის გავლით, მიდის სოფ. ეშტიაში, რომლის სიახლოვეს მდებარეობს ტონთიოს (კატ. #65_11) და თორიას (კატ. #65_10) ციკლოპური კომპლექსები.

ფარავნის ტბის მიმართულებით მიმავალი გზა ფილთი-კარის სიმაგრის ძირში გადიოდა (კატ. #65_5), საიდანაც, ჩრდილო-აღმოსავლეთით, ფოკას სიმაგრესთან (კატ. #65_4) მიდის, ხოლო ჩრდილო-დასავლეთით, აქვე არსებული ტაფობის გავლით და ჰატარა აბულის მთის შემოვლითი გზით, სოფ. აბულის ციკლოპურ კომპლექსთან[31] (კატ. #63_78) მოხვედრა იყო შესაძლებელი. აღნიშნული ტაფობიდან შესაძლებელია ასევე ნასოფლარ მახარონთან/

29 მნიშვნელოვანი გზის არსებობას ადასტურებს სოფ. საღამოში არსებული სამი, სხვადასხვა პერიოდის ეკლესია.

30 ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით.

31 აქ არსებულ ციკლოპურ სიმაგრესთან დაკავშირებით წერს დ. ბერძენიშვილი. ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ სოფლის ახალ სასაფლაოზე უპოვიათ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის მოზრდილი ჭურჭელი [ბერძენიშვილი 2005: 237]. პროექტის ფარგლებში ჩატარებული დაზვერვების შედეგად დადგინდა, რომ ციკლოპური გალავანი ადგილობრივებს სრულიად დაუნგრევიათ. ამას ადასტურებს ადგილზე არსებული ქვის მოსაპოვებელი კარიერიც. ძეგლისგან დარჩენილი მცირე ნაწილი, შეიცავს მხოლოდ შუა საუკუნეების კულტურულ ფენებს.

ბობლიკანთან[32] მისვლა, სადაც მენჰირია აღმართული, აქვე, გორის თავზე, ციკლოპური სიმაგრეა აშენებული (კატ. #65_3). აღნიშნული მენჰირიდან გზის გაგრძელება შეიძლება ფარავნის ნაპირისკენ, სადაც ის შეუერთდება ფოკადან მომავალ გზას. შემდეგი პუნქტი ჩრდილოეთით იყო სოფ. ასფარა, სადაც წრიული ციკლოპური გალავანია დადასტურებული[33] (კატ. #65_28). აღსანიშნავია, რომ გალავნის სიმაღლე ორ მეტრს აჭარბებს, თუმცა, მისი შიდა სივრცე შევსებულია და ზედ აშენებულია შუა საუკუნეების ეკლესია [ჯავახეთი 2000: 17]. ჩემი აზრით, აღნიშნული ციკლოპური ნაგებობა გვიანბრინჯაო-რკინის ხანის სამლოცველოს უნდა წარმოადგენდეს.

ასფარადან დასავლეთით მდებარეობს შაორის მთა და მასზე არსებული მეგალითური კომპლექსი (კატ. #65_1), რომლის ჩრდილოეთით არსებული ნასოფლარის ტერიტორიაზე დადასტურდა მენჰირი. სამსარის ქედის ამ მონაკვეთზე ერთი გადასასვლელია, რომელიც მდებარეობს შაორის მთასა და ქოროღლის მთას შორის. აქედან გზა ჩადის სოფ. ოლავერდში, ბალხოში და პატარა სამსარში.

შაორიდან ჩრდილოეთით მეორე გზა-გადასასვლელი მდებარეობდა შავნაბადას მთის ჩრდილო-დასავლეთ ფერდზე. ამ მიდამოებში მდებარეობს ამირხანის ანუ ამირანის[34] სახლი [Куфтин 1948: 7]. აქედან გზის გაგრძელება შეიძლებოდა დასავლეთით - ჯავახეთის ცენტრალური ნაწილისაკენ, ჩრდილოეთით - საპიტიახშოს მიმართულებით, ხოლო ჩრდილო-დასავლეთით ნარდევანის წყლის ხეობით[35] თრიალეთისკენ. ნარდევანის ხეობას აკონტროლებდა ერთი სავარაუდო საგუშაგო[36] და ციკლოპური კედლით გამაგრებული დასახლება (კატ. #85_27).

სოფ. ასფარადან თრიალეთის მიმართულებით გზა მიდის ჩრდილო-აღმოსავლეთითაც, დალის და ჭიქიანის მთებს შორის მდგარი ცნობილი ჭიქიანის მენჰირის გავლით, ჩადის ხეობაში, რომლის ბოლოში მდებარეობს ნარდევანის ციხე (კატ. #85_18).

აბულის ლოკალური არეალიდან, დმანისში, ერთ-ერთი გადასასვლელი, ჭიქიანის მენჰირიდან აღმოსავლეთით არსებულ, ჭოჭიანის ხეობაზე გადიოდა. დასავლეთიდან ხეობას აკონროლებდა ჭიქიანის ფერდობზე არსებული ციხე (კატ. #65_2); აღმოსავლეთის მხრიდან კი, გადასასვლელს იცავდა ჭოჭიანის მეგალითური კომპლექსის ციკლოპური სიმაგრე (კატ. #85_19).

აღსანიშნავია, რომ ჭიქიანის მენჰირიდან სამხრეთით, ფარავნის ტბის აღმოსავლეთ სანაპიროს გაყოლებაზე, უძველეს დროსაც შეიძლება ყოფილიყო გზა, რომელიც ჯერ ფოკას, შემდეგ კი საღამოს ტბას და აქ არსებულ ციკლოპურ კომპლექსს მიადგებოდა (კატ. #65_9).

საღამოს ციკლოპური კომპლექსიდან დასავლეთით, სავარაუდოდ, იყო ერთ-ერთი მცირე გადასასვლელი მდ. ფარავანზე. აქ არსებული შუა საუკუნეების ნასოფლარის[37] ტერიტორიაზე მდებარეობს წრიული მოყვანილობის ციკლოპური ნაგებობა (კატ. #65_36), რომელიც, ჩემი აზრით, ასფარას კომპლექსის ანალოგიური სამლოცველო უნდა ყოფილიყო. გალავნის

32 სოფ. ვლადიმეროვკას მიდამოები. აქ არსებულ ნასოფლართან მიმართებაში მეცნიერები ორივე დასახელებას იყენებენ [ჯავახეთი 2000: 16; მელქისეთ-ბეგი 1938: 60].

33 აღნიშნული ციკლოპური კომპელქსი აღწერილია როგორც ეკლესიის გალავანი [ჯავახეთი 2000: 17].

34 ტოპონიმების დამახინჯება ხშირად გვხვდება ამ რეგიონში: ამირხანი-ამირანი, იხტილა-ღრტილა, საბიდახჩა-საპიტიახშო, სათხა-სათხე და სხვ.

35 კუფტინი იხსენიებს კუშჩის ხევის სახელით.

36 ინფორმაციისა და ფოტომასალის მოწოდებისათვის დიდ მადლობას ვუხდი ირმა ბერძენიშვილს.

37 ნასოფლარს თითქოს დუმანი უნდა რქმეოდა [ჯავახეთი 2000: 25], თუმცა ვახუშტის რუკაზე, ის ტბის მოპირდაპირე მხარესაა აღნიშნული. 1913 წლის რუსულ ტოპოგრაფიულ რუკაზე ეს ნასოფლარი ეწერის სახელითაა ცნობილი.

ჩრდილო-დასავლეთ კედელთან 2.5 მეტრის სიმაღლის მენჰირია დადასტურებული[38]. ნასოფლარის თავზე კი ციკლოპური სიმაგრეა (კატ. #65_35), რომლითაც, ალბათ, კონტროლდებოდა მდინარეზე არსებული გადასასვლელი. ამ გადასასვლელიდან შეიძლება ავჭალის ტბასთან ასვლა. ანალოგიური გადასასვლელი, სავარაუდოდ, იყო სოფ. არაქალთანაც, რომელსაც აკონტროლებდა აქვე არსებული ციკლოპური სიმაგრე (კატ. #65_41).

ხანჩალის ლოკალური არეალის მხრიდან, მეორე ძირითადი გადასასვლელი, ჩემი აზრით, მდებარეობდა ტონთიოს ციკლოპური კომპლექსის მიმდებარედ. ამ გამორჩეული კომპლექსის მდებარეობა, შესაძლოა, მიუთითებდეს სამხრეთიდან მომავალი ერთ-ერთი ცენტრალური გზის არსებობაზე.

ტონთიოდან ერთი გზა ავჭალის ტბის გავლით მიდის აბულის ციკლოპური კომპლექსისკენ, ხოლო მეორე - თორიასკენ. ამ უკანასკნელიდან სამხრეთ-დასავლეთით არსებული ვიწრო ხეობის გავლით, რომლის ორივე ნაპირზე ციკლოპური კომპლექსებია (კატ. ##63_46, 56), გზა, ერთის მხრივ, მიემართება სოფ. ხორენიასკენ, მეორე მხრივ, კი სოფ. ხოსპიოსკენ; ორივე შემთხვევაში აქ, მდ. ფარავანზე გადასასვლელები უნდა არსებულიყო.

თორიადან გზა, ასევე, მიემართება, ჩრდილოეთით სოფ. თახჩის გავლით, სოფ. აბულისკენ, სადაც უერთდება ფილთი-კარიდან და მახარონი/ბობლიკანიდან წამოსულ გზას. სოფ. აბულიდან გზა ჯერ სოფ. ბუზავეთში გადადის, სადაც ციკლოპური, კონტრფორსებიანი გალავნით გამაგრებული დასახლება (კატ. #63_65) და მის სიახლოვეს არსებული საგუშაგოა (კატ. #63_66), შემდეგ ბუზავეთი-ოლავერდის შორის მდებარე სიმაგრის (კატ. #63_55) გავლით კი, შესაძლებელია სოფ. ოლავერდის ტაფობში გადასვლა.

სოფ. თახჩადან დასავლეთით მდებარე მთაგორების ფერდობებზე, სანამ ისინი ამირანის გორის მიდამოებში დაიწყებენ დავაკებას, დადასტურდა ოთხი ციკლოპური სიმაგრე. შესაძლოა, აქ გადიოდა აბულის და ზაბახას ლოკალური არეალების საზღვრის ერთი მონაკვეთი, ხოლო, ამირანის გორის ძირში, მდ. ფარავანზე გადიოდა „აბულის ქვეყანასთან“ ერთ-ერთი ძირითადი მისასვლელი გზა. დღევანდელი სოფ. ბავრადან გზა გაივლის ვიწრო ხეობას და ადის სოფ. ოლავერდში. ოლავერდის ტაფობთან მისადგომებს აკონტროლებდა აქვე არსებული ციკლოპური კომპლექსი (კატ. #63_30), რომლის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ქოროღლის მთაზე სავარაუდოდ გადიოდა აბულის ლოკალური არეალის საზღვარი.

აღსანიშნავია, რომ აღწერილი ლოკალური არეალის გზა-გადასასვლელების რთული სისტემა კარგად იყო დაცული ციკლოპური კომპლექსებით. თუმცა ციხეების დიდი ნაწილი, ძირითადად, ამ რეგიონის „სასაზღვრო“ მონაკვეთებში გვხვდება. აღწერილი სიმაგრეების მდებარეობით და ბუნებრივი გამყოფებით შემოსაზღვრული არეალის ცენტრში, მდებარეობს აბულის ციკლოპური კომპლექსი (კატ. #65_6), რომელიც ყველა სხვა კომპლექსისგან განსხვავდება მდებარეობით, დაცულობით და კონსტრუქციით. ამ გარემოებიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ ის უნდა ყოფილიყო „აბულის ლოკალური არეალის“ ცენტრალური დასახლება. აბულის კომპლექსის სიახლოვეს არ არის მიწათმოქმედებისთვის საჭირო ტერიტორია, როგორც, მაგალითად, თორიას კომპლექსის შემთხვევაში. ამიტომ, აბულის მოსახლეობას უნდა ესაზრდოა მის გარშემო არსებული გამაგრებული დასახლებების მოსახლეობის ხარჯზე. ასეთ დასახლებებად შეიძლება მოვიაზროთ ავჭალის ტბის თავზე მდებარე ციკლოპური კომპლექსი (კატ. #65_34).

აბულის ლოკალურ არეალში გამორჩეული ადგილი უკავია შაორის მეგალითურ კომპლექსს (კატ. #65_1), რომელიც, სავარაუდოდ, უნდა ყოფილიყო ერთგვარი რელიგიური ცენტრი.

38 შესაძლოა ეს იგივე მენჰირია, რომელიც ლიტერატურაში არის ცნობილი [ჯავახეთი 2000: 25].

თრიალეთის ლოკალური არეალი

(ტაბ. VII - 1)

თრიალეთის ლოკალური არეალი მოიცავს ისტორიული თრიალეთის ტერიტორიის ნაწილს, კერძოდ კი, დღევანდელი წალკის მუნიციპალიტეტისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გარკვეულ მონაკვეთს.

აღნიშნული ლოკალური არეალის საზღვრები, როგორც ჩანს, დასავლეთით გადიოდა სამსარის ქედზე, ჩრდილოეთით თრიალეთის ქედზე, აღმოსავლეთით - ხრამისა და ლაკვის ხევებზე. სამხრეთის მხრიდან საზღვარი, სავარაუდოდ, გადიოდა ბედენის პლატოზე და ჭოჭიანის ხეობაზე.

უნდა აღვნიშნო, რომ თრიალეთის ქედის ამ მონაკვეთში ციკლოპური კომპლექსები დადასტურებული არ არის. უძველესი დასახლებული პუნქტების ძირითადი ნაწილი განლაგებულია სოფ. აშკალას და ლივადს შორის არსებულ მცირე ქედებზე, სადაც დადასტურებულია შვიდი ვრცელი ციკლოპური კომპლექსი.

აღმოსავლეთის მხრიდან თრიალეთში მოხვედრა შეიძლებოდა ლაკვის ხეობის გავლით, სადაც დღევანდელ სოფ. ზირბითთან ცნობილი ციკლოპური გალავნით გამაგრებული დასახლებაა (კატ. #84_3). დასახლების დასავლეთით, ერთი კილომეტრის დაცილებით, მენჰირია აღმართული. აქედან ერთი გზა, სავარაუდოდ, მიემართებოდა გოხნარის ციკლოპური სიმაგრისაკენ (კატ. #84_2), საიდანაც გადასვლა შეიძლებოდა ბარეთის კომპლექსის მიდამოებში (კატ. #85_13). მეორე გზა კი, როგორც ჩანს, მიუყვებოდა ხეობას და ადიოდა დღევანდელ სოფ. იმერასთან, ამ მისასვლელის კონტროლი შესაძლებელი იყო ბარეთის ტბის აღმოსავლეთით, ლაკვის მთის სამხრეთ თხემზე არსებული სიმაგრიდან (კატ. #84_1). სოფ. იმერასთან და გოხნარის სიმაგრესთან ცნობილია ორი სავარაუდო მენჰირი, რომლებიც თავის დროზე შესაძლოა გზების ან გადასასვლელების მიდამოებში იყო აღმართული.

სოფ. იმერადან გზის გაგრძელება შესაძლებელია დასავლეთით საბეჭდავის (კატ. #85_12), კნოლეს (კატ. #85_11) ციკლოპური კომპლექსებისაკენ და ბეშთაშენის „ნაქალაქარის“ (კატ. #85_10) მიმართულებით, ხოლო ჩრდილოეთით, გზა, სავარაუდოდ, მიდიოდა ბარეთის ციკლოპური კომპლექსისაკენ. ეს უკანასკნელი შედგება ორი სიმაგრისა და ფორტიფიკაციას მოკლებული დასახლებისაგან. სიმაგრეები განლაგებულია მცირე ქედის თხემზე. ბარეთის ციკლოპური კომპლექსის ჩრდილოეთით და დასავლეთით არსებულ მისადგომებს იცავდა ორი ციკლოპური სიმაგრე (კატ. ##85_14, 25). ბარეთის კომპლექსი, როგორც ჩანს, აკონტროლებდა შიდა ქართლიდან თრიალეთის ქედზე არსებულ ერთ-ერთ გზა-გადასასვლელს.

ბარეთიდან შეიძლება სოფ. ახალშენის (კარიაკი) მიდამოებში მოხვედრა, სადაც „ახალდაბას ციკლოპური კომპლექსი“ მდებარეობს (კატ. #85_8). როგორც ჩანს, ამავე კომპლესიდან ხდებოდა შიდა ქართლიდან მომავალი ერთ-ერთი გზის კონტროლი. აღნიშნული კომპლექსიდან ჩრდილოეთით, სოფ. თეჯისის თავზე არსებული გორის თხემზე მდებარეობს წმ. კონსტანტინეს ეკლესია, რომელიც აშენებულია თითქმის ხუთი მეტრის სიმაღლის მენჰირის გარშემო. ეკლესიას და მენჰირს შემოვლებული აქვს ციკლოპური გალავანი (კატ. #85_9), რომელშიც ორი შესასვლელია დატანილი. სავარაუდოდ, ეს უნდა ყოფილიყო ასფარას, ღრტილას, ქარზამეთის და სხვ. ტიპის სამლოცველოების მსგავსი კომპლექსი. როგორც ჩანს, ის მდებარეობდა თრიალეთის ქედიდან მომავალ გზაზე, რომელიც ახალდაბას კომპლექსის გავლით მიემართებოდა ბეშთაშენის ნაქალაქარისაკენ.

ბეშთაშენის „ნაქალაქარი“, სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე ერთ-ერთი გამორჩეული დასახლება უნდა ყოფილიყო. მისი, ციკლოპური კედლით შემოსაზღვრული ფართობი, სამ ჰექტარზე ცოტა მეტია. კომპლექსის გარშემო შესწავლილი ძვ.წ. XVI-VII საუკუნეების სამაროვნები აშკარად მიუთითებენ აქ მცხოვრები საზოგადოების რთულ იერარქიაზე. ერთ-ერთი ასეთი სამაროვანია საფარ-ხარაბა, სადაც კავკასიისათვის იშვიათი

ეგვიპტური იმპორტული სამკაული, მითანიური ცილინდრული საბეჭდავები და სხვა ნივთებია აღმოჩენილი. ასევე, დადასტურებულია წინააზიური ტიპის სატევარი. ქრონოლოგიურად შემდგომი ეტაპის სამაროვანია ბეშთაშენი. აქ დადასტურებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი სამარხი, რომელიც გამოირჩევა ინვენტარის მხრივ და სავარაუდოდ, ტომის ბელადს ეკუთვნოდა. აქვე არის აღმოჩენილი რკინისა და ბრინჯაოს გამორჩეული საბრძოლო იარაღები, ბრინჯაოს სარტყლები, ასევე, სხვადასხვა იმპორტული ნივთები, მათ შორის წრიული ასკოსი და რომბულთავიანი თავხვია საკინძი. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ ბეშთაშენის ნაქალაქარი წარმოადგენდა თრიალეთის ლოკალური არეალის დედაქალაქს, რომელიც ამ ფუნქციას ინარჩუნებდა თითქმის ათასი წელი.

ბეშთაშენის ნაქალაქარიდან ერთი გზა მიემართებოდა სამხრეთით, დღევანდელი ქ. წალკის (ეძანი) მიმართულებით. ამ ორ პუნქტს შორის ცნობილია სამი მენჰირი, რომლებიც დღეს წყალსაცავის ტერიტორიაზეა მოქცეული. აქვეა ცნობილი შუა ბრინჯაოს ხანის ყორღანები, რომლებშიც აღმოჩენილია თრიალეთის ვერცხლისა და ოქროს თასები. ამავე ყორღანებისაკენ მიემართება სარიტუალო საპროცესიო გზები.

ქალაქ წალკის ტერიტორიაზე მდებარეობს ზღუდიანი ნამოსახლარი (კატ. #85_15), რომელიც, სავარაუდოდ აკონტროლებდა ქციის ხრამზე, ამ მონაკვეთში გამავალ გზას. ხრამის დინების გაყოლებაზე მდებარეობს ისტორიული ახალქალაქი, რომლის ტერიტორიაზეც ციკლოპური სიმაგრეა ცნობილი (კატ. #85_16). ქციის ხრამით შესაძლებელი იყო ჯერ სამშვილდეში (კატ. #84_5), შემდეგ კი მარნეულის ველზე მოხვედრა. ქ. წალკიდან სამხრეთით, ჭოჭიანის ხეობაზე არსებულ გადასასვლელებს იცავდა ჭოჭიანის მეგალითური კომპლექსი (კატ. #85_19), მის აღმოსავლეთით მდებარე ციკლოპური სიმაგრე (კატ. #85_26) და ციკლოპური კედლით გამაგრებული დასახლება (კატ. #85_20).

ჭოჭიანის ხეობით, ერთის მხრივ, შესაძლებელია ხრამის ხეობაში მოხვედრა, მეორე მხრივ კი, ჯავახეთში, აბულის ლოკალურ არეალში გადასვლა. აბულიდან თრიალეთში მომავალი ერთი გზა გადიოდა სოფ. ნარდევანის (ხევღრმა) ციკლოპურ სიმაგრესთან (კატ. #85_18), ხოლო, მეორე გზა, როგორც ჩანს, გადიოდა დღევანდელი სოფ. თაქ-ქილისას სამხრეთით არსებულ ხეობაზე, რომლის მარცხენა ნაპირზე დადასტურდა ციკლოპური კომპლექსი (კატ. #85_21). აღსანიშნავია, რომ ხეობის ორივე ნაპირზე ცნობილია უძველესი დროის პეტროგლიფები, რომელთა ნაწილი გარკვეულ სტილისტურ მსგავსებას იჩენენ ბეშთაშენის სამაროვანზე აღმოჩენილ სარტყელზე გამოსახულ მონადირეებთან. თრიალეთის მოსაზღვრე რეგიონებიდან პეტროგლიფები დადასტურებულია ასევე, ზურტაკეტის შუა ბრინჯაოს ხანის ყორღანის კედელში ჩაყოლებულ ქვებზე და სოფ. სარკინეთის ამაღლების ეკლესიის ერთ-ერთ ქვაზე. ნიშანდობლივია, რომ სარკინეთის ეკლესიის ზღუდეში აღმართულია მენჰირი.

სოფ. ნარდევანსა და თაქ-ქილისას შორის, სოფ. ედი-ქილისას მიმდებარე ტერიტორიაზე ცნობილია ციკლოპური სიმაგრე (კატ. #85_17), რომელიც დაბალ გორაზეა აშენებული. სავარაუდოდ, ის აქ არსებული გზის გასაკონტროლებლად იყო აგებული. სოფ. ნარდევანიდან დასავლეთით, ნარდევანის წყლის ხეობის მარჯვენა ნაპირზე, დანგრეული სავარაუდო ციკლოპური ნაგებობაა, რომელიც, ალბათ, საგუშაგოს წარმოადგენდა. ხეობის მეორე ნაპირზე კი, მდებარეობს ციკლოპური გალავნით გამაგრებული დასახლება (კატ. #85_27). ორივე კომპლექსი, როგორც ჩანს, აკონტროლებდა შავნაბადას მთასთან არსებულ გზა-გასაყარიდან თრიალეთისაკენ მომავალ ერთ-ერთ გზას. ამავე გზა-გასაყარიდან შესაძლებელი იყო სამხრეთით, აბულის ლოკალურ არეალში, დასავლეთით - ტაბაწყურის ტბის მიდამოებში, ხოლო ჩრდილოეთით - საპიტიახშოს ტერიტორიაზე მოხვედრა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ერთი გზა, როგორც ჩანს, ჩადიოდა დღევანდელი სოფ. ბურნაშეთის მიდამოებში. საპიტიახშოსა და ბურნაშეთს შორს გამავალი გზა დღესაც აქტიურად გამოიყენება. სოფ. ბურნაშეთში და საპიტიახშოში ორ-ორი მენჰირია დადასტურებული. დღევანდელი სოფ. ბურნაშეთის მხრიდან თრიალეთში მომავალ გზას როგორც ჩანს, იცავდა სოფ. ოზნის თავზე არსებული ციკლოპური კომპლექსი (კატ. #85_2).

აღსანშნავია საპიტიახშოს დასავლეთით, მთა ბებერას (ეგოისარ) ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდიდან, მის ჩრდილოეთით გადაჭიმულ ქედამდე, არსებული კედლის, თუ ქვის ზღუდის ნაშთი. შეიძლება ეს იყო აქვე არსებული საზღვრის თავდაცვითი ზოლი, ან თვითონ საზღვრის ნიშნული. კედელი, თუ ზღუდე დღეისათვის მთლიანად დანგრეულია.

საპიტიახშოდან აღმოსავლეთით, გზა ასევე მიემართებოდა სოფ. ავრანლოსა და ყიზილ-ქილისას შორის არსებულ მენჰირთან. აქვე მოდიოდა გზა ქციის სათავეებიდან, ერთის მხრივ ნარიანიდან, მეორეს მხრივ კი გუდარეხიდან. ადგილ ნარიანიდან არსებულ გადასასვლელს აკონტროლებდა წყურვეთის ციკლოპური სიმაგრე (კატ. #85_1). აქ, გზის აღმნიშვნელად, როგორც ჩანს, აღმართული იყო მენჰირი, რომელიც სავარაუდოდ წყურვეთის ნასოფლარის სასაფლაოზე ჯერ საფლავის ქვად იყო გამოყენებული, შემდეგ კი რეხას სიახლოვეს არსებულ ეკლესიასთან გაუტანიათ. აღნიშნული მენჰირიდან ავრანლო-ყიზილქილისას მენჰირამდე არსებულ გზის მონაკვეთს იცავდა ქციის მარცხენა, მაღალი ხეობის ნაპირზე მდებარე ავრანლოს (თეზი) ციკლოპური კომპლექსი (კატ. #85_3). აქედან აღმოსავლეთით, სოფ. გუმბათის (კოხაჯი) თავზე არსებულ ქედის ფერდობზე ცნობილია ხევღრმისა და თეზის ციკლოპური სიმაგრეების მსგავსი სიმაგრე (კატ. #85_4), რომელიც, სავარაუდოდ, აკონტროლებდა თრიალეთის ლოკალურ არეალში ჩრდილოეთიდან მომავალ ერთ-ერთ გზას.

აღნიშნული ქედის გაყოლებაზე, დასავლეთის მიმართულებით, სოფ. აშკალას (ლოშო) თავზე მდებარეობს ციკლოპური თავდაცვითი კედლების სისტემით გამაგრებული დასახლება (კატ. #85_5). სოფ. აშკალას დასავლეთ ნაწილში ჩამომავალი ხეობის მარჯვენა ნაპირზე, მდებარეობს კიდევ ერთი ციკლოპური სიმაგრე (კატ. #85_22), რომელთანაც მხოლოდ დასავლეთის მხრიდან შეიძლება მისვლა. აღნიშნული მხრიდან სიმაგრეს დამატებით იცავდა კლდოვან დედაქანში გაჭრილი თხრილი. ხეობის მარცხენა ნაპირზე არსებული ტაფობის[39] უკიდურეს დასავლეთ ნაწილში, ნახსენები სიმაგრის მოპირდაპირედ, დადასტურდა ვრცელი დასახლება, რომელსაც ციკლოპური კედელი შემოუყვება აღმოსავლეთის მხრიდან (კატ. #85_23).

ჩუხურ-ჩაირის ტაფობის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში, დაბალ გორაზე, მდებარეობს სიმაგრე (კატ. #85_24), რომელიც, სავარაუდოდ იცავდა ამ მიკრორეგიონში ჩრდილოეთიდან მისასვლელ გზას. აღნიშნული სიმაგრიდან შესაძლებელია სანთის ციკლოპურ კომპლექსებთან მისვლა (კატ. #85_6). აქედან აღმოსავლეთით, ქედი ორად იყოფა, ჩრდილოეთით მდებარე ქედის გაყოლებაზე სოფ. ახალშენის ციკლოპური კომპლექსია (კატ. #85_8), ხოლო სამხრეთის ქედზე, აი-ილიას (ზემო ბეშქენაშენი) მთის თავზე, მდებარე კომპლექსია ცნობილი (კატ. #85_7). ამ უკანსაკნელიდან აღმოსავლეთით, რამდენიმე კილომეტრში, მდებარეობს ზევით ნახსენები ბეშთაშენის „ნაქალაქრი“.

§6. სამხრეთ საქართველოს უძველესი ქვეყნები ურარტული წერილობითი წყაროების მიხედვით

ისტორიული საქართველოსა და, ზოგადად, სამხრეთ კავკასიის ხალხთა შესახებ მდიდარ ინფორმაციას გვაწვდიან ურარტული წერილობითი წყაროები. ისინი მოგვითხრობენ საქართველოს სამხრეთ ნაწილში და მის ისტორიულ რეგიონებში არსებული უძველესი ქვეყნების წინააღმდეგ მიმართული ექსპანსიის შესახებ. როგორც ჩანს, ამ ქვეყნების ნაწილი, ზემოთ განხილულ „ლოკალურ არეალებს“ მოიცავდნენ. ამდენად, მნიშვნელოვნია მოცემული წყაროების დეტალური განხილვა.

39 აღნიშნულ ადგილს ადგილობრივები უწოდებენ „ჩუხურ-ჩაირ“-ს.

ურარტელების ლაშქრობების ამსახველი წარწერები, ხშირ შემთხვევაში, ძალზე დამაბნეველია; გაურკვეველია, რამდენად ზუსტად ასახავს წარწერებში დასახელებული ქვეყნების ჩამონათვალის თანამიმდევრობა მათ რეალურ მდებარეობას. დღეისათვის, რამდენიმე ქვეყანა მეტნაკლებად ზუსტად არის ლოკალიზებული. ამ ქვეყნებს შორის, ჩემს კვლევაში, საკვანძო ადგილი უკავია - იგანის, ერიახის და უელიკუნის.

დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე, პრეისტორიული ხანის, ქვეყნებად მიმაჩნია - ზაბახა, სირიმუტარა, ა(ფ/ბ)უნი და ფუსუნია. აქედან გამომდინარე, ჩემი კვლევის ეს ნაწილი, ძირითადად, იქნება მიმართული ამ ქვეყნების ლოკალიზაციის საკითხზე, რომელთა მდებარეობა შეიძლება მიესადაგოს გარკვეულ „ლოკალურ არეალებს“.

ქვეყანა ზაბახა ურარტულ წყაროებში მხოლოდ ერთხელ არის ნახსენები:

> *იმავე წელს შევკრიბე მეომრები და გავილაშქრე დიაუხის ქვეყანაზე. დიაუხის მეფე მეფედ დავსვი. დავიპყარი მე ქვეყანა შერიაზი; ქალაქები დავწვი, ციხე-სიმაგრეები დავანგრიე; მივედი ქალაქ ფუთემდე. მარცხნივ ქვეყანა ბიანი, ქვეყანა ხუშანი. მარჯვნივ შევიწყალე მე ქვეყანა თარიუნი. გავილაშქრე მე ქვეყანა ზაბახას წინააღმდეგ, დავიპყარი მე ქვეყანა ზაბახა. მივედი მე ქალაქ უზინაბითარნამდე, ქვეყანა სირიმუტარამდე[40], მთიან ქვეყნამდე. მარჯვნივ ქვეყანა იგანის ქალაქი მაკალტუნი[41] მე შევიწყალე. წავედი მე ქვეყანა ერიახიზე, გავილაშქრე ქვეყანა აფუნის წინააღმდეგ, დავიპყარი მე ქალაქი ურიეიუნი, უეტერუხის სამეფო ქალაქი.*
>
> *ღვთაება ხალდი გაემართა სალაშქროდ თავისი იარაღით, სძლია მან აბილიანეხის, ქვეყანას, ანიშთირგაეს ქვეყანას, კუარზანისა და ულთუზას ქვეყანას, დაამხო ისინი არგიშთის წინაშე. ღვთაება ხალდის სიდიადით გაემართა სალაშქროდ არგიშთი მენუას ძე. წინ უძღოდა მას ღმერთი ხალდი.*
>
> *არგიშთი ამბობს: დავიპყარი მე ეთიუნის ქვეყანა, მივედი მე [...] ქვეყნამდე, უდური-ეთიუხიმდე.“*

არგიშთი I, „ხორხორის მატიანე“

[Меликишвили 1960: 212; Арутюнян 2001: 156; გორდეზიანი 2012: 95]

მოტანილი წყაროს საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქვეყნა ზაბახა მდებარეობდა ბიანის, ხუშანის და თარიუნის ქვეყნების შემდეგ. აღსანიშნავია, რომ ზაბახას მეზობლად იყო ქვეყანა სირიმუტარა, რომლის ქალაქ უზინაბითარნადან მარჯვნივ, მდებარეობდა ქვეყანა იგანის ქალაქი მაკალთუნი. უზინაბითარნადან არგიშთი გაემართება ერიახისკენ. აქვე აღვნიშნავ, რომ იგანი ლოკალიზდება ჩილდირის ტბის შემოგარენში [Меликишвили 1960: 430], ქვეყანა ერიახი კი, დღევანდელი სომხეთის ტერიტორიაზე, ქალაქ გიუმრის მიდამოებში [Меликишвили 1960: 425].

აღნიშნულიდან გამომდინარე, უფრო მეტად სავარაუდოა, რომ ურარტელების ლაშქარმა გადაკვეთა სამსარის ქედსა და ნიალის ყურის მთებს შორის არსებული არეალი, ანუ ჯავახეთის ის მონაკვეთი, სადაც დღეს ახალქალაქის და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაა და სადაც, ჩემი კვლევის შედეგად, გამოვლინდა რამდენიმე „ლოკალური არეალი“.

ქვეყანა ზაბახას ლოკალიზების საკითხი, ძირითადად შემოიფარგლება გიორგი მელიქიშვილის მიერ გამოთქმული მოსაზრებებით. მისი ვარაუდით, ზაბახას დასახელება შემორჩენილია ჯავახეთის სახელწოდებაში. ქვეყნის ლოკალიზებას მკვლევარი ახდენს დიაუხის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ჩილდირის ტბის დასავლეთით, ან სამხრეთ-დასავლეთით

40 არუთუნიანის მიხედვით, სირიმუტარა შეიძლება იყოს მთა და არა ქვეყანა.

41 სოფ. ტაშ-კერპის სიახლოვეს აღმოჩენილი სარდური II-ს წარწერის მიხედვით, ქალაქი მაკალთუნი მდებარეობდა ჩილდირის ტბის სამხრეთ ნაწილში [Меликишвили 1960: 309].

[Меликишвили 1954: 59; 1960: 446]. საინტერესოა მელიქიშვილის მიერ, 1959 წელს გამოცემულ ნაშრომში გამოთქმული მოსაზრება, რომლის მიხედვით, ქვეყანა ზაბახა, შესაძლოა, ვრცელდებოდა დღევანდელი ქალაქ ახალქალაქიდან სამხრეთით, ჩილდირის ტბამდე [Меликишвили 1959: 177]. ამავე მოსაზრებას ნაწილობრივ იზიარებს შოთა ასათიანი, იმ განსხვავებით, რომ ზაბახას ტერიტორია, შ. ასათიანის მიხედვით, ვრცელდება ქ. ახალქალაქიდან დასავლეთით, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ერუშეთის ქედამდე, ნიალისა და ბუზმარეთის ლოკალური არეალების ტერიტორიაზე, აღმოსავლეთით კი ქ. ახალქალაქიდან საღამოს ტბამდე [ასათიანი 1992: რუკა]. ამ მოსაზრებებთან დაკავშირებით აღვნიშნავ, რომ ზაბახას ლოკალიზება პირველ რიგში გამომდინარეობს სირიმუტარას, ბიანის, ხუშანის და თარიუნის ქვეყნების მდებარეობიდან.

სირიმუტარას მდებარეობის თაობაზე, აქამდე გამოთქმული მოსაზრებები, ძალზე ზოგადია. რაც შეეხება ბიანის, სავარაუდოდ, ის მოიცავდა ტერიტორიას დღევანდელი ქ. არდაღანიდან დასავლეთით, ხოლო ხუშანი, მის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობდა. თარიუნთან დაკავშირებით კი აღვნიშნავ, რომ ის, ორტაკენტის წარწერის მიხედვით, გვევლინება ძლიერ პოლიტიკურ ერთეულად, რომელიც გარკვეულ პერიოდებში, შესაძლოა, აერთიანებდა მის მეზობლად არსებულ მცირე ქვეყნებს. ამიტომ, დასაშვებად მიმაჩნია, რომ თარიუნი ზოგ შემთხვევაში ვრცელდებოდა დღევანდელი ჰანაკის პროვინციიდან მტკვრის სათავეებამდე, სადაც იყო ამ ქვეყნის ძირითადი ადგილსამყოფელი [Narimanishvili 2019a].

დღეისათვის, ზაბახას შესახებ ინფორმაცია მწირია, მისი ლოკალიზების საკითხი კი სუსტად არის არგუმენტირებული. კვლევების შედეგად, ეს ქვეყანა საძიებელია ორ, შედარებით უკეთესად, ლოკალიზებულ ქვეყანას შორის. ასეთებად კი თარიუნი და ერიახი მიმაჩნია. ამ ორ ქვეყანას შორის, არგიშტის მიერ გავლილ მარშრუტზე, უნდა ყოფილიყო ქვეყანა სირიმუტარა, რომლის ქალაქ უზინაბითარნადან მარჯვნივ, მდებარეობდა ქვეყანა იგანის ქალაქი მაკალთუნი.

ზაბახას ლოკალიზება ჩილდირის ტბის სამხრეთ-დასავლეთით, ნაკლებად სავარაუდოა, რადგან, აღნიშნული ტერიტორია მოიცავს არეალს, მტკვრის სათავეებიდან აღმოსავლეთით ყარსის მთებამდე. ამ ადგილას არსებულ „ლოკალურ არეალს“, სავარაუდოდ, მოიცავდა ქვეყანა თარიუნი. ამავე ტერიტორიაზე, ზაბახას ლოკალიზების შემთხვევაში, მის მეზობლად უნდა ვიგულისხმოთ ქვეყანა სირიმუტარაც, რომლის მარჯვნივ უნდა ექცეოდეს ქვეყანა იგანი და ქალაქი მაკალთუნი. აღსანიშნავია, რომ ჩილდირის „ლოკალურ არეალსა“ და თარიუნის „ლოკალურ არეალს“ შორის ადგილი, ფაქტობრივად, არ რჩება, რაც, ჩემი აზრით, გამორიცხავს აქ სხვა ქვეყნის არსებობას. იმ შემთხვევაში, თუ შემდგომმა კვლევამ გამოავლინა აქ სხვა „ლოკალური არეალი“, სადაც ქვეყანა სირიმუტარა შეიძლება ლოკალიზდეს, ზაბახასთვის კიდევ ერთი არეალის გამოყოფა იქნება საჭირო. თუ მაინც დავუშვებთ, ზაბახას მდებარეობას მტკვრის სათავეებთან, თარიუნსა და სირიმუტარას შორის, არგიშთის მარშრუტის მიმართულება ქვეყანა ერიახისაკენ, რომელიც გულისხმობს მდინარე ყარს-ჩაის გავლას, არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ქვეყანა იგანი, ანუ ჩილდირის „ლოკალური არეალი“ დარჩეს მის მარჯვნივ.

ქვეყანა ზაბახას ლოკალიზაციისთვის, დაახლოებით მაინც უნდა გაირკვეს ქვეყანა სირიმუტარას და ქალაქ უზინაბითარნას მდებარეობა. ჩემი აზრით, ეს უკანასკნელი იგანის უშუალო მეზობლად, ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობდა. ამასთან დაკავშირებით კი, საინტერესო ცნობას გვაწვდის სარდურის ერთ-ერთი ლაშქრობის აღწერა:

> *სარდური ამბობს: .როდესაც მე ქვეყანა ეთიუნისკენ გავემართე, ქვეყანა ერიახის მხარე მე დავინდე, მარცხნივ ქვეყანა ქურიანი; გავილაშქრე მე იგანის ქვეყანაზე. ღმერთმა ხალდიმ გაილაშქრა თავისი იარაღით, დაამარცხა მან კაფუნი, ქვეყანა იგანის მეფე. გაილაშქრა სარდურიმ. სარდური ამბობს: 35 ციხე-სიმაგრე და 200 ქალაქი მე დავიპყარი;*

ციხე-სიმაგრეები დავანგრიე, ქალაქები გადავწვი, ქვეყანა გავაღატაკე, კაცები და ქალები მე იქიდან წავიყვანე ჩემს ქვეყანა ბიაინილიში.

სარდური ამბობს: იმავე ლაშქრობისას მე დავლაშქრე ქვეყანა ფუსუნია, ქალაქი ალკანია, ქალაქი ცუდალა. ციხეები დავანგრიე. ქალაქები გადავწვი, ქვეყანა გავაღატაკე.

დაბრუნებისას გავილაშქრე მე ქვეყანა ერიახიზე; ქალაქები გადავწვი, კაცები და ქალები იქიდან წავიყვანე. აქედან მე მოვბრუნდი და გავილაშქრე იშტელუანის ქვეყანაზე, კადიაინის ქვეყანაზე, აფუნის ქვეყანაზე, აბილიანეხიზე. სარდური ამბობს: ჯარი მე დავითხოვე, არცერთი ქვეყნის გამგებელი არ იყო მოხმობილი. და მხოლოდ ერთი რაზმით გავილაშქრე მე ქვეყანა უელიკუნიზე. დავიპყარი მე ქვეყანა უელიკუნი

სარდური II, ვანის კლდის ჩრდილოეთი ფერდი

[Меликишвили 1960: 286-287; Арутюнян 2001: 244; გორდეზიანი 2012: 108-109]

მოცემული წარწერიდან ჩანს, რომ იგანის შემდეგ უნდა ყოფილიყო ქვეყანა ფუსუნია და მისი ქალაქები ალკანია და ცუდალა. როგორც ზევით უკვე აღინიშნა, შ. ასათიანი ახდენს ფოსო-ფუსუნიას იდენტიფიკაციას. გ. მელიქიშვილი კი აღნიშნავს, რომ ქვეყანა ფუსუნია, სავარაუდოდ, მდებარეობდა დღევანდელი ქ. გიუმრის ჩრდილო-დასავლეთით [Меликишвили 1960: 436], რაც, ერთის მხრივ, არ აკონკრეტებს ქვეყნის მდებარეობას, მაგრამ არ გამორიცხავს მის ლოკალიზებას ფოსოს ლოკალურ არეალში. არუთუნიანის აზრით, ქვეყანა ფუსუნია, ალკანიასთან და ცუდალასთან ერთად, მდებარეობდა იგანისა და ერიახის ქვეყნებს შორის, ჩილდირის ტბის სამხრეთით-აღმოსავლეთით [Арутюнян 2001: 502].

იმ შემთხვევაში, თუ ჩემი მოსაზრება ფოსოს ლოკალურ არეალთან დაკავშირებით მართებულია, ქვეყანა სირიმუტარას და ქალაქ უზინაბითარნას მდებარეობისთვის რჩება ხანჩალის და არპის „ლოკალური არეალები“.

იგანის და ფუსუნიას ქვეყნების დარბევის შემდეგ, სარდურიმ დალაშქრა და დაარბია ერიახი. გაურკვეველია, თუ რომელი მარშრუტით მივიდა სარდური ერიახიმდე, დღევანდელი ხანჩალის და შემდეგ არპის ტბების, თუ ჩილდირის ტბისა და ყარს-ჩაის გავლით. ჩემი აზრით, სარდურის მეორე მარშრუტით უნდა ესარგებლა, რადგან აქ მას წინააღმდეგობა აღარ შეხვდებოდა და ადვილად მივიდოდა ერიახიმდე. ამ უკანასკნელის დარბევის შემდეგ, სარდურიმ გაილაშქრა იშტელუანის, კადიაინის, აფუნის და აბილიანეხის წინააღმდეგ. გაურკვეველია, მიაღწიეს თუ არა ამ ქვეყნებამდე ურარტელებმა. წარწერაში საკმაოდ დეტალურადაა აღწერილი, აღნიშნული ქვეყნების შემდეგ ნახსენები, ქვეყანა უელიკუნის დამარცხების და დარბევის ამბავი. უელიკუნი ლოკალიზდება სევანის ტბის დასავლეთ სანაპიროს ცენტრალურ ნაწილში, რაც გულისხმობს მარშრუტს დღევანდელი ქ. გიუმრიდან სევანის ტბის მიმართულებით [Меликишвили 1960: 445; Арутюнян 2001: 527].

იშტელუანის, კადიანის, აფუნის და აბილიანეხის ლოკალიზაციის საკითხი ბუნდოვანია, თუმცა გარკვეული მონაცემების დამუშავება მაინც არის შესაძლებელი. ქვეყანა იშტელუანი და კადიანი მხოლოდ ერთხელ, წარმოდგენილ წარწერაში არის მოხსენიებული. ქვეყანა აფუნი სამჯერ, ხოლო ქვეყანა აბილიანეხი ოთხჯერ არის ნახსენები ურარტულ წყაროებში.

გ. მელიქიშვილის აზრით, აბილიანეხი ლოკალიზდება ერიახის სამხრეთით, მდ. აჰურიანსა და არაქსს შორის [Меликишвили 1954: карта; 1960: 415]. ამასთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებები აქვთ შ.ასათიანს და ნ.არუთუნიანს. შ. ასათიანი აღნიშნულ ქვეყანას ათავსებს მდ. არაქსისა და აჰურიანის შესართავთან [ასათიანი 1992: 85], ხოლო ნ.არუთუნიანი - დღევანდელ ქალაქ სარიყამიშსა და არაქსს შორის არსებულ ტერიტორიაზე [Арутюнян 2001: 493].

რაც შეეხება იშტელუანსა და კადიანს, გ.მელიქიშვილი ამ ქვეყნებს, ზოგადად, ერიახის სამხრეთით ათავსებს [Меликишвили 1960: 432, 437], ხოლო ნ,არუთუნიანი მათ მოიაზრებს აფუნისა და ერიახის შორის [Арутюнян 2001: 511, 518].

ქვეყანა აფუნი, ნ.არუთუნიანის აზრით, უნდა ლოკალიზდებოდეს მდ. არაქსის ზემო წელის მიდამოებში, ქვეყანა აბილიანეხის სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით. მეცნიერი ამ ქვეყნის დასახელებას ხედავს ისტორიული სომხეთის პროვინციის ავნუნიკის სახელწოდებაში [Арутюнян 1970: 399-402; Арутюнян 1985: 66; Арутюнян 2001: 493]. შ. ასათიანი ქვეყანა აფუნის ათავსებს მდ. არაქსის და არპა-ჩაის შესართავის მიდამოებში, მდ. არაქსის სამხრეთით, ქალაქ ალაშკერტის ჩრდილო-აღმოსავლეთით [ასათიანი 1992: 86]. გ. მელიქიშვილი მიიჩნევს, რომ აფუნი სავარაუდოდ არარატის ველზეა საძიებელი, დღევანდელი ქ. გიუმრის სამხრეთით [Меликишвили 1954а: 226-227].

აფუნის ლოკალიზაციასთან დაკავშირებით საინტერესოა არგიშთი I-ს ლაშქრობა დიაუხის და შემდეგ ერიახის წინააღმდეგ:

> *[42]ხალდი გაემართა სალაშქროდ თავისი იარაღით, დაამარცხა მან ქვეყანა ეთიუნი, დასცა ის არგიშთის წინაშე. არგიშთი ამბობს: მეფეები, რომლებიც მოვიდნენ დიაუხის მეფის დასახმარებლად მე დავამარცხე. ერთ წელიწადში დავიპყარი მე ქვეყანა ლუშა, ქვეყანა კათარზა, ქვეყანა ერიახი, ქვეყანა გულუთახი, დავიპყარი მე ქვეყანა უიტერუხი. მივედი მე ქვეყანა აფუნიმდე. ლუშას ქვეყნის მეფე მე დავასაჭურისე, ქვეყანა იგანის მეფე კი დავიმორჩილე, დავტოვე ის თავის ადგილზე, მან მეფე არგიშტის ხარკი მისცა.*
>
> **არგიშთი I, „ხორხორის კლდე“**
>
> [Меликишвили 1960: 235; Арутюнян 2001: 187; გორდეზიანი 2012: 94-95]

აღნიშნულ წყაროსთან დაკავშირებით, ლევან გორდეზიანი აღნიშნავს, რომ გაურკვეველია, თუ რომელი მიმართულებით გაილაშქრა არგიშთიმ ერიახიდან, რათა მიეღწია აფუნის და უიტერუხის ქვეყნებამდე, ჩრდილო-აღმოსავლეთით, თუ სამხრეთით (თუ სამხრეთ-დასავლეთით). მკვლევარს მიაჩნია, რომ ორივე ვარიანტი თეორიულად დასაშვებია. თუმცა, სვამს კითხვას, თუ რა საჭირო იყო მანამდე დაპყრობილი ქვეყნების დარბევა. ასევე აღნიშნავს, რომ აფუნი და უიტერუხი საკმაოდ შორეული ქვეყნები უნდა ყოფილიყო[43] [Gordeziani 2012: 38, footnote 39].

მოტანილ წარწერაში უიტერუხი ჩანს ერიახის შემდეგ, ანუ სამხრეთიდან მოსული ურარტელებისთვის, ერიახი - გიუმრის ჩრდილოეთით, ხოლო, პირველი წარწერის მიხედვით, არგიშთი მასთან თითქოს ჩრდილოეთის მხრიდან მივიდა და დაარბია.

აქვე აღვნიშნავ, რომ იგანის ჩრდილოეთიდან ესაზღვრებოდა ქვეყანა ფუსუნია, თუმცა, იმის მიუხედავად, რომ პირველი წარწერა საკმაოდ დეტალურად აღწერს ურარტელების ლაშქრობის მსვლელობას, ეს უკანასკნელი ქვეყანა აქ არ იხსენიება. გამოდის, რომ ურარტელებმა მას გვერდი აუარეს, რაც ალბათ, შეიძლება აიხსნას მათი მსვლელობით მტკვრის ხეობაში. იმ შემთხვევაში, თუ ჩემი შეხედულება, არგიშთის ამ ლაშქრობის მარშრუტის შესახებ, მართებულია, ურარტელები მტკვრის ხეობიდან გიუმრისთან მოსახვედრად უნდა წასულიყვნენ აღმოსავლეთით, გზად კი დაარბიეს ზაბახას ქვეყანა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ზაბახა მოიცავდა მტკვრის მარჯვენა სანაპიროს და დღევანდელი ქ. ახალქალაქის დასავლეთით არსებულ პლატოს, სადაც აშკარად იკვეთება „ლოკალური არეალი“. ზაბახას მდებარეობა ხელს უწყობს სირიმუთარას ლოკალიზებას ხანჩალის ტბის ლოკალურ არეალში. მითუმეტეს,

42 წარწერის პირველ ნაწილში მოთხრობილია ურარტელების მიერ ქვეყანა დიაუხის და მის შემადგენლობაში არსებული მცირე ქვეყნების დამარცხების და დარბევის ამბავი.

43 იგულისხმება ურარტელებისათვის.

რომ ზაბახა-ერიახის გზაზე, უზინაბითარნას მარჯვნივ, ექცევა იგანი. ზაბახას, სირიმუთარას და ერიახის მდებარეობიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ უითერუხი მდებარეობდა არპის ტბის „ლოკალურ არეალში“.

საინტერესოა უზინაბითარნას შემდეგ ნახსენები ქვეყანა აფუნი. ზემოთ მოტანილი წყაროების თანახმად, ურარტუს მეფეებს ორჯერ გაულაშქრავთ ქვეყანა აფუნის წინააღმდეგ, თუმცა, არ ჩანს, რომ მათ მოახერხეს მისი დარბევა. ბოლოს მოტანილი წყაროს მიხედვით კი, არგიშთი მხოლოდ მივა აღნიშნულ ქვეყნამდე.

მესამე წარწერაში ერიახსა და აფუნის შორის ნახსენებია გულუთახი და უიტერუხი. გულუთახი გვხვდება პირველ წარწერაშიც, სადაც ის აბილიანიხის, კუარზანის და ულთუზას ქვეყნებთან ერთად იხსენიება. მოცემულ შემთხვევაში, ეს ქვეყნები წარმოადგენილია ღმერთი ხალდის მიერ არგიშთისთვის დამარცხებულ ქვეყნებად. ამის შემდეგ, წარწერის მიხედვით, არგიშთი ამარცხებს ეთიუნის,[44] მივა ქვეყანასთან [...][45] უდური-ეთიუხიმდე. აქვე აღვნიშნავ, რომ ერთ-ერთ დაზიანებულ წარწერაში, გულუთახი ნახსენებია ანიშთირგასთან და კიდევ ერთ ქვეყანასთან ერთად, რომლის დასახელების მხოლოდ პირველი ორი ასო - ფუ[...] იკითხება, გ. მელიქიშვილის ვარაუდით ეს შესაძლოა იყოს ქვეყანა ფუსუნია [Меликишвили 1960: 258-257]. რაც შეეხება კუარზანის, ულთუზას და ანიშთირგაეს ლოკალიზებას, ისინი ნახსენებია ისეთ ქვეყნებთან ერთად, რომელთა ზუსტი მდებარეობა უცნობია. არ გამოვრიცხავ, რომ ეს ქვეყნები შესაძლოა, მდებარეობდნენ ერიახის, ანუ ქ. გიუმრის აღმოსავლეთით და არაგაცის მთის ჩრდილოეთით, სადაც მრავლადაა ციკლოპური სიმაგრეები [Smith et al. 2009: 17,30]. ვფიქრობ, ამ ტერიტორიაზე ლოკალური არეალების გამოყოფაც უნდა იყოს შესაძლებელი.[46] გულუთახისა და სავარაუდო ფუ[სუნია]-ს ტერიტორიული მიმართების საკითხის განხილვა, კვლევის ამ ეტაპზე, საჭიროდ არ მიმაჩნია.

სამხრეთ კავკასიის გარკვეული ქვეყნების ლოკალიზაციისას, მკვლევარების ნაწილი მიიჩნევს, რომ ერიახის ჩრდილოეთით ურარტელებს თითქოს არ ულაშქრიათ. სამეცნიერო ლიტერატურაში, ერიახი გვევლინება ისეთ პუნქტად, საიდანაც ურარტუს მეფეები წარმატებული ლაშქრობების შემდეგ, იწყებენ სამშობლოსკენ, ანუ სამხრეთისკენ სვლას, გზად კი არბევდნენ იმ ქვეყნებს, რომლებიც წყაროებში ერიახის შემდეგ არიან მოხსენიებულები.

ჩემი აზრით, ქვეყანა აფუნი უნდა იდენტიფიცირდეს აბულის ციკლოპურ კომპლექსთან და მის „ლოკალურ არეალთან“. ეს კი გულისხმობს, აფუნის მდებარეობას ქვეყანა ერიახის ჩრდილოეთით, სამხრეთიდან მომხდურებისთვის კი, ერიახის შემდეგ მდებარე ქვეყანას, რაზეც მიუთითებს ურარტული წყაროები.

ამრიგად, არასწორედ მიმაჩნია ქვეყანა აფუნის ლოკალიზება ერიახის სამხრეთით, ან სამხრეთ-დასავლეთით. პირველ რიგში იმიტომ, რომ უილეკუნი, ერიახთან მიმართებაში მდებარეობდა აღმოსავლეთით, სევანის ტბასთან. ნაკლებად სავარაუდოა, რომ ერიახიდან წასულ სარდურის ჯერ ლ. არუთუნიანისეული აფუნი-ავნუნიქი დაელაშქრა, შემდეგ კი დაერბია 250 კილომეტრის დაშორებით მდებარე უილეკუნი.

აფუნისთან დაკავშირებით, გ.მელიქიშვილის მიერ გამოთქმული ვარაუდი ძალზე ზოგადია. შ.ასათიანის მოსაზრება კი, ბადებს გარკვეულ კითხვებს, რადგან სარდურის ლაშქრობის შემთხვევაში, მკვლევარი, როგორც ჩანს, ერიახიდან უელეკუნისკენ მიმავალ მარშრუტს

44 ეთიუნი, ისევე, როგორც უდური-ეთიუხი, წარმოადგენს სამხრეთ კავკასიის უძველესი ქვეყნების კრებით სახელწოდებას, იმ განსხვავებით, რომ უდური-ეთიუხი იხმარებოდა სევანის ტბის რეგიონში მდებარე ქვეყნების ტერიტორიის აღსანიშნავად, ხოლო ეთიუნი, როგორც ჩანს, წარმოადგენდა როგორც კრებით, ასევე გეოგრაფიულ სახელწოდებას ტერიტორიისა, რომელიც მდებარეობდა ურარტუს ჩრდილოეთით.

45 დასახელება არ იკითხება

46 სევანის ტბასთან გარკვეულწილად გამოყოფილია ურარტუს პერიოდში არსებული ქვეყნების ტერიტორიები [Biscione et all. 2002], თუმცა გიუმრი-სევანის მონაკვეთზე გამოყოფილი ლოკალური არეალები ჩემთვის ცნობილი არ არის.

გულისხმობს მდინარე არპა-ჩაის დინების გაყოლებაზე, არაქსის შესართავიდან აღმოსავლეთით, სევანის ტბის მიმართულებით. ეს მოსაზრება მისაღებია, თუმცა, გაურკვეველია, რატომ უნდა გაევლო ურარტელების ლაშქარს ორჯერ მეტი მანძილი, როცა შესაძლებელი იყო არაგაცის მთის ჩრდილოეთიდან უფრო სწრაფად მოხვედრა სევანის ტბასთან.

აფუნი-აბულის იდენტურობასთან დაკავშირებით, კიდევ ერთ არგუმენტს წარმოადგენს სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მოსაზრება, რომლის თანახმად აბული აღნიშნულია ახ.წ. I ათასწლეულის დასაწყისის რომის იმპერიის საგზაო რუკაზე - Tabula Peutingeriana-ზე [Еремян 1939: 91; ბერძენიშვილი 1985: 85; ნარიმანიშვილი და სხვ. 2018: 254]. მოცემული კვლევისათვის საინტერესო მონაკვეთს წარმოადგენს არტაშატიდან სებასტოპოლისისკენ მიმავალი გზა, სადაც ექვსი პუნქტია აღნიშნული, მათ შორის კი ერთმანეთის მიყოლებით - Pagas, Apulum და Caspiae [Miller 1887: XI]. აღსანიშნავია, რომ უკვე XIX საუკუნის ბოლოს მოხდა ამ სამი პუნქტის იდენტიფიცირება ჯავახეთის სამ სოფელთან: Pagas-ფოკა, Apulum-აბული, Caspiae-ხოსპია [Tomaschek 1899: 1654]. აქედან გამომდინარე, სრულიად მართებულად მიმაჩნია, რომ ურარტული პერიოდის აფუნი წარმოადგენს რომაულ საგზაო რუკაზე აღნიშნულ აპულუმს, ანუ აბულს, მითუმეტეს, რომ არუთუნიანი აფუნს კითხულობს როგორც აბუნს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნაშრომში წარმოდგენილ ურატულ წყაროებში ნაჩვენები მარშრუტები შემდეგნაირად მესახება:

პირველი წარწერის საფუძველზე ვფიქრობ, რომ ბიანის, ხუშანის და თარიუნის სიახლოვეს გავლის შემდეგ, არგიშთი მიემართებოდა მტკვრის ხეობით, საიდანაც, სავარაუდოდ, დღევანდელ სოფ. მირაშხანსა და ნაქალაქევს შორის გავლის შემდეგ უნდა ასულიყო ჯავახეთის პლატოზე, სადაც მან დაარბია ქვეყანა ზაბახა. აქედან, ხანჩალის ტბასთან მოსახვედრად, ორი ბუნებრივი მისასვლელია. პირველი წარმოადგენს არეალს სულდის მთასა და შიშ-თაფას შორის. ხოლო მეორე, შიშ-თაფასა და მდ. ფარავანს შორის არსებული ტერიტორიაა. აქედან, ერთ-ერთით უნდა ესარგებლა არგიშთის, რათა მოხვედრილიყო ქვეყანა, თუ მთა სირიმუთარასა და ქალაქ უზინაბითარნასთან, ანუ დღევანდელი ხანჩალის ტბის მიდამოებში. ჩემი აზრით, არგიშთის უნდა ესარგებლა დღევანდელი ქ. ნინოწმინდასა და სოფ. სათხეს შორის არსებული ველით. აქ არანაირი ფორტიფიკაცია არ დასტურდება, რაც ურარტელებს გაუადვილებდა გზას. შესაძლოა, აქედან არგიშთი გაემართა აფუნის მიმართულებით, რომლის საზღვარიც მდ. ფარავნის ხეობაზე გადიოდა. წერილობით წყაროებს არ შემოუნახავს ცნობები აფუნის დალაშქვრის შედეგების შესახებ. როგორც ჩანს, არგიშთის არ უწარმოებია ბრძოლა ამ ქვეყნის მოსახლეობასთან, და შედარებით ადვილად დასარბევი ქვეყნისკენ გაემართა. ჩემი აზრით, უზინაბითარნა შეიძლება იყოს ელიას მთა და მასზე მდებარე ციკლოპური კომპლექსი (კატ. #65_21). აქედან ურარტელები გაემართნენ ერიახისკენ. გზად არპის „ლოკალური არეალის“ გადაკვეთისას კი, დაარბიეს უიტერუხის სამეფო ქალაქი ურიეიუნი.

მეორე წარწერის მიხედვით, სარდური ჩილდირის ტბის ტერიტორიიდან, სადაც დაარბია ქვეყანა იგანი, გადავიდა ჯერ კარწახის ტბის მიდამოებში, სადაც დაარბია ქვეყანა ფუსუნია და ქალაქი ალკანია, შემდეგ კი გაემართა ჩრდილო-აღმოსავლეთით, დღევანდელი სოფ. სულდის მიმართულებით და დაარბია ქალაქი ცუდალა. აქედან „დაბრუნებისას“, სარდური, იგივე გზით, რომლითაც აქამდე მოაღწია, გაემართა ერიახის მიმართულებით და დაარბია ეს უკანასკნელი. აქ სარდური „მობრუნდა“ და გაილაშქრა იშტელუანის, კადიანის, აფუნის და აბილიანიხის წინააღმდეგ. თუმცა დაარბია უელიკუნი სევანის ტბის მიდამოებში. როგორც ჩანს, ერიახიდან ანუ დღევანდელი ქ. გიუმრის მიდამოებიდან, სარდური გაემართა არაგაცის მთის ჩრდილოეთით არსებული დაბლობით, დღევანდელი ქ. აპარანის გავლით, რათა მოხვედრილიყო უელიკუნისთან, ანუ სევანის ტბასთან. ამ ოთხი ქვეყნის ერთად ხსენება, შესაძლოა მხოლოდ იმაზე მიუთითებს, თუ რა ქვეყნების დარბევა სცადა სარდურიმ, სანამ

უელიკუნისთან მივიდოდა. არაა გამორიცხული, რომ ურარტელები შეეცადნენ აფუნის დარბევას, თუმცა, ვერ მიაღწიეს წარმატებას.

მესამე წარწერის მიხედვით, არგიშთიმ, დიაუხის და მისი მოკავშირეების დამარცხების შემდეგ, ერთი წლის განმავლობაში დაიპყრო ლუშას, კათარზას, ერიახის, გულუთახის და უითერუხის ქვეყნები. ეს ცნობა ზოგადად გვიჩვენებს ურარტელების წარმატებული სამხედრო ექსპანსიის შედეგს და არა ზუსტ მარშრუტს. თუმცა, აქ მაინც არის გარკვეული კანონზომიერება ქვეყნების მდებარეობის თვალსაზრისით - კათარზა-კლარჯეთი და შემდეგ კი, ერიახი-გიუმრი. საინტერესოა ამ ექსპანსიის ბოლო პუნქტი აფუნი და მისკენ მიმავალი გზა ერიახიდან. სავარაუდოდ, ერიახიდან ჩრდილოეთით მიმავალმა არგიშთიმ დაიპყრო გულუთახი, რომელიც შესაძლოა მდებარეობდა დღევანდელი ქ. გიუმრის ჩრდილო-აღმოსავლეთით და ქ. სპიტაკის დასავლეთით, ლორესა და შირაქის დღევანდელ საზღვართან არსებული ტაფობის ტერიტორიაზე. აქედან კი გადავიდა უითერუხის ქვეყანაში, რომელიც, სავარაუდოდ, მოიცავდა არპის ტბის „ლოკალურ არეალს“. უითერუხის აქ ლოკალიზებაზე, ასევე მიუთითებს, პირველ წარწერაში ასახული არგიშთის ლაშქრობის მარშრუტი.

დასკვნა

სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე მრავლად არის დადასტურებული ციკლოპური კომპელქსები, რომელთა შორის გამოიყოფა სამი ძირითადი ტიპი: 1. ფორტიფიცირებული დასახლებები; 2. სიმაგრეები; 3. საკულტო ნაგებობები.

დასახლებების ციკლოპური კედლების საშუალებით დაცვა, სავარაუდოდ, იწყება გვიანი ბრინჯაოს ხანის დასაწყისში. ამავე პერიოდში, ან ცოტა მოგვიანებით, დაუცველი მცირე დასახლებების მოსახლეობა, როგორც ჩანს, ტოვებს საცხოვრებლებს და ინაცვლებს ახლომდებარე მაღალ გორებზე, რომლებსაც, სავარაუდოდ, უკვე ჰქონდათ გარკვეული ფორტიფიკაცია. თუმცა, შეიძლება თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობა ხდებოდა ახალი დასახლების წარმოქმნის შემდეგ, რაც განპირობებული იქნებოდა მცირე დასახლებების მოსახლეობის კონსოლიდაციით.

ციკლოპური საფორტიფიკაციო კომპელქსების შენება, მასშტაბურ ხასიათს, სავარაუდოდ, იღებს რკინის ხანის დასაწყისში, როდესაც იწყება ასურეთის, განსაკუთრებით კი, ურარტუს გაძლიერებული ექსპანსია სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისა და ტომების წინააღმდეგ. მილიტარიზაციის ნიშნები შეიმჩნევა რკინის ხანის სამაროვნებზე, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს ამ პერიოდში საბრძოლო მოქმედებების გააქტიურებაზე.

რკინის ფართო ათვისების ხანაში, გარკვეული ციკლოპური სიმაგრეების ტერიტორიაზე, კვლავ არის დასახლებები. ასევე, შეიძლება ვივარაუდოთ, ახალი გამაგრებული დასახლებების გაჩენაც. თუმცა, ამ პერიოდიდან თანდათან იწყება ვრცელი, ფორტიფიკაციას მოკლებული დასახლებების გაჩენა.

ციკლოპური სიმაგრეები, რომლებიც იცავდნენ ლოკალურ რეგიონებს შორის არსებულ დამაკავშირებელ გზებს, როგორც ჩანს, კარგავენ თავდაპირველ ფუნქციას, მათ ადგილზე ჩნდება დასახლებები, რომელთა შენების დროს ხდება თავდაცვითი კედლების დაშლა და ამ ქვებით საცხოვრებლების აგება. ის სიმაგრეები, რომლებიც უკვე ადრეულ პერიოდში მნიშვნელოვან გზებზე მდებარეობდნენ, ინარჩუნებენ პირვანდელ დანიშნულებას შუა საუკუნეების პერიოდშიც კი.

აღსანიშნავია, რომ ისტორიულ ჯავახეთსა და თრიალეთში დუღაბით ნაშენი ციხე-სიმაგრეები არც თუ ისე ბევრია, შეიძლება ეს განპირობებული იყო აქ არსებული ციკლოპური სიმაგრეების არსებობით, რომელთა გადაკეთება, ან შეკეთება ნაკლებ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. შუა საუკუნეებში ციკლოპური სიმაგრეების გამოყენებაზე ასევე მიუთითებენ ქართული ისტორიული წყაროები.

სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე შუასაუკუნეებში აქტიურად მიმდინარეობს ციკლოპური ტექნიკით სხვადასხვა დანიშნულების შენობების აგება, რაც მიუთითებს მშენებლობის ამ ტიპის თითქმის სამიათას წლიან ტრადიციაზე.

Introduction

The main goal of the work focusses to introduce the complete catalogue of the "cyclopean" fortification systems spread on the territory of South Georgia. Also, the distribution area and chronological aspects of cyclopean fortresses in South Georgia, particularly in Kvemo Kartli and Samtskhe-Javakheti are reviewed. Functional typology of cyclopean structures was created based on the information gained during the archaeological survey and typology present than in the scientific literature.

Cyclopean complexes of the South Caucasus are distributed on territories of several countries – Georgia, Azerbaijan, Armenia, Turkey and Iran [მელიქსეთ-ბეგი 1938; Джафар-Заде 1938; Куфтин 1941; ბერძენიშვილი 1975; Есаян 1976; ტატიშვილი 1976-77; Narimanišvili & Šanšašvili 2001; Biscione et al. 2002; Köroğlu 2005; Biscione 2009; Smith et al. 2009; Pataci 2015; Narimanishvili 2016; Zhgenti 2016; Castelluccia 2017; ხუციშვილი და სხვ. 2015; ხუციშვილი და სხვ. 2016] (pl. I). In the case of Georgia, they are mainly spread in Kvemo Kartli and Samtskhe-Javakheti. Additionally, castle-towers were surveyed in the Mtskheta-Mtianeti region, in Dusheti municipality, Khada ravine (pl. XXVI-4; cat. ##71_1-9).

Cyclopean fortifications can be found in ravines and basins of Minor Caucasus mountains systems. In some cases, positioned in a compact way, they can be confirmed in one distinct micro-region. Such compact complexes comprised with a different type of cyclopean structures mostly are confirmed in basins and surroundings of a lake, places were inhabitants would have been protected with natural barriers – ravines, rivers, and mountain ridges. Such strategic positions made it possible for fortresses to control the roads and passages in the region. In my opinion, unity of natural barriers and artificial fortresses formed a whole fortification system, which served to defend the population in one distinct region. I address such complexes formed by natural and artificial barriers as "local regions" [Narimanishvili 2019: 4], which, perhaps, comprised Urartian period countries.

Cyclopean fortresses belong to a megalithic culture. Ancient Greeks believed that mythical Cyclopes built fortresses with massive stones [Strabo, VIII, 6, 11], that is why term "cyclopean", in regard of such kind of building, fortress, stonewalling, etc. was very well established in the scientific literature. Megalithic constructions are believed to be built by "heroes" in Georgian written sources [ლეონტი მროველი, *ცხოვრება ქართველთა მეფეთა:* 4-10; ვახუშტი ბაგრატიონი, *აღწერა სამეფოსა საქართველოსა*: 47] or "Devis" or mythical Amirani[47] in oral folklore.

Countless cyclopean fortresses are confirmed in Georgia, though regardless there is no special literature dedicated to such interesting and significant monuments, where it would have been possible to perceive them in one whole context.

This was one of the preconditions to conduct this work with the very first aim to create a catalogue of all known and newly found cyclopean fortresses.

In Scientific literature cyclopean fortresses are sometimes addressed as megalithic fortress/wall, hill, fortified hill or hill with a wall. Hill, fortified hill or hill with a wall can be used very well in correspondence to fortified settlement constructed on a natural or artificial hill. In the case of term "megalithic", it implies to complexes constructed with mas-

47 Besides Amiranis Gora in Akhalkalaki, the megalithic construction, found by B. Kuftin, on central part of Samsari Ridge, in Tsalka Municipality, is related to Amirani names, as the locals call it Amiran or Amirkhan "Dam-Dash" [Куфтин 1947: 13; 1948a: 7].

sive boulders, though factual data show that some of the fortresses are built not always with massive stones. Term megalithic is also used in regard to menhirs.

Consequentially term “cyclopean” was selected to address discussed fortresses in present work. It has to be mentioned in regard of discussed complexes, Greek cyclopes in some extent correspond to south Caucasian heroes, Devi or Amirani, not in a mythological point of view but due to their supernatural physical strength.

Selecting term cyclopean is determined due to its usage tradition for 140 years, also it gives a possibility to determine the affiliation of this type of complexes to specific “social” group or society, which represented well-organized socius, determined with its strength.

Term “cyclopean” used in the present work signifies fortification walls or buildings constructed with big or average size stones using dry mansory technique. Walls of such constructions consist of outer and inner face stones in between rubble-filled. Though selecting out one special type only according to the stone size is wrong. Fortresses confirmed during the conducted survey are the same according to plan, though some of them are built with massive rocks, others with average and relatively small stones. This fact is easily explained – inhabitants of South Caucasus, before learning limestone solution building technique, had been constructing fortification walls with the material which was obtained locally, on the place. In the case of Historical Javakheti and Trialeti, massive boulders of basalt were used in constructions. But walls of a fortress found on Elia mountain, in Bolnisi, are built with small size stones, liftable even for one single person. The building technique is completely different on the Black Sea line; inhabitants here used wood to built fortresses according to Xenophon [Xenophon, Anabasis: 327].

3-dimensional description of cyclopean fortresses is not competed, because fully preserved ones did not survive time and other circumstances. Though in most cases the width of the walls is preserved – mostly they range between 2.0-2.5 meters, in singular cases reaches up to 5.0-6.0 meters, sometimes it can be a width of 7.5 meters in areas of buttresses. In every case, fortification construction built with cyclopean mansory represents a part of one distinct complex defencing one settlement or settlements existing in the region.

According to scientific literature, cyclopean building technique’s chronology is spread in the time period of XV-IV centuries BC [Narimanišvili G., Šanšašvili N. 2001:13]. Hence, the Late Bronze-Iron Ages are crucial and very interesting in the research of this topic. The transitional period from Bronze to Iron Age is one of the most important epochs for Georgian History. Part of the scientists believes that this is a period when Georgian tribes start to consolidate and the very first states start to form [Меликишвили 1960: 7]. Country of Daiaeni mentioned in Assyrian written sources of XII-IX cc. BC is considered to be one of the countries [Меликишвили 1959: 176], which comprised also neighbouring small political units [Меликишвили 1959: 18]. Daiaeni is known as Diauḫi in Urartian written sources of VIII century BC [Меликишвили 1954: 58]. Daiaeni/Diauḫi was spread on historical lands of south-western Georgia, corresponding to Georgian Saeristavo Tao, with inhabitants known as Taochi according to Greek written sources [Меликишвили 1959: 176].

During Urartu reign, Diauḫi was uniting different countries and tribes living on a quite vast territory. This big unity was distributed in southern and western surroundings of Erzurum, in the north to the middle course of river Chorokhi and in north-eastern part till Childir Lake, on the modern territory of Turkey [Меликишвили 1959: 177]. I consider that

a large number of cyclopean fortification constructions distributed on these territories belonged to the countries of Daiaeni/ Diauḫi coalition in the region, against expansions from Assyria and Urartu kingdoms.

Methodology and Survey Results

At the beginning of 2017 information about cyclopean complexes were collected in achieves and libraries. Also, data has proceeded for survey work, which involved identifying cyclopean complexes (already known in scientific literature and archive data) with the help of aerial photos and topographical maps.

With the help of aerial photos and topographical maps, unknown fortresses were uncovered. After summarizing conducted work primary database was prepared, which was clarified and expanded during the survey. Cyclopean fortresses got individual code numbers, determined through Georgian cadastral codify system.

During the survey, objects were photographed, described and GPS coordinates were registered. Stray finds were collected (pl. LIII-LX).

In 2017-2018 Kvemo Kartli and Samtskhe-Javakheti regions were surveyed. A large number of cyclopean complexes were uncovered in Historical Javakheti and Trialeti regions, particularly in Samtskhe-Javakheti region 233 sites were confirmed. Cyclopean complexes described and registered during a survey are distributed in municipalities as follows: Aspindza – 54 sites, Akhalkalaki – 121 sites, Borjomi – 5 sites, Ninotsminda – 53 sites.

Considerably fewer sites – 63 cyclopean complexes were confirmed in Kvemo Kartli territory: Tsalka – 28 sites, Dmanisi – 10 sites, Tetritskaro – 12 sites, Bolnisi – 9 sites, Marneuli – 4 sites.

Research History

Cyclopean and in general megalithic culture of South Caucasus was always a subject of fascination for scientists and antiquity admirers. The first information about cyclopean fortresses was published in 1882 by a teacher – A. Ioakimov from one of the village schools. The author mentioned fortresses of Gumbati (cat. #85_5), Avranlo (cat. #85_3), and Edi-Kilisa (cat. #85_17) [Иоакимов 1882: 8-9]. Urgent need of investigation of Megalithic sites arose on V archaeological meeting held in Tbilisi, in 1884 [Труды... 1887: VII].

Ivane Rostomashvili conducted several works in the Javakheti region at the end of the XIX century; besides architectural sites, he also described some cyclopean fortresses [Ростомов 1898: 24-108]. Ekvtime Takaishvili delivers certain information about Tetritskharo and Tsalka cyclopean fortresses in his work published at the beginning of the XX century [Такаишвили 1905: 14-15; 1913: 36-37].

Melikset-Beg published his monograph in 1938, which was completely dedicated to megalithic culture in Georgia. This work is interesting and important in many aspects. Besides megalithic sites, he gives a catalogue of all known cyclopean complexes in that period Georgia [მელიქსეთ-ბეგი 1938: 49-73].

First archaeological investigation of cyclopean complexes in Georgia started in 1936-1948 under the name of Boris Kuftin, who conducted several archaeological excavations on many interesting sites including cyclopean ones, in historical Trialeti region. Excavations were conducted due to the Tsalka reservoir construction. Expedition's aim was to investigate territory which was under construction for Tsalka reservoir, though excavations conducted on surrounding areas too. Expedition studied several cyclopean complexes on territory of Tsalka [Куфтин 1936; 1937; 1938; 1939; 1940; 1941; 1947; 1948a; 1948].

Important is the diary of Niko Berdzenishvili, published in 1964, which is about the voyage in South Georgia, in 30ies [ბერძენიშვილი 1964]. The historical-geographical expedition headed by N. Berdzenishvili conducted some survey works in Kvemo Kartli, in 1956-1958. More than 40 hill settlements were uncovered, including settlements with cyclopean fortresses [გრიგოლია, ტატიშვილი 1960: 79]. In the same year, Tariel Chubinishvili carried out archaeological surveys in Samtskhe-Javakheti [ჩუბინიშვილი 1963: 14]. Surveys became systematic in that region in the following years. In 1968 Otar Gambashidze worked in Meskhet-Javakheti [ღამბაშიძე 1968], proceeded by Tornike Tatishvili, who published an article about cyclopean fortresses seen in 1969-1973 [ტატიშვილი 1976-77]. It is worth mentioning Devi Berdzenishvili's campaign in Kvemo Kartli [ბერძენიშვილი 1964] and in Historical Javakheti [ბერძენიშვილი 1975]. During conducted work, he uncovered many important historical sites. His article dedicated to ancient fortresses in Javakheti is noteworthy [ბერძენიშვილი 2002]. He was also a co-author of a guide book published in 2000, where a big amount of cyclopean fortresses are gathered and introduced in it [ჯავახეთი 2000].

First big scaled archaeological excavations on the cyclopean fortress in Historical Javakheti was conducted by Otar Japaridze. Expedition excavated "Okami hill" (cat. #63_93) in 1974 and 1977, also some survey trenches were done on several hills fortified with a wall [ჯაფარიძე 1975; 1981: 140-143]. Expedition and surveys were carried out in Javakheti, in Ninotsminda municipality in 1979-1983 by Zaal Kikodze [ქიქოძე 1977; 1978; 1983; ქიქოძე და ქორიძე 1978; ქიქოძე და გოგაძე 1979]. The same expedition also worked and conducted surveys in Kvemo Kartli, on the territory of Khrami ravine [ქიქოძე და ბახტაძე 1984]. The archaeological expedition headed by Alexander Orjonikidze conducted excavations and survey works on Digasheni I and surrounding, near village Jigrasheni, in Ninotsminda municipality [Орджоникидзе 1995: 80, 82].

Archaeological works headed by Goderdzi Narimanishvili on cyclopean fortresses were resumed in historical Trialeti in 1990. The first year campaign worked on Sabetchdavi cyclopean settlement (cat. #85_12), though other cyclopean complexes were also investigated in following years [ნარიმანიშვილი და სხვ. 1996; Narimanishvili et. al. 1998]. Distinct works were conducted on Shaori (cat. #65_1) and Abuli (cat. #65_6) cyclopean complexes in 1997 by expedition [ნარიმანიშვილი 2000; 2009: 46-55]. Importance of cyclopean complexes and research results of the expedition are discussed in several works extensively [Narimanišvili & Šanšašvili 2001; Narimanishvili & Shanshashvili 2001; Narimanishvili 2009; ნარიმანიშვილი 2012; Shanshashvili & Narimanishvili 2012; Narimanishvili 2012; ნარიმანიშვილი და შანშაშვილი 2016; Нариманишвили и Шаншашвили 2018].

The archaeological expedition headed by O. Gambashidze investigated lower fortress of Saro cyclopean complex (cat. #60_11) [ღამბაშიძე და სხვ. 2000]. In the same year archaeological expedition headed by Z. Kikodze resumed in Javakheti. In 1993 Geor-

gian-American expedition begin archaeological research on Satkhe cyclopean complex (cat. #65_13). In the frame of a former expedition, some survey trenches were done near village Baraleti on the Amagleba hill (cat. #63_19) [Isaac et al. 1994; ქიქოძე 1998].

The Georgian-Australian expedition carried out archaeological works on the cyclopean fortress of Satikne hill (cat. #60_1) of Chobareti in 2012 [Kakhiani et al. 2013: 8]. In the same year, Beshtasheni archaeological expedition conducted survey research with a goal uncovering cyclopean fortresses. Surveys were systematic, every year several cyclopean complexes were registered and articles were published [Narimanishvili, D. 2014; 2016; 2017; 2019].

Cyclopean Complexes and Ancient Countries in South Georgia

The present chapter reviews the structure and chronological issues of cyclopean complexes. Sites which were selected for detailed description are the best examples to illustrate the typological variety of the fortifications distributed in South Georgia. Also, all complexes, which were archaeologically investigated, are reported below.

All sites described below are characteristic with similar building technique. The walls of the fortresses are mainly fortified with buttresses. In some cases, they represent well shaped, semi-circular or angled support constructions mostly attached to the wall directly or afterwards 1.5-3.0 meters away from it. Their supposed function was to support the stability of high walls. I think that buttresses did not avert the length of the walls, reaching them through the wall itself. Their strategical utilization is undoubted in concern of repelling of the enemy, but their main function was to support the walls.

Towers are very few preserved, for example in Santa Lower Fortress (cat. #85_6), on the territory of Buzmareti (cat. #60_37) and at the cyclopean fortress (cat. #85_19) of the Chochiani Megalithic Complex. Also, it is possible that the Santa upper fortresses (cat. #85_6) and Tskhurveti (cat. #85_1) had towers too. Separately erected towers were confirmed on the territories of ancient village Griala (cat. #63_108) and village Burnasheti (cat. #63_63).

Santa circular towers represent independent constructions, convex from the wall, as in case of the interior also exterior. Main defensive walls are built between them. Entrances cannot be found because stones fallen from the wall completely fill the lower part where possible doors were situated. In case of Buzmareti entering the towers was possible through the interior yard. Consequently to reach the top of the tower might have been possible with the help of the stairs inside them. Stairs are confirmed in Santa Upper Fortress (pl. XXXIV-2). It is worth mentioning, quadratic tower (6.0x6.0 meters) of Chochiani megalithic complex, which was attached on the north-western wall of the fortress; there was the only access to the complex. Future investigations can show the chronological difference between fortresses with towers and fortresses with buttresses.

The width of the cyclopean complexes' walls depends on the height of the walls. High walls needed wide, 3.0-5.0 meters foundation and buttresses. Fortified settlements and fortresses had such type of walls.

In the case of sanctuaries, the width of the walls' foundation was on average 2.0 meters. It is possible to calculate the initial height of the wall based on dimensions of foundation and preserved height.

Nowadays, the cyclopean walls in most cases are completely fallen down or undone on purpose for the secondary usage. Only the part of Meghreki complex's wall (cat. #63_61) could be preserved originally. Width of the cyclopean wall exceeds two meters at the foundation and rises conically up to almost 2.5 meters height. Outer stones are close to each other on the highest point, width not more than 1.5 meters. It is worth mentioning the preserved walls' dimensions of the Abuli Complex citadel (cat. #63_6) – the foundation is 3.0-5.0 meters, preserved height – 5.0-7.0 meters and outer part of the wall is 2.0-2.5 meters. Consequently, it is presumable that the foundation of the cyclopean wall is 3.0-3.5 meters width, initially it reached up 7.0-8.0 meters height.

Cyclopean complexes are mainly confirmed in ravines and hollows of minor Caucasus mountain system. Sometimes, they are located as an assemblage in hollows and table-lands – places where inhabitants were protected naturally with landscape barriers. In most cases, the cyclopean fortification was located near the passages and roads to these areas. In my opinion, unity of natural barriers and artificial fortresses formed a whole fortification system, which served to defend the population in one distinct region. I address such complexes formed by natural and artificial barriers as "local regions".

In Urartian written sources, military activities against countries and tribes of historical south Georgia are quite well described. The present chapter, also, reviews, the localization problem of these countries and tribes; they probably were located on the territory of Historical Javakheti and comprised some "local regions".

§1. Cyclopean Complexes

Satikne - (cat. #60_1)

Satikne hill is one of the peaks located in the north from the village Chobareti. The Georgian-Australian expedition conducted archaeological excavations on the top and southern slope of the hill, in 2012. Top of the hill is levelled artificially and is surrounded by the wall of 2.0 meters width [Kakhiani et al. 2013: 8]. The fortification wall is rubble-filled and edged with large field rocks; those on the outer edge are about 50cm in length, whereas the stones on the interior face are smaller. Excavators consider judging by the lack of any mudbrick debris, it was most likely a wooden construction, perhaps in-filled with mud. [Kakhiani et al. 2013: 19]. Mostly antique and middle ages ceramic fragments were uncovered during excavations [Kakhiani et al. 2013: 29], though some ceramic fragments from Iron Age were confirmed too [Kakhiani et al. 2013: 35].

Intense settlement of Kura-Araxes culture was uncovered during excavations in the south of the hill. The mentioned settlement was covered with eroded material of Late Antique and Middles Ages. Some material without context form Late Bronze-Early Iron age found during cleaning Early Bronze Age structures could confirm Late Bronze-Early Iron period settlement there [Kakhiani et al. 2013: 26-27, 34]. Fortification on Satikne hill confirmed during the survey definitely belongs to cyclopean fortresses.

Saro (cat. #60_11)

(pl. II - 2, 4)

Saro cyclopean fortress was described in the work of I. Rostomashvili for the first time in the scientific literature [Ростомов 1898: 101]. In 1991 Meskhet-Javakheti archae-

ological expedition headed by O. Gambashidze conducted excavations on Saro cyclopean complex. The goal of the mission was to uncover the oldest settlement on the place. The complex consists of three fortification constructions. “Berbukebi” arable land is located in the western outskirts of the village, surrounded by a place called “Tsikhas Qela”. Fortification located there is known as “Kveubani”. Fortification nearby Archangel church is called Upper Fortress or Church Fortress by locals. From there, beyond “Sakhizrebi” ravine, is located a fortress “Akhaltsikhe” [ღამბაშიძე და სხვ. 2000: 137].

From the start of excavation, archaeologists observed the massive modified stones used in construction and symmetricity of the stone set on Kveubani fortress; this, in some extent, corresponds to building technique of burial tombs of Kurgan culture in Aspindza municipality. Kura-Araxes, late bronze and middle ages ceramic fragments were found during the excavations. After cleaning the walls of the fortification it was confirmed that they were built directly on the cliff without a basis. Consequently, scientist assumed that the walls of the fortification were not so high [ღამბაშიძე და სხვ. 2000: 137-138]. Expedition investigated some graves of Late Bronze Age (XV-XIV cc. BC) and Hellenistic Period (IV-III cc. BC) at some distance from the fortress [ღამბაშიძე და სხვ. 2000: 136].

Niala Hill / ”Ojaqari” - (cat. #60_25)

Niala hill is located on the border of two villages Niala and Lebisi, on the mountain ridge. In 1975 archaeological expedition headed by O. Japaridze excavated survey trench on the top of the ridge, on the northern slope of the hill “Ojakhari”. Big amount of ceramic findings of Kura-Araxes culture and middle ages were confirmed during excavations. Hill is surrounded by a wall on top. Stray finds – Kura-Araxes ceramic shards were found on the territory of the settlement, also on the place below the hill[48] [ჯაფარიძე 1975: 7]. During a survey, Kura-Araxes ceramic fragments were found on the same slope where the excavations were held, though no stray archaeological material was confirmed on the top of the hill - on a cyclopean fortress.

“Twins”[49] - (cat. #60_37)

(pl. XI - 1-3)

The cyclopean fortress is located in Buzmareti valley, on top of a mountain west from village Vani, on cliff track. The complex consists of two towers and a wall built between them. An artificial stone armoured steep slope is constructed in the north-western part of the fortress, with a path going to the main complex from the south-western part. The entrance is not preserved, nevertheless, ascendant path indicates to its location in between the towers.

Towers have a rectangular shape with different sizes. South-western one is smaller, in size 8x6 meters, with an entrance in the north-eastern part. The north-eastern tower is 9x9 meters, with an entrance from the east. Towers’ walls are not higher than 2.0 metres. A wall was erected between the towers. Although preservation is very poor, it is obvious that the wall was lower than the towers.

48 Possibly #60_24 is implied.

49 Named by author.

Tamari's fortress[50] (cat. #60_38)
(pl. XI - 5)

The cyclopean fortress is located in Buzmareti hollow, on the top of the hill, to the north near village Vani. Walls of the fortress is preserved very poorly, only high linear embankments of small stones are left. This is due to the fact that locals were using the stones from the fortress very actively as a building material until recently. The mentioned complex should be a central settlement of a tribe existed there. This argument is reinforced with the special location of the settlement and cyclopean complexes – fortresses and fortified settlements confirmed in the surrounding.

"Devebis Sakhli" / "Didgora" - (cat. #60_42)
(pl. XII - 3)

In 1975, an expedition headed by O. Japaridze excavated survey trenches on a fortified hill called "Devebis Sakhli" or "Didgora", located near Bertakhanebi settlement, 500-600 meters away from kurgans, opposite the Tmogvi Fortress. Top of the hill is levelled and surrounded by a wall build with large boulders, 50 metres in length, preserved height 2.0 metres in some parts. Survey trenches were done on the settlements 10-15 metres away, in south-western from the wall. A large amount of middle ages ceramic were found there [ჯაფარიძე 1981: 136-137].

Olaverdi - (cat. #63_30)
(pl. XIII - 3)

